ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 6 აგვისტო 1999 №148 (921) | ფასი 50 თეთრი


5

## ვისთვის ზედმეტი, ვისთვის უპირველესი

Mexico'99
FIFA CONFEDERATION CUP
24 July to 4 August, 1999



ფინალში მექსიკამ ბრაზილია დაამარცხა და კონფედერაციათა თასი პირველად მოიპოვა

7

## დღეს ბელგიის ჯერია

ადგილობრივები პირველობას „ანდერლეხტს“ უწინასწარმეტყველებენ

14

## ევერესტული ეპოპეა არ დასრულებულა



ვიჯექი და თავბედს ვიწყევლიდი. მთის გაგონება აღარ მინდოდა. ვფიქრობდი, მთამსვლელობა უაზრობაა და სისულელე. თვითონ მთამსვლელები გიჟები და მაზოხისტები არიან-მეთქი ...

# ხავერდოვანი რევოლუცია ქართულ კალათბურთში



ზურაბ ტომარაძე საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა

## ზურაბ ტომარაძემ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ლევან მოსეშვილი შეცვალა

იხილეთ მეთორმეტე გვერდი

# ისევ სიცხე, ისევ პანაშვიდი

## „ზიმბრუსგან“ შერცხვენილ-რეტდასხმული „დინამო“ ახლა იმაზე ბჭობს, დაიტოვოს თუ არა მწვრთნელად ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი

იხილეთ მეორე გვერდი



იოჰან ბოსკამპი კიშინიოვში ისე აყვირეს, როგორც არასდროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღვინო, ქალები... ვაშლები

# ფეხბურთი? სად იყო?!

*„ზიმბრუსთან" „დინამოს" ასეთი თამაში ნამდვილად მოულოდნელი იყო. მოულოდნელი იმდენად, რამდენადაც ჩვენებურები შემდეგ ეტაპზე გასვლას ფრის ხარჯზე კი არა, კიშინიოვშიც გამარჯვებით აპირებდნენ. პირიქით მოხდა.*



თბილისურ მატჩშიც ხშირად იყო ასე: კატინსუსმა (№6) დე სოუზას გასაქანი არა და არ მისცა

### პირველი ტაიმი

თითქოს დასაწყისი ცუდს არაფერს უქადდა საქართველოს ჩემპიონს. ფეხბურთელთა განლაგება უცნაური გახლდათ, მაგრამ დინამოელები თავიდან ისე თამაშობდნენ, სქემის უჩვეულობა სულაც არ იგრძნობოდა. ყველა თავის ზონას აკონტროლებდა და, ისევე როგორც თბილისში, გრძელი პასების უმეტესობა დე სოუზას მისამართით კეთდებოდა. საწყის ოც წუთს კი ისიც დარბოდა და ტელესნენკო-კატინსუსის დუეტს ხშირად აფრთხობდა. თქვენ წარმოიდგინეთ, სადღაც მე-16 წუთიდან „ზიმბრუს" ფეხბურთელები ბურთს სამი-ოთხი წუთი არც კი შეხებიან; თბილისელებმა ის მასპინძლებს დაუმალეს, თუმცა საიმედოდ მოთამაშე რომანენკოს კართან მიახლოება ვერ შეძლეს. ბურთს ძირითადად შუა მოედანზე აგორებდნენ, მეტოქის გამოტყუებას ცდილობდნენ. არაფერიც არ გამოვიდა, „დინამოს" რგოლებმაც ნელნელა აურიეს. ნახევარდაცვის და დაცვის მარცხენა ფლანგზე კი ნულარ იტყვით — დოდულის შემჩერებელი არც აშვეთია გამოდგა, არც ალექსიძე. მანაც გაილაღა. ბურთთან მისი ყოველი შეხება „დინამოსთვის" ავისმომასწავებელი გახლდათ. საპირისპირო მხრიდან თბილისელების მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი ხმის ჩახლეჩამდე კი გაჰყვიროდა, უფრო ყურადღებით იყავითო, მაგრამ ამან არაფერი შეცვალა. აი, ფეხბურთელთა შეცვლას, თუნდაც გადაადგილებას, იგი არ ჩქარობდა. გოლიც ამ დროს გაკეთდა. ალექსიძემ ზონა მიატოვა, ოდნავ წინ აიწია, დოდულმა კი სისწრაფე აკრიფა და ეპურიანუს გამოზომილი პასიც მიიღო. დანარჩენი ტექნიკის საქმე იყო, რაც დოდულს ნამდვილად არ დაეწუნება.

1:0-ის შემდეგაც თითქმის იგივე მეორდებოდა. უმეტესწილად ბურთს „დინამო" აკონტროლებდა. მაგრამ ვერ იქნა და რეალურად ვერ დაემუქრნენ რომანენკოს კარს. „ზიმბრუ" მშვიდად, აუჩქარებლად თამაშობდა. აქცენტი კვლავაც დინამოელთა მარცხენა ფლანგზე ჰქონდათ. დოდული ცხენივით დარბოდა, შექმნილ მომენტებს კი სტენოგრამაში იხილავთ.

### მეორე ტაიმი

შესვენების შემდეგ „ზიმბრუს" ტაქტიკა არ შეცვლილა. მხოლოდ უფრო უკან დაიწიეს, ბურთის დაუფლებისთანავე კი სწრაფი ბერკო იწყებდა მოძრაობას. ჭიჭვეიშვილ-დიდავასაც თავსატეხი გაუჩინა. მართალია, ჩვენი ცენტრალური მცველები მასთან ორთაბრძოლას იშვიათად აგებდნენ, მაგრამ ბერკოს აქტიურობამ ხელ-ფეხი „ზიმბრუს" შუა ნახევარმცველებს გაუხსნა. ქართველებმა ვერაფრით გააჩერეს გელაზევი, რომელმაც ტრავმირებულ დოდულის შემცვლელ რობუსკენ გადაიწია და ამით მოლდოველთა მარჯვენა ფლანგი კიდევ უფრო გაძლიერდა. უკვე ვა-ბანკზე წასული დინამოელებიც აგვიანებდნენ უკან დაბრუნებას. ეპურეანუ კი ნამდვილი დირიჟორი გახლდათ, ტემპს სწორედ ის არეგულირებდა.

ალექსიძე, ალექსიძეო რომ ვამბობდი, სწორედ მის აქტიურობას, ოღონდ მხოლოდ მეტოქის ნახევარზე, მოჰყვა კიდეც დინამოელთა მიერ შექმნილი თითო-ოროლა საფრთხე. თუმცა რად გინდა, მეორე ტაიმის შუაში ბოსკამპმა აშვეთია შეცვალა, დე სოუზა კი ისეც არაფერს აკეთებდა, ბურთს თუ მიიღებდა, მეტოქეს აბარებდა. ერთხელ ალექსიძის ჩაწოდებული ხომერიკმა თავით დაუგდო, მცველებიც წინ იყვნენ, მაგრამ არ ვიცი, სოუზას მგონი გაქცევა დაეზარა და ბურთიც რომანენკომ აიღო. დროგამოშვებით კი მასპინძლები ძალიან მწარედ ჩხვლეტდნენ „დინამოს". გელაზევს მხარი ბორეცმაც აუბა, ეპურეანუზე აღარაფერს ვამბობ. ასე ილეოდა თბილისელებისთვის ძვირფასი დრო. დრო, რომლის წუთის, წამის ფასიც კიშინიოველებმა კარგად იცოდნენ. „დინამო" კი დაშლილი იყო, გაუმართავი, საშინლად მოთამაშე. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ფეხბურთელებს მწვრთნელისა ვერ გაეგოთ, მოედანზე ისე ქაოსურად მოძრაობდნენ, საცოდაობა გახლდათ მათი ცქერა. ამასობაში „ზიმბრუმაც" ნაცადი, ეშმაკური ხერხი გამოიყენა. ყოველ მიკარებაზე გაზონზე კოტრიალობდნენ, ექიმის დახმარებას ითხოვდნენ. წერტილი კი ყველაფერს, ჩვენსა და „დინამოს" იმედებსაც ეპურეანუმ დაუსვა. ქართველებს გოლის გასატანად აღარც დრო ჰქონდათ, აღარც თავი.

### შემდეგ

აბა მოგება ვის არ ახარებს, მაგრამ მატჩის შემდეგ კიშინიოვის რესპუბლიკურზე ისეთი რამ ხდებოდა, მისი კალმით, თუნდაც ენით გადმოცემა შეუძლებელია. „ზიმბრუს" ფეხბურთელები ბარე ათი წუთი მინდორზე დარბოდნენ, დახტოდნენ, ყირაზე გადადიოდნენ, ასეთ დღეში იყვნენ მათი ქომაგებიც. ქართველები — 15 ბიჭი და ერთიც გოგონა კი თვალცრემლიანი უცქერდა ყოველივეს, „ზიმბრუს" ზეობას და მის ერთობ ემოციურ გულშემატკივართა ქცევას. მესმის მათი, საყვარელი გუნდის საქომაგოდ ცხრა მთა გადაიარეს, სამაგიეროდ კი რა მიიღეს? გაწბილება, მეტი არაფერი. გაწბილება და მოლდოველ ჭაბუკთა მიერ ნასროლი გამოხრული ვაშლები, მატჩის მერე ჩვენს ავტობუსს რომ დაუშინეს... ახლა ქართული, უფრო სამხრეთული ტემპერამენტიც წარმოიდგინეთ. საბედნიეროდ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. იმ 16 ქართველს კი უპირველესად მადლობა თავგამოდებული მხარდაჭერისთვის და სამომავლოდ სათაყვანებელი გუნდის გაუწბილებელი ქომაგობა ვუსურვოთ.

### აეროპორტში

კიშინიოვის სანახევროდ დანგრეულ აეროპორტში ჩვენებურისა და მოლდოველის საუბარს მოვკარი ყური.

— როგორ დამთავრდა თამაში? — იკითხა იქაურმა.

— 2:0 — იყო ქართველის პასუხი.

— „დინამომ" მოიგო?

— არა, „ზიმბრუმ".

— როგორ...

— აი, ეგრე. თქვენებმა მოიგეს.

— მერე?

— მერე პსვ-სთან მოგიწევთ თამაში.

— პსვ-სთან?

— ჰო.

— ჩვენები ნახე, აბა „ეინდჰოვენი" ჩამოვა...

ქართველს აღარაფერი უპასუხია. საბაჟო კონტროლი და საჩქაროდ თბილისისკენ.

### თვითმფრინავში...

ვიჯექი და ვფიქრობდი — კიშინიოვში ხომ მხოლოდ „ზიმბრუ" — „დინამოს" მატჩის გასაშუქებლად მიმავლინეს, ფეხბურთის სანახავად. რა ვნახე? ძალიან ცუდი თამაში ქართველთა შესრულებით. მტრისას ისეთი თამაში, რომელსაც ფეხბურთი არც ეთქმოდა.

სამაგიეროდ ვნახე კიშინეუ. ქალაქი, რომელიც თვალს არ მოგტაცებთ სილამაზით, მაგრამ თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, თავისი ზნე და წესი აქვს, ქალაქი, სადაც ძალიან ბევრი ღვინო ისმება და უამრავი ლამაზი ქალი დადის. იქ კი, სადაც ბახუსი ბახუსობს და არც ლამაზმანი დაილევა, ცხოვრება ნაკლებად რესპექტაბელური, უფრო ვნებიანია.

მოკლედ, რა ვნახე? ღვინო, ქალები და... ჩვენსკენ გამოსროლილი გამოხრული ვაშლები, ჩვენმა დღევანდელმა ფეხბურთმა რომ დაიმსახურა.

### თბილისში

თბილისში კი ისევ გაუსაძლისი სიცხე და ჩვენი საფეხბურთო იმედების მორიგი პანაშვიდია.

**კობა ინასარიძე**

**კიშინიოვი — თბილისი**

### მატჩის სტენოგრამა

6 წუთი. „ზიმბრუს" საჯარიმოს კუთხესთან ნახევარ მეტრში კულიკმა ხომერიკი წააქცია. სახიფათო ჯარიმა იყო, რატი ალექსიძემაც კარგად მოჭრა ბურთი, მაგრამ რომანენკომ პოზიცია ჩინებულად შეარჩია, არც ბურთის დაჭერა გასჭირვებია.

10. „დინამო" აშკარა გოლს გადარჩა. საჯარიმოში მარჯვნიდან შეჭრილმა დოდულმა კარგად ვერ ჩააწოდა, თუმცა ბურთი ქართველმა მცველებმაც იქვე მოიგერიეს. პენალტის ნიშნულთან მდგომ ეპურიანუს ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა, ბურთი რამდენიმე მეტრით ასცდა კარს.

14. დოდული ისევ მარჯვნიდან გაქანდა „დინამოს" კარისკენ. ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ ბურთი ჩვენებურ მცველს მოხვდა და კუთხურზე გაგორდა.

25. მოედნის ცენტრთან სამ ქართველ ნახევარმცველს ეპურიანუმ დაატოვებინა ბურთი, რამდენიმე მეტრი გაირბინა და მარჯვნიდან სისწრაფეაკრეფილი დოდული დონდტის პირისპირ დატოვა. ალექსიძე მეტოქეს ფეხებში კი ჩაუხტა, მაგრამ დოდულმა დარტყმა მოასწრო, ბურთი მოჭრა და მეკარეს შორეულ კუთხეში გაუტანა.

32. „ზიმბრუს" შეტევა ამჯერადაც მარჯვნიდან დაიწყო. დოდულმაც ბერკო დონდტს შეატოვა. თითქოს გოლი გარდაუვალი იყო. ბედად ჭიჭვეიშვილმა იყოჩაღა, ბერკოს ხელი შეუშალა. მანაც ბურთი კარს ააცილა.

37. ზედ საჯარიმოს ხაზზე დანიშნული ჯარიმა ბორეცმა მარცხენა ფეხით ბრწყინვალედ შეასრულა. უფრო ბრწყინვალედ კი დონდტმა ითამაშა, ბურთი სასწაულებრივად მოიგერია.

43. ხიზანეიშვილმა მარჯვნიდან საჯარიმოში ჩააწოდა. კარის წინ მდგარი დე სოუზა უმეთვალყუროდ დარჩენილიყო, თუმცა ბრაზილიელი ბურთს კარგად ვერ შესწვდა და ხარიხას გადააცილა.

48. ხომერიკმა ცენტრთან ახლოს სამი კიშინიოველი მოატყუა და ბურთი სიჭინავას, მან კი ერთი შეხებით აშვეთიას გადააწოდა, რომელმაც დე სოუზა რომანენკოსთან თითქმის პირისპირ დატოვა. სოუზამ ისე მოუქნია ბურთს მარცხენა ფეხი, კინაღამ ამოიგდო. ბურთი მეკარეს მიუგორდა.

58. ტროპანეცმა გელაზევს კედელი გაუთამაშა. მისი ცხრიანში დარტყმული კი დონდტმა კუთხურზე გადააგდო.

59. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი კარის ხაზიდან მეტრში, ან უფრო ახლოს მდგარ ბორეცის თავთან აღმოჩნდა, მანაც კვლავ კუთხეში დაარტყა. დონდტმა იჯადოქრა. ამ ბურთის აღება არ შეიძლებოდა. ყველანაირი ლოგიკით გოლი უნდა გასულიყო.

75. წიტაიშვილმა გონივრული პასით დე სოუზა მეკარესთან პირისპირ დატოვა. ყველას გოლი ეგონა, ტრიბუნა დადუმდა, „დინამოს" სათადარიგოთა სკამიდან წამოხტნენ — სოუზამ ბურთი კარს ააცილა.

77. საჯარიმოს მარცხენა და კუთხურის ხაზების გადაკვეთასთან დინამოელი მცველი დაჯარიმდა. ბორეცმა ბურთი ზემოთ ამოიტანა, მსაჯმა ამაზე თვალი დახუჭა. მან დაბალი ჩააწოდა, ბურთმა შორეულ ძელს ახლოს ჩაუქროლა, ბედად, რამდენიმე მასპინძლიდან ბურთს ყველამ ფეხი ააცილა.

80. შენგელიამ წიტაიშვილს უზადოდ გადააწოდა ბურთი. მომენტი ნაღდად კარგი იყო, მაგრამ წიტაიშვილმა ახლოდან კარს გადააცილა.

81. დე სოუზამ მეკარის ბაქნის კუთხესთან ბურთი მკერდით ჩამოიღო, ამ მოძრაობით მცველიც ჩამოიშორა, ბურთისთვის ჭვინტილა უნდა ეკრა, მაგრამ, სანამ ფეხი მოიქნია, ტელესნენკომ დაასწრო. სოუზა უმიზეზოდ წაიქცა, მერე კი მსაჯს აუხირდა.

89. კულიკმა დაახლოებით 70 მეტრი ბურთიანად ისე ირბინა, ხელის შემშლელი არავინ გამოჩნდა. მიუახლოვდა „დინამოს" საჯარიმოს და ძლიერადაც დაარტყა. ბურთმა ძელს ჩაუქროლა.

90. ეპურიანუმ ულამაზესი გოლი გაიტანა: „ზიმბრუს" საჯარიმოსთან მოხელთებული ბურთი „დინამოს" კარამდე მიიტანა, გზად 5-6 ქართველი მოატყუა, ბოლოს წამით შეჩერდა, კარს გახედა და დონდტს შორეულ დაბალ კუთხეში გაუტანა. მარტო ასეთი დრიბლინგისა და გოლის სანახავად ღირს ფეხბურთის ყურება — არაჩვეულებრივი გოლი იყო!

94. კიშინიოველმა ქომაგებმა ლამის სტადიონი დაანგრიეს, ისე გაიხარეს. მატჩი დამთავრდა...







კიშინიოვური მატჩის ფოტოქრონიკა: „ზიმბრუს" თავდამსხმელები თბილისის დინამოელთა კარს უფრო ხშირად მარჯვენა ფრთიდან უტევდნენ

# გვინდა ჩვენ იმპოტენტი ფეხბურთი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრეც დაწერილა „სარბიელში" — ქართველი ფეხბურთელების ამ თაობას რომელი მწვრთნელიც გინდა მიუყვანე, შანსი არაა, ამათთან ვერაფერს გახდება. იმიტომ, რომ ამ ბიჭებმა ელემენტარულად არ იციან, როგორ ითამაშონ სწორი ფეხბურთი. ისინი, უბრალოდ, ფსიქოლოგიურად არ არიან მზად ფეხბურთელობისთვის. გნებავს ასი მწვრთნელი მოუყვანე, დაუნიშნე ვინც გინდა — ქართველი, უცხოელი, ზანგი, თეთრკანიანი — საშველი არ არის.

და არც იქნება, სანამ ქართველი ფეხბურთელი სათვალეზე, მანქანაზე, ფეხსაცმელზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე ბურთზე და ფეხბურთზე.

ერთხან თავის „ფორცა იტალიაში" გურამ ფანჯიკიძე მარადონასა და „კოკა-კოლას" ურთიერთობაზე წერდა. კერძოდ, ფეხბურთელისა და ამერიკული კომპანიის სარეკლამო კლიპი აღწერა და რეზიუმეს სახით პარალელი პელესთან გაავლო — ამ ასაკში (მარადონა მაშინ ჩვიდმეტი წლის იყო) პელეს ბურთის მეტი არაფერი ახსოვდა და რახან დიეგო არმანდო ადრეული ასაკიდანვე ფინანსურ ხლართებში გაება, ფეხბურთის მეფეობა გაუჭირდებაო. ისე თქვენ იცოცხლეთ, როგორც მარადონამ თავის მოთოკა და თავისი მადაც. ის კი, როგორ ითამაშა, მკითხველმა განსაჯოს.

სულ სამიოდე თვით „აუვარდა თავში" ვარსკვლავბიჭუნა რონალდოს. ჯერ სუზანა ვერნერთან სამბა-რუმბა, მერე კაფეების ქსელი ბრაზილიაში, ბოლოს „ინტერის" აქციათა მეპაკეტეობა და ზინედინ ზიდანმა იმდენით გაუსწრო რონალდიაღს, ბრაზილიელი გენიოსი რაც არ უნდა შორსმხედველი ყოფილიყო, ოდენ ფრანგის დაყენებულ ბდღვირს თუ შეავლებდა თვალს. და მიხვდა რონალდო, ოცდაორი წლის ასაკში, გინდაც რონალდო გერქვას, ფულზე და ქალზე ამდენი ფიქრი მავნებელია.

რომ გინახავართ, გაისად იმაზე უკეთესი ვიქნებიო — დაიქადნა ბიჭმა.

ასეა, თანამედროვე ფეხბურთში ზომიერება და მიზანმიმართულობა ბევრს ნიშნავს.

თანამედროვე ფეხბურთში ძნელია რაიმეს მიაღწიო, თუ თავს არ გადადებ. ის კი, დღეში საათნახევარი-ორი საათის ვარჯიშით ვარსკვლავი გავხდებიო — ქოსატყუილას ზღაპარს უფრო ჰგავს.

თუ ფეხბურთელობა გინდა და პროფესიონალობა, მწვრთნელთან ნამუშევარ ორ საათს ერთი იმდენი მაინც უნდა მიუმატო და საკუთარ თავს შემოუძახო.

მესხის, მაჩაიძის და სხვათა მაგალითი თუ წარსულში იყო (არ გახსოვთ), კანტონას გაგახსენებთ — სამიოდე წლის წინ სრულიად „მანჩესტერ იუნაიტედის" სიმბოლოდ და ნამუსად რომ იქცა. ჭირვეული ფრანგი ფერგიუსონთან ვარჯიშის შემდეგ ყოველდღიურად რჩებოდა მინდორზე, რათა თავის თავზე ემუშავა და ახალ-ახალი „კანტონადები" დაემუშავებინა. ფეხბურთელი ასეთი უნდა იყოს, ასეთი უნდა იყოს პროფესიონალი.

მწვრთნელმა კი ფეხბურთელი შეიძლება მოამზადოს ფიზიკურად, ფუნქციონალურად, ტაქტიკურად, მაგრამ მწვრთნელი ზრდასრულ ფეხბურთელს კუთხურის მოწოდებას და ჯარიმის დარტყმას ვერ ასწავლის. მას, უბრალოდ, ამისთვის დრო არ უნდა რჩებოდეს — მისი აზრი და გონება არა რომელიმე ცალკეული მოთამაშის, მთლიანად გუნდის მომზადებაზე უნდა იყოს მიმართული და წარმოიდგინეთ, რას ემსგავსება „მენიუ", თუ ალექს ფერგიუსონმა ბოზნიჩი რეაქციაზე ავარჯიშა, ბექემი საჯარიმოებზე და ჩაწოდებებზე, იორკი და კოული გოლების გატანაზე, სტამი „პადკატებზე", სოლშა სილიასთან არშიყზე...

ფეხბურთელობა ნურავის აერევა დღეში ერთი-ორი საათით ბაზაზე მოვალეობის მოხდაში. მოვალეობის მოხდით ვერავინ ვერაფერს მიაღწევს.

მოვალეობას რომ იხდიან ქართველი ფეხბურთელები ბაზაზე, მოვალეობის მოსახდელად რომ დააბიჯებენ (გაიქცნენ რა — ბნელა?!) მინდორზე, იმიტომაა „ზიმბრუ" აბუნძულებთ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან, სადაც სხვებს არ შევადარებ და გუნდები ჯერაც ჰყავთ კვიპროსს, ისრაელს, უკრაინას, ლატვიას, სლოვენიას, რუსეთს და მოლდოვას...

და ვის არ გააჩნია ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მაძიებლები? — მალტას, აზერბაიჯანს, სომხეთს, ანდორას, ფარერის კუნძულებს... საქართველოსაც.

აფსუს, ქართულო ფეხბურთო! ქართველ ფეხბურთელებზე კი არ დავიწუწუნებ, მათ ისედაც მიაგნეს თავიანთ ადგილს — განჯის „ქიაფაზი", მოლდოვის „შერიფი" და ძმანი მათნი.

მოლდოვა უძახე შენ და... 4 აგვისტო, 20 საათი, კიშინიოვის „რესპუბლიკური" გახსოვთ?

კაი ხანს გემახსოვრებათ.

## პირველად იყო სალამი

ქართულ ფეხბურთში თამამად შეიძლება დავამკვიდროთ ტერმინი „ბარისალამიზმი" — იმ ნიგერიელი პირველმკვალავის პატივსაცემად, რომელიც ჯერ ხაშურს, მერე სამტრედიას ეწვია და რახან მიხვდა, რომ სანდიოლისეს ძმაკაცობა მის ფეხბურთელობას ოდნავადაც ვერ დაეხმარებოდა, თბილისის რომელიღაც ბენზინგასამართ სადგურში მოყუჩდა.

მერე იყო ნდუკა უგბადე, ჯერაც არის უჩ უვაკვე, სულ ახალია დე სოუზა...

მარგარიტას ტრიფონიასი არ იყოს, ნეტავ, ვინ არიან ეს შავი კაცები, ა?! რა უნდათ, ვის დაჰკარგვიან, სად მიდიოდნენ, საიდან, როგორ...

და საერთოდ, როგორ მოხვდნენ აქ?

თუ ზურიკელა ვაშალომიძესავით — გაუმარჯოს მატარებელს?

უგბადე იყო და ცოტა წონა მაქვს მეტი, მალე დავიკლებ და აბა, დამაკვირდითო. დე სოუზაა და 120 კილოიანიაო, ტროლეიბუსს უფრო ჰგავს, ვიდრე ფეხბურთელსო და ცარიელ კარებში რომ ბურთს აცილებს, იმ ბრაზილიელის ჯიგარი დავხიე...

ყველაზე ჯიგარი მაინც ბარი სალამი იყო — ჩვენი „გივი სამტრედიიდან", მიხვდა მისახვედრს და ბენზინგასამართზე მოყუჩდა.

წარმატებებს გისურვებთ, გივი! სალამი და გამარჯვება, ბარი სალამი! ასეც გიქნია, სუფსის ტერმინალი შეგისყიდია, ოღონდ ფეხბურთელობაზე ნუ იფიქრებ. ამგვარადვე წარმატებით შეუძლია დე სოუზას მზარეულობაზე ფიქრი.

„სოუზას საფირმო სოუზი" — როგორი იქნება, ჰა!

ქართულ ფეხბურთში კი უცხოელი ჯერაც არ ნიშნავს საუცხოოს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია.

## მყვირალა ჰოლანდიელი

იოჰან ბოსკამპი ჩამოსვლის დღიდან ნოდარ დუმბაძის ერთ პერსონაჟს მახსენებს. საუბარია სოსოია მამალაძის სამხედროს მასწავლებელზე. მოწაფეების საქციელით აღშფოთებული მაგიდაზე რომ აბრახუნებდა მუშტს და მერე მთელი კვირა ვერ შლიდა.

ქიშტის და მუშტის რა მოგახსენოთ და იოჰან მრისხანე საქართველოდან რომ წავა, „ურდე-პერევოდით" მოუწევს ლაპარაკი — ჩვენი ფეხბურთელების შემხედვარე იმდენს ყვირის, მისი მშვენიერი ტენორი „დინამოს" ჩემპიონთა ლიგის შანსივით გაიპარა სადღაც. მწვრთნელი კი მართლა არის. რა ვიცი, მე ჯერაც ასე მგონია.

ორ თვეში ვერც ერთი მწვრთნელი „ერევანთან" ვერმომგები გუნდიდან „შახტართან" მომგები „ზიმბრუს" დამმარცხებელ გუნდს ვერ შექმნის.

მე ასე მგონია.

მარტო წლეულს არ ხდება ასე — შარშან უკეთესი შემადგენლობის „დინამო" 1:3 დამარცხდა ალბანეთის „ვლაზნიასთან".

იმის წინ იყო 1:6-ები, 0:5-ები, „ბოტევთან" მარცხი.

ერთი სიტყვით, მარტო მყვირალა ჰოლანდიელი არაფერ შუაშია.

გუნდმა, რომელმაც ეროვნულ ჩემპიონატში ვერ მოუგო თსუ-ს, რატომ უნდა მოუგოს „ზიმბრუს"?

ხოლო ის, თუ რატომ ვერ მოუგო „დინამომ" თსუ-ს, უნდა გახდეს სწორედ ამოსავალი წერტილი იმ დიდი პრობლემის მოგვარებაში, ქართული ფეხბურთის კრიზისი რომ ჰქვია.

ბოსკამპის, როგორც მწვრთნელის, სისუსტეზე საუბარი კი წყლის ნაყვაა, მეტი არაფერი. იოჰან ბოსკამპი კიდევ ერთი მოხეტიალე ცხვარია იმ „განტევების ფარისა", რომელსაც ბრალდება ხოლმე ქართული ფეხბურთის ესა თუ ის სირცხვილი.

ბოსკამპი შეიძლება ერთს მოსწონდეს, მეორეს — არა. ეს მწვრთნელის ბედია და ამისთვის თავადაც მზად უნდა იყოს. ღმერთმა ნუ ქნას, ყველას მოსწონდეს ჰოლანდიელი.

ყველას ლენინი მოსწონდა და დარჩა დაუმარხავი.

დღეს „დინამო" კი არა, „აიაქსი" აგებს (მერე რა ანგარიშებით). მაგრამ თუ „აიაქსის" მეპატრონეები აძლევენ თავს უფლებას, აცადონ ვაუტერსს, „დინამოს" მამებმაც უნდა აცადონ ბოსკამპს.

რადგან ორ თვეში არც ერთ მწვრთნელს არც ერთი გუნდი არ გაუკეთებია.

დანარჩენი კი „დინამოს" ხელმძღვანელობაზე ჰკიდია. ალავერდსაც მათთან გადავალთ.

## შენი არ იცი? სხვისგან ისწავლე!

მწვრთნელმა რომ გუნდი გააკეთოს, მარტო აუცილებელი და საჭირო ინფრასტრუქტურა არ არის საკმარისი.

საჭიროა საკმარისზე მეტი.

მაგალითად, ვალერი ლობანოვსკის „დინამოში" შვიდი კომპიუტერი და სპეციალისტი ჰყავს მიმაგრებული ერთი თამაშის განმავლობაში კიეველ ფეხბურთელთა წუნზე. ეს ერთ დღეს არ მოსვლია თავში ვალერი ვასილიჩს. აქამდე წლების განმავლობაში მიდიოდა. იგი ჯერ კიდევ წლების წინ მიხვდა, რომ თანამედროვე ფეხბურთი უფრო მეცნიერებაა, ვიდრე ერთი საჯარიმოდან მეორემდე „უცხო მხრის მწყერივით" გოგმანი.

წლების წინ კი, ჰეე... წლების წინ თბილისის „დინამო" თანამეგობრობის თასის ფინალში იყო, კიევის „დინამო" — არა.

აი, რას ჰქვია საქმისადმი სწორი, პროფესიული მიდგომა.

კიევის „დინამო" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალოსანია, თბილისის „დინამო" გუნდი — იმპოტენტი, რომელიც ვერსად ვერაფერს იგებს, გარდა საქართველოს ჩემპიონატისა.

ამან კი ფასი დაკარგა — ხელმძღვანელების, მწვრთნელების, ფეხბურთელების და გულშემატკივრის თვალში.

ევროპულ ფეხბურთში ლამისაა ყბად აიღეს „რეინჯერსული სინდრომი", რომელსაც მიუყენებენ-ხოლმე ეპითეტად იმ გუნდს, რომელიც საშინაო ჩემპიონატში იგებს ყველაფერს, რისი მოგებაც შეიძლება, ქვეყნის გარეთ კი აგებს, რაც წასაგებია და არ არის წასაგები.

ფეხბურთი პირველ რიგში შედეგია. უშედეგოს და უნაყოფოს კი იმპოტენტური ჰქვია და არ გვინდა ჩვენ იმპოტენტური ფეხბურთი.

ეგეთი ფეხბურთი ვის რად უნდა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

ნუგზარ კილაძის ფოტო



ქართველ ფეხბურთელთა ეს თაობა იქით არ მირბის, საითაც საჭიროა

# ზიმბრუ - თავბრუ და ორი იმედი

[illegible] ფოტო



მურთაზ ხურცილავა

მას შემდეგ, რაც მოლდოვურმა „ზიმბრუმ" თავბრუ დაახვია საქართველოს მარად ჩემპიონს, საქართველოს საფეხბურთო პირველობას სამიდან ორი იმედიღა შერჩა ევროსარბიელზე — უეფას თასზე ქვეყნის ღირსებას ქუთაისის „ტორპედო" და თბილისის „ლოკომოტივი" დაიცავენ.

ქუთათურები ესტონურ „ლანტანასთან" შეხვედრამდე ჰოლანდიაში გადიან შეკრებას, რომელიც უეჭველად „არგებს ხორცსა, მერმე სულსა", „ლოკომოტივს" რაც შეეხება, თბილისელებმა აქვე, საქართველოში გაიარეს მოსამზადებელი ეტაპი და ჩრდილო ირლანდიურ „ლინფილდთან" სათამაშოდ ყვავილნარში ემზადებოდნენ.

„სარბიელი" დაუკავშირდა „ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელ მურთაზ ხურცილავას და სთხოვა მას, გარკვეული კომენტარი გაეკეთებინა რკინიგზელთა გუნდის წინასაევროპო სამზადისისთვის.

— გუნდის მზადებით კმაყოფილი ვარ. მოგეხსენებათ, „ლოკომოტივი" ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ ახალწვეულებიც საკმაო რაოდენობით არიან გუნდში. მათი ამჟამინდელი ფორმითა და მზადყოფნით კმაყოფილი ვარ. „ლინფილდთან" მატჩამდე კიდევ რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას გავმართავთ და საბოლოო შემადგენლობასაც მაშინ გაცნობებთ.

საკონტროლო თამაშების ზუსტ განრიგზე ახლა ვერაფერს გეტყვით. ამაში მთავარი „დამნაშავე" „ლოკომოტივის" მშენებარე სტადიონია, რადგანაც „მიხეილ მესხი" რეკონსტრუქციას განიცდის, საკონტროლო თამაშების ჩატარება ხან ერთგან მოგვიწევს, ხან მეორეგან — განაცხადა „სარბიელთან" საუბარში მურთაზ ხურცილავამ.

ჩვენ იმითაც დავინტერესდით, თუ სად ჩაატარებს „ლოკომოტივი" ევროტურნირის მატჩებს — ეროვნულ სტადიონზე — ცალსახა იყო მურთაზ ხურცილავას პასუხი.

მურთაზ ხურცილავას რომ ვესაუბრებოდით, „ზიმბრუ" — „დინამოს" ანგარიში უკვე ცნობილი იყო. ჩვენს კითხვაზე, იცოდა თუ არა ამ შეხვედრის შედეგი, ბატონმა მურთაზმა დადებითად გვიპასუხა, მაგრამ კომენტარი არ მოუყოლებია.

იმედი ვიქონიოთ, რომ „ლოკომოტივი" და „ტორპედო" გაცილებით „ღირსეულად წარმოაჩენენ ქართული ფეხბურთის სახეს ევროპულ სარბიელზე, „ზიმბრუ" — „დინამო" კი წლევანდელი სეზონის ბოლო სირცხვილი იქნება.

და ერთიც. მკითხველისთვის ცნობილია, რომ „მიხეილ მესხის" რეკონსტრუქცია 2000 წლამდე ვერ დასრულდება. ამიტომაც „ლოკომოტივს" ერთი სეზონი მაინც მოუწევს სხვა რომელიმე სტადიონზე თამაში. სად ჩაატარებს რკინიგზელთა საშეფო გუნდი მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს, მოგვიანებით გაცნობებთ.

**ხვიჩა სანიკიძე**



ლევან სილაგაძე

*ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევ ეტაპზე თბილისის „დინამოს“ მარცხმა ქომაგთ გული კი მოუკლა, მაგრამ... ქართველებმა მაინც გაგვახარეს. ალბათ, ძნელი მისახვედრი არაა — რიგის „სკონტომ“ იმდენი ქნა, ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენი „დინამოს“ ამხანაგურად მომგები რუმინეთის ჩემპიონი, ბუქარესტის „რაპიდი“ ორი მატჩის ჯამში დააჩოქა და შემდეგ ეტაპზეც თავად გავიდა. იქ კი ლიგამდე ერთი, თუმც საკმაოდ ძნელი ნაბიჯია, ხუმრობა ხომ არაა, ლონდონის „ჩელსი“. გუშინ „სკონტოს“ დაცვის ბურჯ ლევან სილაგაძეს რიგაში დავუკავშირდით. რა თქმა უნდა, ლევანს თავიდანვე გამარჯვება მივულოცეთ:*

# ქართველები რიგაში ჩელსის ელიან

— ძალიან დაძაბული, ნერვიული თამაში იყო. პირველი მატჩის შემდეგ, რომელიც რუმინეთში 3:3 მორჩა, ვიცოდით, რომ „რაპიდი“ არაფერს დათმობდა. აკი გაგვიტანეს კიდეც პირველი გოლი. მეორე ნახევარში კი მთლიანად გუნდი გარდაიქმნა, რომ იტყვიან, მეორე სუნთქვა გაგვეხსნა და... თან ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ მსაჯმა რუმინელებს ფეხბურთელი გაუძევა და ჩვენც მეტი რა გვინდოდა...

**— ჩვენებურთაგან ვინ ითამაშეთ?**

— თავიდანვე ძირითადში სტარკოვმა მე, რეხვიაშვილი და ჩალაძე დაგვაყენა. ზურა მენთეშაშვილი მეორე ტაიმში შემოვიდა მინდორზე და „რაპიდიც“ დააფრთხო. არ ვაჭარბებ, ნამდვილად ასე იყო. როცა ანგარიში გავათანაბრეთ, იურის ლაიზანსმა სწორედ მენთეშას პასით გაიტანა, შემდეგაც ზურამ არაერთი თავსატეხი გაუჩინა სტუმრებს. ერთი სიტყვით, მატჩის საუკეთესოდაც იგი აღიარეს. ლევან კორღალიძე კი სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

**— მატჩის მერე სტარკოვმა რა გითხრათ?**

— ოო, გახარებული იყო. ბავშვივით ცქმუტავდა, სიხარულისგან ადგილზე ვერ ჩერდებოდა, ყველას სათითაოდ ჩამოგვიარა, მადლობა გადაგვიხადა და გადაგვკოცნა.

**— ცხადია, „რაპიდის“ გამოგდებას რიგაში დიდი გამოხმაურება მოჰყვებოდა...**

— ასეა. ხალხს არც კი სჯეროდა, რომ ეს შევძელით. რუმინელების ყველას ეშინოდა, ძალიან ძლიერ გუნდთან გვქონდა საქმე. თუმცა იქ ნათამაშევმა ფრემ ქომაგთ იმედი ჩაუსახა და ჩვენც არ გავაწბილეთ. გულშემატკივრებიც მოლოდინში არიან, რიგაში სახელგანთქმული „ჩელსი“ გვეწვევაო. დარწმუნებული ვარ, „ჩელსისთან“ იმას არ მოგვთხოვენ, გინდა თუ არა, ინგლისელები გააგდეთო. რა თქმა უნდა, თამაში ყველასთან შეიძლება, მაგრამ რეალურად ასეა, „სკონტოს“ შანსები „ჩელსისთან“ საკმაოდ მცირეა. „სკონტომ“ ისედაც დიდი საქმე გააკეთა, როცა ეს ორი ეტაპი გაიარა. რაც მთავარია, ახლა, ალბათ, უეფას თასზე გადავინაცვლებთ და იქაც ჩვენსას ვეცდებით, ევროსარბიელზე ცოტა ხანს კიდევ ვითამაშებთ.

**— ჩვენთან ყველა გაოცებულია, როგორ ახერხებს „სკონტო“ „გაძვრომას“, შენ რას იტყვი, მაინც რის ხარჯზე გამოგდით?**

— ალბათ, „სკონტო“ ჩამოყალიბებული გუნდია, რამდენიმე წელია, ერთად ვთამაშობთ და უსიტყვოდაც ვუგებთ ერთმანეთს. სავარჯიშოდაც ხომ საუცხოო პირობები გვაქვს და... ერთი სიტყვით, გუნდს ჰგავს.

**— ჩემპიონატში სეზონი ცუდად დაიწყეთ, ახლა კი პირველ ადგილზე ხართ და კონკურენტებსაც ძალიან უსწრებთ...**

— ჰოო, წლეულსაც ჩემპიონობა და თასი გვაქვს მიზნად დასახული. აბა, სხვა რა უნდა მოგვეთხოვებოდეს.

**— „სკონტოში“ როდემდე აპირებ დარჩენას?**

— კონტრაქტი წლეულს მიმთავრდება, მერე კი წავალ, სხვაგან მოვსინჯავ ძალებს, აბა, სულ აქ ხომ არ დავრჩები?

*ბოლოს ლევან სილაგაძემ აქეთ გვკითხა, რა იყო, „დინამოს“ რა მოუვიდა, ნუთუ იმ დონეზე დავეშვით, რომ „ზიმბრუსაც“ ველარ ვუგებთო. რა უნდა მეთქვა, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ამ ნათქვამში სიმართლის მარცვალიცაა...*

გიორგი ვაშაკიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლატვიას სტარკოვი გაწვრთნის

მორჩა, გადაწყვეტილი ამბავია. ლატვიის ნაკრების მწვრთნელად რიგის „სკონტოს“ თავკაცი ალექსანდრ სტარკოვი დაინიშნა.

ოთხშაბათის „სარბიელში“ წაიკითხავდით, ლატვიის ნაკრების ახლა უკვე ყოფილი მწვრთნელი, ქართველი რევაზ ძოძუაშვილი მეუღლესთან და შვილიშვილთან ერთად საუდეთში რომ გაემგზავრა, იქაურ „ალ იტიჰადთან“ კონტრაქტის გასაფორმებლად.

— ოთხშაბათს ბუქარესტის „რაპიდთან“ თამაში მელის და მას რომ დავამარცხებ, ნაკრებზე მერე ვილაპარაკოთ — თქვა მაშინ სტარკოვმა.

მწვრთნელმა სიტყვა აასრულა, „სკონტომ“ „რაპიდი“ დაამარცხა და...

8 სექტემბერს, თბილისში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ქართველების წინააღმდეგ, ლატვიელებს ალექსანდრ სტარკოვი დამოძღვრავს.

# საზაფხულო მიდი-მოდი

| «ა» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **დინამო** *იოჰან ბოსკამპი* | ლ. მიქაძე (თბილისი), ა. მუჯირი, ტულუში (ბათუმი), გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), სოლოლაშვილი (დილა), კვარაცხელია (თბილისი), გოგიჩაიშვილი, ქებაძე (ლოკომოტივი) მ. მაჭავარიანი, შ. ჩომახიძე (?) | ს. გოგაძე, ვ. გოგიაძე (იბერია), გ. შენგელია (სამგურალი), ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (ბათუმი), ხიზანეიშვილი (თბილისი), თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (თსუ), ლომაია (მერანი), გრიშიკაშვილი (ალანია, რუსეთი), დე სოუზა (გუარანი, ბრაზილია), დონდტი (ლოკერენი, ბელგია), ზირაქიშვილი (არსენალი), ხიზანეიშვილი, ზ. ხიზანიშვილი (თბილისი) | ერევანი (სომხეთი) 0:0, ქაფაზი (აზერბაიჯანი) 1:1, ტორპედო 3:1, ჰეერენვენი (ჰოლანდია) 1:0, რაპიდი (რუმინეთი) 1:2, ჰერაკლესი (ჰოლანდია) 0:3, შტაინ ვეიგი (ჰოლანდია) 2:1, კილმარნოკი (შოტლანდია) 2:2, ჰოფჰაიმი (გერმანია) 8:1, მაინცი (გერმანია) 1:4 |
| **ლოკომოტივი** *მურთაზ ხურცილავა* | ზ. არჩვაძე, შ. ხუჯაძე (ბათუმი), დ. მუჯირი (შერიფი, მოლდოვა), კ. გოგოლაძე (ერევანი, სომხეთი), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (დილა), კოტორაშვილი (ვიტ ჯორჯია), გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), დ. გოდერძიშვილი, ნ. მინდიაშვილი (სიონი), დოლაბერიძე, დაუშვილი, ზ. ქოიავა, გ. ლუდუშაური, ვ. კილასონია (?) | კალანდაძე, მ. ქობულაძე, შავგულიძე (კოლხეთი), დავითნიძე (მერანი), ასლანაძე, გლუნჩაძე (სამგურალი), ვ. გველესიანი (არსენალი), ბარამიძე, გოლეთიანი (ლარნყალი), ოდიშარია (ცხუმი), არსოშვილი (შერიფი, მოლდოვა), რუსია (ბათუმი), გოგიჩაიშვილი, ქებაძე (დინამო) | დილა 0:3, ცხუმი 5:0, თბილისი 2:1, 1:5, მერანი 1:1, იბერია 0:0, ბათუმი 3:1, კოლხეთი 2:1, 2:0 |
| **ბათუმი** *ჯანი კარნევალე* | თორლაშვილი (თამაში მიატოვა), ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, ლ. ხომერიკი (დინამო), ვერემჩუკი (თბილისი), ნადირაძე (გორდა), რუსია (ლოკომოტივი), მაქაცარია, ყულევჯიშვილი, გუჯაბიძე, ქუტიძე, ფუტკარაძე (?) | ზ. არჩვაძე, შ. ხუჯაძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო), ი. ბახტაძე (კოლეჯი) | ტორპედო 0:4, კოლხეთი 4:1, 0:1, იბერია 5:1, ლოკომოტივი 1:3 |
| **ვიტ ჯორჯია** *სერგო კოტრიკაძე* | ვ. მაისურაძე (ტორპედო), გ. გვაზავა, ვ. ქუთათელაძე, ერაძე, ლამბაშიძე, გვირჯიშვილი, თ. ბოკერია (თსუ), ქემოკლიძე (თბილისი), ჭოხონელიძე (კოლხეთი) | კოტორაშვილი (ლოკომოტივი), ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (დილა), გ. მეტრეველი (აკადემია), თოდუა (იბერია), ხართიშვილი (დინამო, სტავროპოლი, რუსეთი) | დილა 2:1, 3:4, გორდა 1:1, თსუ 6:4, ცხინვალი 3:2, მერანი 3:0 |
| **არსენალი** *დავით ჩახავა* | ზირაქიშვილი (დინამო), ვ. გველესიანი (ლოკომოტივი), ჩიქოვანი (თამაში მიატოვა) | გონჩაროვი (თსუ), კუპატაძე, ვახტანგ გაგუა, კვირკველია, კოხრეიძე (არსენალი-2), გუგუნავა (სიონი) | არსენალი-2 4:2, 1:1, აქშაბადი (თურქეთი) 1:0, ტრაბზონსფორი-2 (თურქეთი) 1:1, გირესუნსფორი (თურქეთი) 1:4 |
| **სამგურალი** *რევაზ ბურკაძე* | აფციაური (ერევანი, სომხეთი), მახვილაძე (ტორპედო), ასლანაძე, გლუნჩაძე (ლოკომოტივი), ახალაძე (თსუ), გ. შენგელია (დინამო), გიორგობიანი (ლუჩი, რუსეთი), გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე, დარსაძე (იბერია), ბურნაძე, გ. კილასონია (?) | ჭყონია (სპარტაკი, კოსტრომა, რუსეთი), მ. ძოძუაშვილი (გურია), სადილიანი (სულორი), ი. ხაჭაპურიძე, კაკაბაძე (მარგვეთი), ზ. ფხაკაძე (იბერია), ხელაძე, ესაიაშვილი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ), ბოდოკია, კ. დიდავა, ზურაბიანი (ტორპედო-2), ნებიერიძე, კოპალიანი, გაბლაია, თ. გიორგაძე (სამგურალი-2), გედენიძე (ტრავმის გამო არ თამაშობდა) | ტორპედო 0:3 |
| **სიონი** *სპარტაკ არჩვაძე* | ისიანი (თბილისი), ლ. ამბიძე (მერანი) გუგუნავა (არსენალი), კ. ნიკლაური, ძნელაძე (იბერია), დ. ბერიძე, ტყავაძე (?) | ნ. მინდიაშვილი (ლოკომოტივი), მ. მინდიაშვილი (დილა), ვოლკოვი (თამაში მიტოვებული ჰქონდა), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი), სიდამონიძე (გორდა) | ზოოვეტი 2:4 ლოკომოტივი-2 2:0, თსუ 1:1 |
| **თბილისი** *ოთარ კორღალიძე* | ხიზანეიშვილი, ზ. ხიზანიშვილი (დინამო) | კვარაცხელია (დინამო), ბაჯელიძე (მერანი), ლ. მიქაძე (დინამო), ქემოკლიძე (ვიტ ჯორჯია), ვ. ჩხაიძე (გურია), ზამთარაძე, ებრალიძე (თსუ), ისიანი (სიონი), ვერემჩუკი (ბათუმი), ბათიაშვილი (დინამო), ლ. ბერიშვილი (სლავია, მოზირი, ბელარუსი), გ. ყიფიანი (პანეტოლიკოსი, საბერძნეთი) | ლოკომოტივი 1:2, 5:1, დილა 1:1, მერანი 2:2, 3:1 |

| «ბ» ზონა | წასულები | ახალწვეულები | მატჩები |
|---|---|---|---|
| **ტორპედო** *დავით ყიფიანი* | კ. მეტრეველი, მაზანიშვილი (ტრანსფერზე არიან) | ვ. მაისურაძე (ვიტ ჯორჯია), მახვილაძე (სამგურალი), გოგიაშვილი (ჟემჩუჟინა, რუსეთი), ამისულაშვილი (კახეთი), გ. სომხიშვილი (ყვარელი), თ. მაისურაძე, მ. ბობოხიძე, თავბერიძე (დინამო 2), კვერნაძე, ვადაჭკორია (ტორპედო 2) | დინამო 1:3, დილა 5:1, ბათუმი 4:0, სამგურალი 3:0, ლოერსი (ბელგია) 1:1, ირონი (რიშონი, ისრაელი) 3:2, ლომელი (ბელგია) 0:4, ეკერენი (ბელგია) 2:9 |
| **კოლხეთი** *გია ტყებუჩავა* | მ. ქობულაძე, კალანდაძე, შავგულიძე (ლოკომოტივი), ე. გვასალია (ერევანი, სომხეთი), ამაშუკელი (სპარტაკი, ნალჩიკი, რუსეთი), ჩადუნელი (?) | რ. ჩხენკელი, ბურჭულაძე, გ. ჭანტურია (კოლხეთი 2), ჯღარკავა, მაკალათია, ლეჟავა (ფაზისი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (თსუ), ჭოხონელიძე (ვიტ ჯორჯია), ხუჭუა (იბერია), კედელაშვილი, მ. მელაძე (გორდა), ინიაშვილი, ფაცურია, ზ. კვეკესკირი (გურია), მგელაძე (მერცხალი), ქვაჩახია (სოკოლი, სარატოვი, რუსეთი) | თბილისი (მოყვარულები) 4:2, 2:1 ცემენტარნიცა (მაკედონია) 2:4, 0:4, ბათუმი 1:4, 1:0, იბერია 3:0, 3:1, ლოკომოტივი 1:2, 0:2 |
| **მერანი** *სერგო გაბელაია* | ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ბაჯელიძე (თბილისი), დავითნიძე (ლოკომოტივი), ხუციშვილი (შერიფი, მოლდოვა), გ. კვეტენაძე, დ. ჭელიძე (?) | კ. სვანიძე (გურია), როსტიაშვილი (თსუ), საბიაშვილი, ნაჭყებია (ლარნყალი), პ. ლურსმანაშვილი (ოდიში), ლ. ამბიძე (სიონი), ლ. ხორხელი, ა. ხორხელი (თამაში მიტოვებული ჰქონდათ) | ცხუმი 4:2, ლოკომოტივი 1:1, ჭაბუკიანი 1:0, არსენალი-2 1:2, დილა 1:3, თბილისი 2:2, 1:3, ვიტ ჯორჯია 0:3, თბილისი (მოყვარულები) 2:1 |
| **იბერია** *ხოხო ფრუიძე* | ს. გოგიაძე, ვ. გოგიაძე (დინამო), ხუჭუა (კოლხეთი), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ზ. ფხაკაძე (სამგურალი) ქველაძე, გ. დოლიძე, ვარდიაშვილი (?) | გ. ჯანელიძე, მ. ჯინჭარაძე, დარსაძე (სამგურალი), ო. მეტრეველი (ტორპედო 2, მოსკოვი, რუსეთი), ადეიშვილი (აკადემია), ხმალაძე, ოდიკაძე (უნივერსიტეტი იბერია), ხურციძე, თ. მაღლაკელიძე (ფაზისი), ჟვანია (ოკეანე), გელაშვილი (ორიოლი, რუსეთი), ბინაძე (მარგვეთი), ნიკურაძე (გურია), ზ. მეტრეველი (არსენალი-2), კ. ნიკლაური, ძნელაძე (სიონი), შველიძე (არ თამაშობდა) | ლოკომოტივი 0:0, მეგრი 1:1, ბათუმი 1:5, კოლხეთი 0:3, 1:3 |
| **დილა** *მერაბ ხუციშვილი* | ბ. ჩიტაია, გ. ჩიტაია (ვიტ ჯორჯია), მ. მინდიაშვილი (სიონი), რ. ახალკაცი (?, ვარნა, ბულგარეთი) | სოლოლაშვილი (დინამო), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (ლოკომოტივი), ოქროპირიძე (გორდა) | ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5, თბილისი 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, 4:3, მერანი 3:1 |
| **გორდა** *იახონ ალადაშვილი* | რ. მახარაძე (მერცხალი), კედელაშვილი, მ. მელაძე (კოლხეთი), ოქროპირიძე (დილა), სიდამონიძე (სიონი), ვ. მაჭავარიანი, კალმახელიძე, პ. მესხი (?) | თელიაშვილი (ლარნყალი), ბუკია (თსუ), გ. ხიზანიშვილი (აკადემია), კ. პაპავა (ალგეთი), მიქავა (დინამო-2), ნადირაძე (ბათუმი), თ. მეტრეველი (?, საბერძნეთი) | ხალიბი 5:2, 4:2, ვიტ ჯორჯია 1:1 |
| **თსუ** *კოტე დოლიძე* | თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი), გონჩაროვი (არსენალი), როსტიაშვილი (მერანი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი (კოლხეთი), ჭუმბურიძე, გაბელია (?) | ახალაძე (სამგურალი), გ. გვაზავა, ვ. ქუთათელაძე, ერაძე, ლამბაშიძე, გვირჯიშვილი, თ. ბოკერია (ვიტ ჯორჯია), შ. მახარაძე (გურია), დ. არჩვაძე (ნივა, ვინიცა, უკრაინა), დ. ხომერიკი, გ. მიქაძე, გ. გოცირიძე (ვაკე-91), კვიციანი, მ. ვაშაკიძე (აკადემია), კრავეიშვილი (ოკეანე), ფარქოსაძე (არმინია ამატორი, გერმანია) | გარეჯი 13:0, ვიტ ჯორჯია 4:6, ზოოვეტი 2:1, სიონი 1:1, ჭაბუკიანი 3:1 |
| **ხობი** *ფრიდონ გოცირიძე* | | | მეგრი 2:4, 2:1 |

**შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯერობით საბოლოო არ არის**

# Mexico'99
## FIFA CONFEDERATION CUP
### 24 July to 4 August, 1999

# ვისთვის ზედმეტი, ვისთვის უპირველესი

REUTERS მეხიკოდან



კონფედერაციათა თასი მექსიკელებს ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა გადასცა

### ფინალი

**მექსიკა 4:3 ბრაზილია**

1:0 სეპედა (13), 2:0 აბუნდისი (28), 2:1 სერჟინიო (43პ), 2:2 რონი (47), 3:2 სეპედა (51), 4:2 ბლანკო (62), 4:3 ზე რობერტო (63)
მექსიკა: კამპოსი, სუარესი, მარკესი, ვილია, რამირესი, აბუნდისი, ბლანკო, პარდო, პალენსია (ტერასასი 70), კარმონა, სეპედა (არელანო 83)
ბრაზილია: დიდა, ოდვანი, ჟოაო კარლოსი, ფლავიო კონსეისაო, სერჟინიო, რონალდინიო, ემერსონი, ალექსი, ზე რობერტო (ვარლეი 82), ბეტო (რონი 46), ვამპეტა
გაფრთხილება: ზე რობერტო (5), აბუნდისი (11), მარკესი (21), ჟოაო კარლოსი (45), ბლანკო (50), სუარესი (74)
გაძევება: ჟოაო კარლოსი (90)
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

კონფედერაციათა თასი მექსიკას დარჩა — ამ გათამაშების ისტორიის მანძილზე პირველად მოხდა, რომ ტურნირი მასპინძელმა ქვეყანამ მოიგო.

ზოგიერთთა აზრით, კონფედერაციათა თასის გათამაშება ისედაც გადატვირთულ საფეხბურთო კალენდარს კიდევ უფრო ამძიმებს. ბევრისთვის ეს გათამაშება უინტერესოა და თავად ფეხბურთელებიც არ სწყალობენ მას. კონფედერაციათა თასის გათამაშება დღევანდელ საფეხბურთო კალენდარს იქნებ მართლაც ამძიმებს, მაგრამ აქ კიდევ ერთი ფაქტორია — ვისთვისაა ზედმეტი ეს გათამაშება? ალბათ, უპირველეს ყოვლისა, ევროპელთათვის და იმ ბრაზილიელ, არგენტინელ ანაც სხვა ქვეყნების ფეხბურთელებისთვის, რომლებიც ევროპაში თამაშობენ. დიდი სჯა-ბაასი არ სჭირდება იმას, რომ ევროპული ფეხბურთი ყველა სხვა კონტინენტის ფეხბურთზე მაღლა დგას. შესაძლოა, ბევრი კონტინენტის საფეხბურთო კალენდარი ნაკლებ გადატვირთულია, ვიდრე, ვთქვათ, სამხრეთ ამერიკისა, მაგრამ, ცხადია, ძალიან მომქანცველია. ევროპაში მოთამაშე ფეხბურთელები სეზონის დასასრულს სიხარულით ხვდებიან და მერე თამაში აღარ სურთ, თუ რა თქმა უნდა, მსოფლიოს, ევროპის, ანაც სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატები არაა.

კონფედერაციათა თასის გათამაშებას ევროპელები მართლაც არ უყურებენ მოწყალე თვალით. სხვა ამბავია მექსიკა, საუდეთი, ეგვიპტე, ავსტრალია და მისთანები — ეს გუნდები კატეგორიას განეკუთვნებიან, რომელთათვისაც მსოფლიოს დონის შეჯიბრზე მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია. ამგვარი გუნდები ხშირად მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ხვდებიან, ვერც ბრაზილიისა და გერმანიისთანა მეტოქეებს ეთამაშებიან. ამიტომაც კონფედერაციათა თასის გათამაშება მათთვის მისწრებაა ევროპელები კი...

მექსიკელებს ტურნირის მოგება ძალიან გაეხარდათ. ეს თავისთავად კარგია, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ბრაზილიისთვის გამარჯვება ნაკლებ სასიხარულო იქნებოდა — მექსიკელები კონფედერაციათა თასის მოგებას ლამის მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვებასთან აიგივებენ. ბრაზილია კი, რომლისთვისაც ნიკეს და ფიფას თასები ჩვეულებრივი ამბავია, ეს ტურნირი, შეიძლება ითქვას, მეორეხარისხოვანია. ის, რომ მექსიკა უძლიერესი შემადგენლობით მონაწილეობდა, ხოლო ბრაზილიელებს მსოფლიოს დონის ვარსკვლავები — რივალდო, რონალდო, კაფუ და სხვები აკლდნენ, სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ კონფედერაციათა თასი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთათვის ახალი გუნდის ჩამოსაყალიბებელი და, ფეხბურთელების შერჩევისთვის საუკეთესო საშუალება გახლდათ.

ყველაფრის მიუხედავად, მექსიკამ გათამაშება დამსახურებულად მოიგო და ის, რომ ბრაზილიელებს ოთხიხუთი ლიდერი აკლდათ, მათ გამარჯვებას სრულიადაც არ აკნინებს. მექსიკელთა მწვრთნელი მანუელ ლაპუენტე ტურნირის დასაწყისიდანვე ამბობდა, თასი მეხიკოში დარჩებაო და ასეც მოხდა — კონფედერაციათა ძალიან ლამაზმა თასმა მექსიკის დედაქალაქში დარჩენა ინება.

ფინალამდე ორივე გუნდი დაუმარცხებლად მივიდა და ეს ფაქტორი გადამწყვეტ შეხვედრას მეტ ელფერს სძენდა. ფინალს გადაჭედილი „აცტეკაც" ამშვენიერებდა — 115 ათასმა გულშემატკივარმა იხილა გადამწყვეტი, საკმაოდ ლამაზი და დაძაბული ფინალი.

ვანდერლეი ლუქსემბურგომ, ბრაზილიელთა მწვრთნელმა მიუხედავად იმისა, რომ გუნდის ძირითადი ბირთვი აკლდა, საკმაოდ კარგი ნაკრები შექმნა. გამარჯვებას სწორედ ბრაზილიელებს უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ მექსიკამ არ დაიხია და დაამარცხა კიდეც სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი, გუნდი, რომელთანაც „კოპა ამერიკაზე" ორჯერ წააგო.

კონტინენტის პირველობას ზედიზედ მეორედ მოგების შემდეგ ბრაზილია კონფედერაციათა თასის გათამაშებაშიც ეცადა ორი წლის წინანდელი წარმატების გამეორებას, მაგრამ არ გამოუვიდა — კვატემოკ ბლანკომ, მიგელ სეპედამ და ძმებმა მათმა სტუმრები დაამწუხრეს.

კვატემოკ ბლანკომ საოცნებო გოლი გაიტანა — ნახევარფინალში, მექსიკამ აშშ-ს სწორედ მისი გოლით სძლია, თუმცა ბლანკომ თქვა, ეს ჩემს კარიერაში უმნიშვნელოვანესი გოლი კია, მაგრამ საოცნებო სწორედ ის ბურთი იქნება, რომელსაც ბრაზილიას ფინალში გავუტანო. აისრულა ოცნება ფეხბურთელმა — თანაგუნდელის პასის შემდეგ გასცდა მეტოქეს და დიდას გოლიც შეუგდო. ეს ბურთი მისთვის ამ გათამაშებაში მეექვსე აღმოჩნდა და ბრაზილიელ რონალდინიოსთან და საუდელ ალ ოტაიბთან ერთად ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის წოდებაც მოიპოვა.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ — მექსიკამ ტურნირი ღირსეულად მოიგო, ბრაზილიის ამ გუნდისთვის კი ფინალისტობაც არაა ურიგო. ლუქსემბურგოსი არ იყოს, მექსიკაში სულ ახალგაზრდებმა ითამაშეს და მათთვის ეს მარცხი კარგი გაკვეთილი იქნება. გავა დრო და ბრაზილიელთა ამ თაობამ, რონალდინიოს, რონის, ალექსისის და ჟოაო კარლოსის თაობამ ეგებ ეს ტურნირიც მოიგოს და ბევრი სხვა ჩემპიონატიც, მაგრამ დღეს გამარჯვებული მექსიკაა.

გულშემატკივრებმა წინასწარ იცოდნენ, რომ მათი საყვარელი გუნდი „აცტეკაზე" არ წააგებდა — 18 წელიწადია, მექსიკა ამ სტადიონზე არ დამარცხებულა.

**ლაშა გოდუაძე**

---

**რუმინეთის** ჩემპიონატის მესამე ტური: ბრაშოვი — სტიაუა (ბუქარესტი) 1:2, ონეშტი — ასტრა (პლოიეშტი) 1:0, ფარული (კონსტანცა) — უნივერსიტატია (კრაიოვა) 2:1, პეტროლული (პლოიეშტი) — ოცელული (გალატი) 2:1, ექსტენსივი (კრაიოვა) — გლორია (ბისტრიცა) 1:2, როკარი (ბუქარესტი) — არჯეში (პიტეშტი) 0:2, რესიტა — დინამო (ბუქარესტი) 0:6, ნაციონალი (ბუქარესტი) — ბაკაუ 2:2. ჩემპიონატს 9 ქულით ბუქარესტის „დინამო" ლიდერობს. მეორე-მესამე ადგილებზე ერთბაშად ხუთი გუნდია 6-6 ქულით.

**ინგლისის** ლიგის თასის მფლობელმა ლონდონის „ტოტენჰემმა" გადაწყვიტა, ნახევარმცველი დარენ ანდერტონი ტრანსფერზე დააყენოს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კლუბი ანდერტონთან კონტრაქტის პირობებზე ვერ შეთანხმდა და მის პოზიციაზე მოთამაშე ვილემ კორტსენი შეიძინა. თუ 28 წლის ანდერტონთან ახალი ხელშეკრულება მართლაც არ გაფორმდა, იგი გაიყიდება. „ტოტენჰემმა" ანდერტონი 1992 წელს შეიძინა „პორტსმუთიდან". მას შემდეგ ფეხბურთელი ინგლისის ნაკრების მუდმივი წევრია და ევროპის 1996 და 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც იცავდა ქვეყნის ღირსებას, მაგრამ ცხადია, როგორც ჩანს, მისი სანაკრებო კარიერა სრულდება. ანდერტონის შეძენის სურვილი „ლიდს იუნაიტედმა" და „მანჩესტერ იუნაიტედმა" გამოთქვეს.

**ინგლისის** ნაკრების ყოფილი მცველი სტიუარტ პირსი შესაძლოა „ნიუკასლ იუნაიტედიდან" ლონდონის „ვესტ ჰემში" გადავიდეს. 37 წლის ფეხბურთელს, რომელიც 1990 წლის მსოფლიოს და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობდა ლონდონელებმა ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს. „ვესტ ჰემი" „ევერტონიდან" ხორვატი მცველის — სლავენ ბილიჩის გადაბირებას ცდილობდა, მაგრამ ვერ შეძლო და პირსსაც ამიტომ ყიდულობს.

**გერმანიაში** ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებას მალე მორჩებიან. კერძოდ, მომავალ კვირაში, როდესაც ადგილობრივმა „ჰერტამ" კვიპროსის „ანორთოსისს" უნდა უმასპინძლოს (ეს მატჩი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისა გახლავთ), ბერლინელ გულშემატკივარს პერსონალური სკამები დახვდებათ. „სტადიონზე ყველა სამუშაო დროულად დასრულდება. 11 აგვისტოს შეხვედრას ხიფათი არ ელის" — განაცხადა ქალაქის მერმა ებერჰარდ დიეპგენმა რადიოინტერვიუში. შეგახსენებთ, რომ უეფა ჩემპიონთა ლიგის მატჩების გამართვას მხოლოდ ისეთ სტადიონებზე უშვებს, რომელზეც ინდივიდუალური სკამებია დამონტაჟებული. ამიტომაც მოთხოვა ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ ბერლინელებს სარბიელის 11 აგვისტოსთვის მოწესრიგება. ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე აქამდე 76 243 ადამიანი ეტეოდა, მაგრამ მათგან მხოლოდ 15 ათასს ერგებოდა პერსონალური სკამი. მოგეხსენებათ ეს ნაგებობა 1936 წლის ოლიმპიადისთვის გერმანიის იმდროინდელმა ნაცისტურმა ხელისუფლებამ ააშენა.

**რუსეთის** ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი რამიზ მამედოვი ორი წლით კიევის „დინამოს" შეუერთდა. ცნობაში, რომელიც კიეველთა პრესცენტრმა გაავრცელა წერია, რომ მოსკოვის „სპარტაკისა" და სამარის „კრილია სოვეტოვის" („დინამოში" სწორედ „კრილია სოვეტოვთან" გადავიდა) ყოფილი ფეხბურთელი გახლავთ მეხუთე, რომელმაც რუსეთიდან უკრაინის მთავარ გუნდს მიაშურა.

**ბულგარეთის** საფეხბურთო კავშირმა პერნიკის „მეტალურგი" პირველი დივიზიონიდან გააგდო. მიზეზი: თამაშების გარიგება-ჩაწყობა. „კავშირის აღმასკომმა ფეირ პლეის დარღვევის გამო გამოიტანა ასეთი ვერდიქტი: „მეტალურგს" ორი შეხვედრა, „ლიტექსისა" და „ლევსკის" წინააღმდეგ ჩაწყობილი ჰქონია. ამ შეხვედრებში გუნდი მოსაგებად არ იბრძოდა" — განაცხადა კავშირის პრესმდივანმა ნიკოლა ექსეროვმა. „მეტალურგმა" ზემოხსენებული შეხვედრები 0:3 და 1:3 წააგო. ხოლო ბულგარეთის ჩემპიონატის საბოლოო ცხრილში მე-10 ადგილი დაიკავა. პერნიკელთა გაძევებამ უშველა „შუმენს", რომელიც პლოვდივის „ლოკომოტივსა" და სოფიის „სეპტემვრისთან" ერთად უნდა გავარდნილიყო ლიგიდან. ბუნებრივია იკითხავთ საიდან გახდა ცნობილი მატჩთა ჩაწყობის შესახებ. საქმე ის გახლავთ, რომ თავად კლუბში წარმოშობილმა გავლენიან პირთა დაპირისპირებამ განაპირობა მაქინაციათა გამჟღავნება. რაც შეეხება ჩაწყობილ შეხვედრათა შედეგებს, ბულგარეთის ფეხბურთის ასოციაციამ ისინი გააუქმა და შესაბამისად „ლიტექსს" ქულათა საბოლოო რაოდენობა 76-დან 73 ქულამდე შეუმცირა, ხოლო „ლევსკის" 74-დან 71-მდე. ამ შემცირებით „ლიტექსსა" და „ლევსკის" ანუ ჩემპიონსა და ვიცე ჩემპიონს შორის ქულათა სხვაობა, ბუნებრივია, არ შეცვლილა. აღსანიშნავია ის სიახლეც, რომ „ლიტექსი" ახალი სეზონიდან სახელს იცვლის. ამიერიდან მას ქალაქის სახელი ლოვეჩი ერქმევა.

**სამხრეთ** ამერიკის „მერკოსურის" თასზე გაიმართა რამდენიმე შეხვედრა. A ჯგუფში ბრაზილიურმა „კრუზეირომ" 2:0 მოუგო არგენტინულ „რივერ პლეიტს", D ჯგუფში „ვასკუ და გამამ" ურუგვაის „ნასიონალს" 1:0 სძლია, C-ში არგენტინელმა „სან ლორენსომ" არა თანამემამულე „ბოკა ხუნიორსს" 1:0 აჯობა, ხოლო E ჯგუფში ჩილეს „კოლო კოლომ" ბრაზილიურ „ფლამენგოსთან" 0:4 წააგო.

**საფრანგეთის** ნაკრების მეკარეს ფაბიენ ბარტეზს ქურდებმა ძვირფასეულობები მოპარეს. პოლიციის განცხადებით ბოროტმოქმედთა მიერ წაღებული ნივთების საერთო რაოდენობა მილიონ ფრანგულ ფრანკს, ანუ 166 ათას დოლარს აღემატება. თავდასხმა ფეხბურთელის ვილაზე სწორედ მაშინ მოხდა, როცა ვარჯიშებისგან გადაღლილ ფეხბურთელს ტკბილად ეძინა. პოლიციისავე თქმით გაიქურდა მარტინ ჟეტუს ვილაც.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20



## ჯორკაეფი კაიზერსლაუტერნში გადავიდა

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონმა იური ჯორკაეფმა გერმანულ „კაიზერსლაუტერნთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მილანის „ინტერისა“ და მანამდე „პარი სენ ჟერმენის“ 31 წლის თავდამსხმელი ბუნდესლიგის გუნდმა, რომელშიც მისი მილანისდროინდელი თანაგუნდელი ჩირიაკო სფორცა თამაშობს, 2,21 მილიონ დოლარად იყიდა.

ამრიგად, სავარაუდოა, რომ ჯორკაეფი გერმანულ ფეხბურთში ძალას ჩემპიონატის პირველსავე შეხვედრაში მოსინჯავს. „კაიზერსლაუტერნისთვის“ ეს იქნება საშინაო მატჩი დორტმუნდის „ბორუსიასთან“.

ჯორკაეფის „ინტერიდან“ წასვლაში მოულოდნელი არაფერი ყოფილა, რადგან მას ჯერ კიდევ აპრილში ჰქონდა გამოცხადებული, რომ იტალიიდან გადაბარგებას აპირებს. თავიდან იგი აცხადებდა, რომ წინადადებები ჰქონდა საბერძნეთიდან, ესპანეთიდან და ინგლისიდან, მაგრამ, ბოლოს, როგორც ნახეთ, გერმანიაში ამოჰყო თავი.

„კაიზერსლაუტერნი“ წლეულს უეფას თასის გათამაშებაში ჩაერთვება.

## ფეხბურთელებს სექსი ვნებთ

სააგენტო როიტერმა გაავრცელა ცნობა, რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ ექიმების დასკვნით გადამეტებული სექსი ფეხბურთელებზე ცუდად მოქმედებს. როიტერი ჟურნალ „ნიუ საიენტისტს“ ეყრდნობა, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი მეცნიერთა გამოკვლევის შედეგები. თურმე არსებობს ბაქტერია, რომელიც სქესობრივი გზით ვრცელდება და იწვევს მუხლის ართრიტულ ტრავმებს.

„ნიუ საიენტისტი“ ასკვნის, რომ SARA ანუ სქესობრივი გზით შეძენილი რეაქტიული ართრიტი გახლავთ მუხლის ტრავმების ყველაზე გავრცელებული ნაირსახეობა.

იმ ახალგაზრდა სპორტსმენთა გამოკვლევამ, რომელთაც პროფესიული ტრავმა არ მიუღიათ, მაგრამ სახსრების დასიება შეენიშნებათ, ლონდონის დამოუკიდებელი საავადმყოფოს ორთოპედული ქირურგიის კონსულტანტ ჯონ კინგს დასკვნებისკენ უბიძგა, ხოლო მისი განყოფილების გამოცდილმა ექიმმა პოლ ოუდომ საკითხის შესწავლა განაგრძო.

„ანთებითი პროცესების ყველაზე გავრცელებული გამომწვევი მიზეზი SARA გახლავთ“ — ასკვნის კინგი ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში.

SARA-ს გამომწვევი ბაქტერია ყველაზე ფართოდ 18-34 წლის ადამიანებშია გავრცელებული, ხოლო მათ შორის საგანგებოდ გამოსაყოფია ის ხალხი, ვისაც ხშირად უწევს მოგზაურობა და გართობა.

„სპორტსმენები სწორედ რომ ადამიანთა ამ ჯგუფს განეკუთვნებიან. ისინი მდიდარნი და იმავდროულად საკმაოდ მოცლილნიც გახლავან“ — წერს ოუდო.

ოუდომ გამოიკვლია SARA-თი დაავადებული 10 სპორტსმენი, რომელთაგან ექვსი ფეხბურთელი გახლდათ. თან ამ ათეულიდან ხუთი პრემიერლიგაში თამაშობს.



პოლ გესქოინი ხიფათს ეთამაშება

„სპორტსმენთა შორის განურჩევლობა და დაუდევრობა ისეთი მასშტაბებისაა, რომ შეშფოთებას იწვევს. განსაკუთრებით ფეხბურთელებზე შეგვიძლია ამის თქმა“ — დასძენს ოუდო და მოჰყავს გამოკვლევის შედეგი: ათიდან რვა სპორტსმენი პროფესიის გამო არ იყო ტრავმირებული.

შემდეგ ჟურნალი წერს: „ცნობილი არ არის უყვებიან თუ არა სპორტსმენები თავიანთ ექიმებს საკუთარი სექსუალური აქტიურობის ამბებს, მაგრამ გამოკვლეულთაგან ხუთმა აღიარა, რომ ცხოვრებაში 11-ზე მეტი სქესობრივი პარტნიორი ჰყოლია. სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ხსენებული ასაკის ბრიტანელ მამაკაცთაგან ამდენი პარტნიორი მხოლოდ ყოველ მეოთხეს ჰყავს“.

## ბიჭები ჩივიან

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ამომავალი ვარსკვლავები რონი უოლუორკი და დენი ჰიგინბოთემი ჩივიან. მათი საჩივარი მიმართულია იმ დისკვალიფიკაციის წინააღმდეგ, მსაჯზე თავდასხმის გამო რომ მიესაჯათ. მოგეხსენებათ ეს ამბავი ბელგიაში მოხდა — ბიჭები იქაური მეორე დივიზიონის კლუბ „ანტვერპენს“ ჰყავდა ნათხოვი.

„ჩვენ სასჯელს ვასაჩივრებთ... საჩივრის წერილები დღეს გავაგზავნეთ“ — განაცხადა მოთამაშეთა ვექილმა სტეფან მორლეგემმა.

უოლუორკი, 21 წლის თავდამსხმელი, რომელსაც საგანგებო მომავალს უწინასწარმეტყველებენ, მსაჯ ამანდ ანსიონის ცემისთვის მთელი ცხოვრებით გახლავთ დისკვალიფიცირებული. ეს მოხდა 23 მაისს, როდესაც „ანტვერპენმა“ პლეი ოფის შეხვედრა წააგო და მეორე ლიგაში ჩარჩა.

20 წლის ჰიგინბოთემს კი ახალ სეზონში „მანჩესტერის“ მთავარ განაცხადში ელოდნენ. მას ანსიონისთვის შეუგინებია და მხოლოდ ერთწლიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს.

აღსანიშნავია, რომ სასჯელი ვრცელდება ფიფაში გაწევრიანებული უკლებლივ ყველა ქვეყნის პირველობაზე.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელებმა, სერ ალექს ფერგიუსონმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ იგი ყველა ღონეს იხმარს რათა ბიჭებს უშველოს და მათ ის სასჯელი მოიხადონ, რაც ეკუთვნით.

„21 წლის მოთამაშის მთელი ცხოვრებით მოკვეთა დაუშვებელია. ეს აბსოლუტურად უსამართლო და მცდარი ვერდიქტი გახლავთ და მსურს, რომ ბელგიის ფეხბურთის ასოციაციამ თავის დადგენილებას გადახედოს“ — ბრძანა სერ ალექსმა.

შვედეთში დაიწყო რობოტთა მსოფლიოს ჩემპიონატი. საშუალო ზომის ლიგაში ირანულმა რობოტებმა იტალიურებს 3:1 მოუგეს. ამ შეჯიბრებაში თითოეულ გუნდს ხუთი საცხობი ელექტროღუმელის ზომის რობოტი გაჰყავს მოედანზე. „ჩვენი მიზანია, განვავითაროთ რობოტები, რათა მათ 2050 წლისთვის უკვე ადამიანებთან შეჯიბრება შეეძლ[illegible]თ. მართალია ჯერ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ, მაგრამ მთავარია, რომ საქმე დაწყებულია და წინ მიიწევს. აღსანიშნავია, რომ რობოტთა ეს ჩემპიონატი რიგით მესამეა, მას იაპონური კორპორაცია „სონი“ აფინანსებს და 24 ქვეყნის 19 მონაწილე გუნდი ჰყავს. რაც შეეხება ადამიანთა ზომის და მსგავს, ორფეხიან რობოტებს, ფეხბურთს ადამიანების მსგავსად რომ თამაშობენ, მათი ჩემპიონატი 2002 წლისთვისაა ნავარაუდევი. „ეს ჩემპიონატი გვეხმარება იმის აღქმაში თუ როგორ უნდა განვავითაროთ რობოტები, რომელთა მთავარი დანიშნულება ბურთაობა კი არა, სამაშველო საქმიანობა იქნება“ — განაცხადა რობოთასის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰიროაკი კიტანომ.



## ხელშეუხებელი არავინ ყოფილა



კლარენს ზეედორფი (№10) მორიენტესის (მარჯნივ), მიატოვიჩისა (№8) და პანუჩის გარემოცვაში

მადრიდის „რეალმა“ განაცხადა, რომ გაყიდა თავისი ჰოლანდიელი ფეხბურთელი კლარენს ზეედორფი, მაგრამ ვის მიჰყიდა, საიდუმლოდ დატოვა.

ზეედორფი, 23 წლის შემტევი ნახევარმცველი, რომელიც „რეალში“ 1996 წელს იტალიური „სამპდორიადან“ გადავიდა, უწინდელ ცნობათა თანახმად, თუ გაიყიდებოდა 13 მილიონ გირვანქად უნდა გაყიდულიყო.

„რეალის“ პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა მართალია ამასწინათ განაცხადა, რომ ზეედორფის დათმობას არავისთვის აპირებდა, აზრი იცვალა. დღეს იგი ამბობს, რომ ხელშეუხებელი არავინაა.

აი, რას ამბობს თავად ზეედორფი: „სანამ „რეალს“ ჯონ ტოშაკი უდგას სათავეში, ჩემთვის გუნდში ყოფნას აზრი არ აქვს“. ტოშაკი, რომელმაც გასული სეზონის მიწურულს მადრიდელთა გუნდის თავკაცის თანამდებობაზე გუს ჰიდინკი შეცვალა, ზეედორფს დიდად არ წყალობს — ჰოლანდიელს სათადარიგოთა სკამზე მოუხდა დაჯდომა.

ესპანურ გაზეთს AS ზეედორფის სხვა ციტატაც მოაქვს: „ამ გუნდში მგონი სულელი ვგონივართ, რაღაც კომიკურ პერსონაჟად აღმიქვამენ. საკმარისია. კეთილი ინებონ და სერიოზულად აღმიქვან“.

ცნობათა თანახმად ზეედორფი გუშინ უნდა შეხვედროდა ხელმძღვანელებს. ბოსებთან საქმის გარჩევას იგი და მამამისი აპირებდნენ, მაგრამ ესპანელმა ჟურნალისტებმა ვერსად დაადგინეს მართლა იყო თუ არა დანიშნული „რეალის“ თავკაცთა და მამა-შვილ ზეედორფების შეხვედრა.

ცნობილია, რომ ნახევარმცველის შეძენით დაინტერესებულნი არიან იტალიური გუნდები „ლაციო“, „რომა“ და „ინტერი“. ცნობილია ისიც, რომ ბოლო დროს, საწვრთნელ ბანაკში ზეედორფმა ორჯერ დაარღვია დისციპლინა. კერძოდ როგორ — უცნობია.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

## ბელგია

# ბელგიის მეორეობა?



ბელგიის თასის მოგებით გახარებული გელა შეყილაძის თანაგუნდელები

დღეს ბელგიის პირველობა იწყება, თუმცა ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ჩემპიონის ბედი წინასწარაა გარკვეული. მათი აზრით, ევროპის ამ პატარა ქვეყნის უტიტულოვანეს კლუბ „ანდერლეხტს" ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევს და დანარჩენ კლუბებს მხოლოდ მეორე ადგილის მოპოვების შანსი აქვთ.

ბრიუსელის გუნდი მართლაც უმთავრესი ფავორიტია, რადგან მას ყველაზე დიდი ბიუჯეტი აქვს და ფეხბურთელებიც სხვებთან შედარებით უკეთესები ჰყავს. ბელგიური ჟურნალის „ჰუმის" მიერ ჩატარებული პირველი დივიზიონის კლუბების მწვრთნელთა გამოკითხვის შედეგებიც „ანდერლეხტის" ჩემპიონობას წინასწარმეტყველებს. 18-დან 14-ი გამოკითხული სწორედ ენცო შიფოს და მისი თანაგუნდელების საბოლოო გამარჯვებას ფიქრობს. მხოლოდ ორმა განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე სლოვენიის „მარიბორისაგან" ძლეული „გენკი" შეინარჩუნებს ტიტულს, „გენკი", რომლის შარშანდელი თავკაცი ემე ანტუენისიც ამ სეზონიდან უკვე „ანდერლეხტს" უდგას სათავეში.

მწვრთნელის გარდა ბრიუსელურ კლუბში კიდევ ერთი გამოსარჩევი ახალი კაცია. 120 მილიონ ბელგიურ ფრანკად (დაახლოებით 5,6 მილიონი ლარი) აქ გასული სეზონის ბელგიის საუკეთესო მეგოლე, ჩეხი იან კოლერიც გადაბარგდა „ლოკერენიდან", რომელმაც მეტად საიმედო მეკარე დენი დონდტიც დაკარგა (თუმცა დონდტმა თბილისის „დინამოს" მაინც ვერაფერი უშველა „ზიმბრუსთან").

„ვფიქრობ, 2000 წელს ჩემპიონები გავხდებით" — მეტად თავდაჯერებულად განაცხადა ბელგიური ფეხბურთის ვეტერანმა ენცო შიფომ, ვისაც მართალია ძველებურად ველარ მოსდევს ჯანი, მაგრამ მაინც მშვენიერ ფორმაშია. „ჩვენი პოტენციალის გათვალისწინებით, წინააღმდეგობას ვერავინ გაგვიწევს" — დაამატა შიფომ, რომელსაც თავდასხმაში კოლერი-რადზინსკის დუეტის დიდი იმედი აქვს. კანადელი ლეგიონერი შარშანაც კარგად თამაშობდა, თუმცა ტრავმებმა გააწამეს და „ანდერლეხტი" რომ მხოლოდ მესამე ადგილის დასჯერდა, ალბათ, ამის ბრალიც იყო.

თვით ანტუენისი კი შიფოს ენთუზიაზმს ბოლომდე არ იზიარებს და თავისი ახალი გუნდის შესახებ საუბრისას უფრო თავშეკავებულია: „ბოლო წლებია, „ანდერლეხტი" მუდმივად ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად ითვლება, მაგრამ პირველობის მოგება ვერ მოუხერხებია. მარტო ლაპარაკით შორს ვერ წავალთ და შეიძლება წელსაც პირში ჩალაგამოვლებულნი დავრჩეთ. უძლიერესობა მინდორზე უნდა დავამტკიცოთ, თორემ ფურცელზე შარშან მაგალითად იტალიაში „ინტერზე" ძლიერი გუნდი არ იყო. საბოლოოდ კი რომელ ადგილზე გავიდა რონალდოსა და ბაჯოს გუნდი კარგად იცით. ასე რომ, წინასწარ არაფერია გადაწყვეტილი. ოქროს მედლების მოსაპოვებლად მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო. ისე მომქანცველი სეზონის ბოლოს ჩემპიონის ტიტულს სხვა გუნდი დაეუფლება".

ერთი სიტყვით, ჩემპიონატის უპირველეს ფავორიტად მაინც „ანდერლეხტი" უნდა მივიჩნიოთ. და ვინ იბრძოლებს მეორე ადგილისთვის? ალბათ, შარშანდელი ჩემპიონი „გენკი" და ვიცე-ჩემპიონი „ბრიუგე". მათ დავაში კი შეიძლება ქართველი ლეგიონერების გუნდები და „მუსკრონი" ჩაერიონ. რაკი ჩვენებურები ვახსენეთ, აქვე ვთქვათ, რომ ძირითად განაცხადში „ლიერსმა" გელა შეყილაძე შეიყვანა, ხოლო „სტანდარდმა" ლაშა ჯაკობია არა. თუმცა საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრების ლიდერი კლუბის ახალგაზრდულ გუნდშია და თუ ხორვატ მწვრთნელ ტომისლავ ივიჩს მისი პირველ გუნდში გადმოყვანა მოუნდება (რისი იმედიც გვაქვს), ამას იგი უპრობლემოდ შეძლებს.

„ბრიუგემ" წლეულს საგრძნობი დანაკლისი განიცადა. მწვრთნელი ერიკ გერეტსი და ნახევარმცველები — ერიკ ადო და ფრენკი ვან დერ ელსტი ძალიან დიდი ძალა იყო. გერეტსი ახალი სეზონიდან ჰოლანდიურ „ეინდჰოვენს" უთავკაცებს და განელი ფეხბურთელიც თავის ახალ კლუბში წაიყვანა. „დინამოს" რომ „ზიმბრუსთან" სირცხვილი არ ეჭამა, მათ ნახვას მომავალ ოთხშაბათს თბილისში შევძლებდით. რაც შეეხება ვან დერ ელსტს, მან მოთამაშის კარიერა შეწყვიტა და ახალჩამოყალიბებულ „ჟერმინალ-ბეერსხოტს" ჩაუდგა სათავეში. ეს გუნდი „ეკერენისა" და ერთ დროს ბელგიური ფეხბურთის ძლიერი წარმომადგენლის, ანტვერპენის „ბეერსხოტის" გაერთიანების შემდეგ შეიქმნა და ჩვენც „ბეერსხოტად" მოვიხსენიებთ. ვან დერ ელსტის ახალი გუნდის ძალა საკუთარ თავზე ქუთაისის „ტორპედომ" უკვე იწვნია. ჩვენებურნი ევროპული შეკრებისას ამ კლუბს ამხანაგურად გაეჯიბრნენ და მეტად „არამეგობრულად" განწყობილმა ბელგიელებმა ქუთათურები 9:2 გაანადგურეს.

დავუბრუნდეთ „ბრიუგეს". მისმა ხელმძღვანელებმა წასულები შეცვალეს და სეზონსაც საკმაო ამბიციებით ხვდებიან. მის სათავეში რენე ვერჰეიენის მოსვლა ბევრისთვის მოულოდნელი იყო, თუმცა თვით მწვრთნელი აცხადებს, რომ გუნდში ჯანსაღი კონკურენციაა და მაღალი მიზნებისთვისაც იბრძოლებენ. მისი თქმით, პროგრამა-მინიმუმი უეფას თასის საგზურის მოპოვებაა, პროგრამა-მაქსიმუმი კი... მაგრამ „ანდერლეხტი" ხომ თითქოს ხელშეუხებელია?!

„გენკსაც", მისი ორი მთავარი კონკურენტის მსგავსად, ახალი მწვრთნელი ჰყავს. იოს ჰეილიგენს ემე ანტუენისის ღირსეულად შეცვლა ნამდვილად გაუჭირდება, მით უმეტეს, რომ იგი „გენკის" ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის, სხვაგანგადასული ულარის იმედზე ვერ იქნება. მიუხედავად ამისა, ჩემპიონი ნაადრევად ჩამოსაწერი სულაც არაა. თანაც ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზე ოცნებაშეწყვეტილი გუნდი მთელ ძალებს საშინაო ტურნირებისკენ მიმართავს და იქნებ...

შარშან ქვეყნის თასი რომ არ მოეგო, „ლიერსის" სეზონი ჩაგდებულად ჩაითვლებოდა. არადა, გელა შეყილაძის გუნდი ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ლიერსელები კარგად კი თამაშობდნენ, მაგრამ გამოცდილება აკლდათ, სახიფათო მომენტების უმრავლესობას ვერ იყენებდნენ. თუმცა, მათ დაცვაშიც ხშირად მოსდიოდათ უაზრო შეცდომები. ეს კი ქარს გატანებულ ქულებს უდრის. კლუბის ხელმძღვანელობამ წლეულს ბელგიის მასშტაბით საკმაო ფული დახარჯა და ახალწვეულებით აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრასაც გეგმავს. რა გამოვა აქედან, დრო გვიჩვენებს. ისე „ლიერსს" ევროსაგზურისთვის ბრძოლა ნამდვილად შეუძლია. ზოგიერთი ბელგიელი ჟურნალისტის აზრით კი, იქნებ სამი წლის წინანდელივით მოულოდნელი ჩემპიონიც გახდეს.

„სტანდარდი" თავის გულშემატკივრებს ევროპაში გასვლას ჰპირდება. მისი შემადგენლობის შემხედვარე მივხვდებით, რომ ივიჩმა ახალი ტრანსფერებით კიდევ უფრო გააძლიერა დაცვა. წინა ხაზზე ხორვატ მწვრთნელს ძმების — ემილი და მბო მპენზას და ფრედერიკ პიერის იმედი აქვს, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში იქნებ ლაშა ჯაკობიაც მიახმაროს.

**ბაიოჯ თალაქვაძე**



იან კოლერი წლევანდელ სეზონში „ანდერლეხტში" ითამაშებს

## მნიშვნელოვანი ტრანსფერები

| ფეხბურთელი | საიდან | სად |
|---|---|---|
| ტიბორ სელიმეში (რუმინეთი) | ანდერლეხტი | სტანდარდი |
| დან პეტერსენი (დანია) | ანდერლეხტი | ბასტია |
| ფილიპ ალბერი (ბელგია) | ნიუკასლი | შარლერუა |
| ოლივიე რენარი (ბელგია) | შარლერუა | უდინეზე |
| ერიკ ადო (განა) | ბრიუგე | ეინდჰოვენი |
| სტენლი მენცო (ჰოლანდია) | ლიერსი | აიაქსი |
| იან კოლერი (ჩეხეთი) | ლოკერენი | ანდერლეხტი |
| ფრედერიკ პიერი (ბელგია) | მუსკრონი | სტანდარდი |
| ანდრე კრუზი (ბრაზილია) | სტანდარდი | ტორინო |

**აალსტი** — მწვრთნელი: ბარი ჰულშოფი; მეკარეები: ვან დე [illegible], [illegible], ვანსტენბერგი; მცველები: ურბანი, ამონიკე, ს. კურემანი, გერა[illegible]სი, მილოშევიჩი, მუკანია, სამდიონი, ვან დერ ჰეიდენი, ვანჰოივეგენი, ბერგჰ[illegible]; ნახევარმცველები: [illegible]რემანი, დე საედელერი, ჰანსენი, დე ოლივეირა, [illegible], [illegible], [illegible]რმანი; თავდამსხმელები: დოს სანტოსი, გარსია დოუკე, ლამბო, ლასენი, ტიებო, ვან დენ ბოში, ვან დერ კელერი

**ანდერლეხტი** — მწვრთნელი: ემე ანტუენისი; მეკარეები: მილოიევიჩი, დე კონინკი, დევილდე; მცველები: კრასონი, დოლი, დე ბოეკი, სტასენი, სელიმეში, კლაეისი, დედენი; ნახევარმცველები: სტალენსი, ზეტერბერგი, შიფო, სტიოკა, ბაასეჯიო, ვან დიმენი, სოტაერსი; თავდამსხმელები: გური, აარსტი, კორნელისი, კოსტიჩი, რადზინსკი, ტაუმენტი, იაშჩუკი, ანასტასიუ

**ბეერსხოტი** — მწვრთნელი: ფრენკი ვან დერ ელსტი ; მეკარეები: მუნსი, ვერბისტი; მცველები: სმიდტსი, კოვაჩი, ჰერემანი, სანდიონი, სვეტლიჩიჩი, მარინოვიჩი, მუტავჯიჩი, ვან მიგემი; ნახევარმცველები: კარაგიანისი, ჰააგდორენი, ვან დერ ჰეიდენი, ბარტოლომეუსენი, ჰოფმანსი, ბრუსელერსი, დეგრიზი; თავდამსხმელები: სევერეინსი, მორჰეი, სონკი, დემკინი, ჰანსენსი

**ბევერენი** — მწვრთნელი: სტანისლას გზილი; მეკარეები: ლემენსი, პერსმანი, ბელკენერსი; მცველები: დამანი, სკალია, სმეტი, ვან ოპჰუიზენი, ვერერტბრიუგე, ბლამინკი; ნახევარმცველები: დონტი, იმაგბუდუ, კანუ, მაგერმანი, სელსი, სმიგი, ტეუნისი, ვან რუმსტი; თავდამსხმელები: ნუჰიჯი, ნვაკუკვუ, ეკანზა სიმბა, ტორკენი, ვან დენ ედე, ნგორანი, მარსინ ზევლაკოვი, მიშალ ზევლაკოვი, ბონეტო

**ბრიუგე** — მწვრთნელი: რენე ვერჰეიენი; მეკარეები: ვერლინდენი, ბელპერი, ელ საიედი; მცველები: ბორკელმანსი, დე კოკი, დე ფრანდრი, ილიჩი, ლესნიაკი; ნახევარმცველები: დებრული, ლემბი, პარდო, ვან დერ ელსტი, ვერმანტი, ვერჰეიენი, ანიჩი, ვერჟანი; თავდამსხმელები: კლასენსი, დური, ფადიგა, შბარი, ეკაგია, იანკაუსკასი, შოკერტი, სილა

**გეელი** — მწვრთნელი: პოლ პოუტი; მეკარეები: მერტენსი, შურმანსი, ოლიესლაგერსი; მცველები: ასარე, კურტო, გერინკსი, იანსენი, დ. სმიტსი, სილვერანსი, ვამეზუ; ნახევამცველები: ალენტიინსი, ბოლარტსი, იანსენსი, ლენდვალი, მეუსენი, ნივკოვიჩი, ბ. სმიტსი, ვერსაველი; თავდამსხმელები: ბუშუარი, დალემანსი, დელენი, ფერენცი, ნიკოლიჩი, რაშიდი

**გენკი** — მწვრთნელი: იოს ჰეილიგენი; მეკარეები: ბროკჰაზერი, დუმანი, გოლდერსი; მცველები: დელ ბროკი, კიმონი, კინუნენი, ოლივეირი, ვან გეენი, ვან გრონსველდი; ნახევარმცველები: ჰაზი, ტ. გუდიონსონი, ჰენდრიქსი, ნსუმბუ, ორიჯი, რეინი, ტეელენი, ი. გუდიონსონი, ბ. გუდიონსონი; თავდამსხმელები: დე ოლივეირა, დოს სანტოსი, ხორვატი, სტრუპარი

**გენტი** — მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი; მეკარეები: დენი, ჰარპოელი, დაემსი; მცველები: კაერსი, კოლენი, მასაჯი, რამჩიჩი, ვასოვი, ვრევენი, დრაგუტინოვიჩი; ნახევარმცველები: კამიუ, ბარკა, დოვენი, დე პუიო, დე მეიერი, ფოგენი, დეგრიზი, ჟ. რუსელი; თავდამსხმელები: შატელე, დე კრაეკი, მარტენსი, ნილსენი, ს. რუსელი

**ვესტერლო** — მწვრთნელი: იან კულემანსი; მეკარეები: რონდაგი, დელკენსი, დიალო; მცველები: დე კონინკი, კოქსი, ფრანკენი, ლეკონტი, მაშიელსი, ტოლენი, ვერჰეიენი; ნახევარმცველები: სილიანოვსკი, ბურგი, დაუვი, ტეილორი, იანსენსი, მეზანო, პორტი, ტანსი; თავდამსხმელები: ბრონიო, კონენი, ფერეირა, იანსენი, ლა ვალი, მიტროვიჩი

**ლიერსი** — მწვრთნელი: ვალტერ მეუვსი; მეკარე: დემანი; მცველები: ბროკენი, დე კეიზერი, ეფტევაგი, ჰოპკენსი, ლარემესი, პოორტერსი, შეყილაძე, სერნეერსი, ვან მეირი; ნახევარმცველები: დაემსი, ლეენი, სონერსი, ვან დე ვეიერი, ზდებელი; თავდამსხმელები: ჰუისმანსი, სპიტერი, ჰუისტა, ჰააგდორენი, კავენსი

**ლოკერენი** — მწვრთნელი: ვილი რეინდერსი; მეკარეები: პეტერსი, სირენსი; მცველები: დე გესტი, გუსბრეხტი, იანსენსი, პენიჩკა, სტალენსი, ვან დამი, ვან დენდერი, ვან დე სომპელი, ვანეზებრუკი, ზერი, აბუო; ნახევარმცველები: ბუდკა, დობრასინოვიჩი, კანუ, სნოეკსი, ვან გენეგდენი, ვონაჩეკი, ვიდარსონი, დაგო; თავდამსხმელები: ბოეკა ლისარი, ბუაი კიდორა, დიასი, კოლერი, კოზაკი

**ლომელი** — მწვრთნელი: იოს დაერდენი; მეკარეები: მატისენი, ნიისი; მცველები: ნასენი, ნობენი, სეგერსი, სიმონსი, ვან დიესტი, ვან კესელი, ვინკენი; ნახევარმცველები: ბარანიოში, კანაერტსი, მენესი, ნუიტსი, შუბერტი, ვანმაელი, ვან ველდოვენი, ნივალდო, ზუაუი; თავდამსხმელები: აიაზი, კევე, დეკელვერი, ეშუნი, გარსია, ვალიგორა

**მეხელენი** — მწვრთნელი: გიუნტერ აკობი; მეკარეები: ვილოკსი, ლებეუი; მცველები: ბალი, ემერანი, პეიტიე, დებუშერი, დიალო, დე ნეისი, დარკონი; ნახევარმცველები: კალუვე, კამიუ, რიბუსი, პეტერსი, ვანდენბროკი, კამარა, გრევენი; თავდამსხმელები: ელიასი, ვან ჰოუტი, კუში, ვან სტენბერგი, ბენუა, ბრუინინკსი

**მუსკრონი** — მწვრთნელი: ჰუგო ბრუსი; მეკარეები: ფეისი, ტიმა, ვანდენდრისკე, დებენე; მცველები: რეზენგესი, კრუზი, დე ვლეშოვერი, ლესიაკი, სეინავე, ვან დურმი, ვიდოვიჩი; ნახევარმცველები: ვერსპელი, ვენადუში, კასტო, დუგარდენი, ლადონი, მარტიჩი, ტანგე, ვანდერაგე, ვუიტსი, ბანი, ასუ; თავდამსხმელები: ელ იდრისი, ლავარე, ნზუზი, ვანდორენი

**ს. ტრუიდენი** — მწვრთნელი: პოლ პეტერსი; მეკარეები: ბელიჩი, ვოლკი, რეინდერსი; მცველები: აეტსი, დეკერსი, დელო, დუკოლომბიე, ლანგლუა, მიისი, ვან ოკელენი, ვოეტსი, ვრანკენი; ნახევარმცველები: ბუვენსი, დირიკსი, ენგლებერი, გრამე, ჰოლანსი, პეტერსენი, ტეპერსი, ისაიაში; თავდამსხმელები: ფიერსი, ლიუბობრატოვიჩი, მერკენსი, რასმუსენი, რუდონია, ვანგეელი

**სტანდარდი** — მწვრთნელი: ტომისლავ ივიჩი; მეკარეები: მაესი, ჟილე, არბანი, ბრუნიე; მცველები: რენიე, ერნსტი, იასკულსკი, მედვედი, რემაკი, აფოლაბი, ბილიჩი, ტორაბიანი; ნახევარმცველები: ბისკონტი, გოდფრუა, ბლეი, დე კონდე, ჰალდერმანსი, ჰელერსი, მონესი, ტისი, ალიაი, ფოია; თავდამსხმელები: ლუკუნკუ, ე. მპენზა, მ. მპენზა, მორნარი, პიერი

**შარლერუა** — მწვრთნელი: ლუკა პერუზოვიჩი; მეკარეები: დეტრო, ფრანსი; მცველები: ვანდერბერგი, პუგლიტსი, ფაზანო, ჟერარი, პეირმანსი, სელენჟი, ტეკლატი, ტოკენე, ულრიხი, უიო; ნახევარმცველები: რაბა, ბრონიო, ომელიანოვიჩი, რემი, ვან ბუიტენი, ვან ჰამი; თავდამსხმელები: ჯიმი, გეიე, იოვანი, უედრაოგო

**ჰარელბეკე** — მწვრთნელი: ჰენკ ჰოუვარტი; მეკარე: დე ვილდე; მცველები: დელტური, ჰამეგი, ლ. კუბიკი, მაესი, პასტური, ვანიევენუიზე, ანსა, ვერჰოენი; ნახევარმცველები: კლომპი, ა. კუბიკი, ლამერსი, პიტერსი, ტადიჩი, ვერჰოვენი, ბისერი, ბოსტინი, ზანგიონოვი; თავდამსხმელები: კამარა, დე ტოლენარი, ალი იბრაჰიმი, ზვინგილასი, პაასი

# ფეხბურთი

**I ტური. 6.08.99**

გეელი - გენტი
7.08 ვესტერლო - გენკი
სტანდარდი - მეხელენი
შარლერუა - ჰარელბეკე
ბევერენი - აალსტი
ლიერსი - ბეერსხოტი
ლომელი - ლოკერენი
ბრიუგე - სტ.ტრუიდენი
8.08 ანდერლეხტი - მუსკრონი

**II ტური. 14.08.99**

გენტი - გენკი
სტ.ტრუიდენი - გეელი
ბეერსხოტი - ლომელი
მეხელენი - შარლერუა
ვესტერლო - სტანდარდი
15.08 აალსტი - ლიერსი
ჰარელბეკე - მუსკრონი
ლოკერენი - ბრიუგე
ანდერლეხტი - ბევერენი

**III ტური. 21.08.99**

სტ.ტრუიდენი - ლოკერენი
სტანდარდი - გენტი
შარლერუა - ვესტერლო
მუსკრონი - მეხელენი
ბევერენი - ჰარელბეკე
ლიერსი - ანდერლეხტი
ლომელი - აალსტი
გეელი - გენკი
22.08 ბრიუგე - ბეერსხოტი

**IV ტური. 28.08.99**

გენტი - შარლერუა
გენკი - სტანდარდი
ლოკერენი - გეელი
ბეერსხოტი - სტ.ტრუიდენი
ანდერლეხტი - ლომელი
მეხელენი - ბევერენი
ვესტერლო - მუსკრონი
29.08 აალსტი - ბრიუგე
ჰარელბეკე - ლიერსი

**V ტური. 11.09.99**

სტ.ტრუიდენი - აალსტი
ლოკერენი - ბეერსხოტი
შარლერუა - გენკი
მუსკრონი - გენტი
ბევერენი - ვესტერლო
ლიერსი - მეხელენი
ლომელი - ჰარელბეკე
გეელი - სტანდარდი
12.09 ბრიუგე - ანდერლეხტი

**VI ტური. 18.09.99**

გენტი - ბევერენი
გენკი - მუსკრონი
სტანდარდი - შარლერუა
ბეერსხოტი - გეელი
ანდერლეხტი - სტ.ტრუიდენი
მეხელენი - ლომელი
ვესტერლო - ლიერსი
აალსტი - ლოკერენი
19.09 ჰარელბეკე - ბრიუგე

**VII ტური. 25.09.99**

სტ.ტრუიდენი - ჰარელბეკე
ლოკერენი - ანდერლეხტი
ბეერსხოტი - აალსტი
მუსკრონი - სტანდარდი
ბევერენი - გენკი
ლიერსი - გენტი
ლომელი - ვესტერლო
გეელი - შარლერუა
26.09 ბრიუგე - მეხელენი

**VIII ტური. 2.10.99**

გენტი - ლომელი
გენკი - ლიერსი
სტანდარდი - ბევერენი
შარლერუა - მუსკრონი
ანდერლეხტი - ბეერსხოტი
მეხელენი - სტ.ტრუიდენი
ვესტერლო - ბრიუგე
3.10 აალსტი - გეელი
ჰარელბეკე - ლოკერენი

**IX ტური. 13.10.99**

ბრიუგე - გენტი
სტ.ტრუიდენი - ვესტერლო
ლოკერენი - მეხელენი
ბეერსხოტი - ჰარელბეკე
აალსტი - ანდერლეხტი
ბევერენი - შარლერუა
ლიერსი - სტანდარდი
ლომელი - გენკი
გეელი - მუსკრონი

**X ტური. 23.10.99**

გენტი - სტ.ტრუიდენი
გენკი - ბრიუგე
სტანდარდი - ლომელი
შარლერუა - ლიერსი
მუსკრონი - ბევერენი
ანდერლეხტი - გეელი
მეხელენი - ბეერსხოტი
ვესტერლო - ლოკერენი
24.10 ჰარელბეკე - აალსტი

**XI ტური. 30.10.99**

სტ.ტრუიდენი - გენკი
ლოკერენი - გენტი
ბეერსხოტი - ვესტერლო
ანდერლეხტი - ჰარელბეკე
ლიერსი - მუსკრონი
ლომელი - შარლერუა
გეელი - ბევერენი
31.10. ბრიუგე - სტანდარდი
აალსტი - მეხელენი

**XII ტური. 6.11.99**

გენტი - ბეერსხოტი
გენკი - ლოკერენი
სტანდარდი - სტ.ტრუიდენი
შარლერუა - ბრიუგე
მუსკრონი - ლომელი
ბევერენი - ლიერსი
მეხელენი - ანდერლეხტი
ვესტერლო - აალსტი
7.11 ჰარელბეკე - გეელი

**XIII ტური. 10.11.99**

ბრიუგე - მუსკრონი
სტ.ტრუიდენი - შარლერუა
ლოკერენი - სტანდარდი
ბეერსხოტი - გენკი
აალსტი - გენტი
ანდერლეხტი - ვესტერლო
ჰარელბეკე - მეხელენი
ლომელი - ბევერენი
გეელი - ლიერსი

**XIV ტური. 20.11.99**

გენტი - ანდერლეხტი
გენკი - აალსტი
სტანდარდი - ბეერსხოტი
შარლერუა - ლოკერენი
მუსკრონი - სტ.ტრუიდენი
ბევერენი - ბრიუგე
ლიერსი - ლომელი
მეხელენი - გეელი
ვესტერლო - ჰარელბეკე

**XV ტური. 27.11.99**

სტ.ტრუიდენი - ბევერენი
ლოკერენი - მუსკრონი
ბეერსხოტი - შარლერუა
ანდერლეხტი - გენკი
მეხელენი - ვესტერლო
გეელი - ლომელი
28.11.99ბრიუგე - ლიერსი
აალსტი - სტანდარდი
ჰარელბეკე - გენტი

**XVI ტური. 4.12.99**

გენტი - მეხელენი
გენკი - ჰარელბეკე
სტანდარდი - ანდერლეხტი
შარლერუა - აალსტი
მუსკრონი - ბეერსხოტი
ბევერენი - ლოკერენი
ლიერსი - სტ.ტრუიდენი
ლომელი - ბრიუგე
გეელი - ვესტერლო

**XVII ტური. 11.12.99**

სტ.ტრუიდენი - ლომელი
ლოკერენი - ლიერსი
ბეერსხოტი - ბევერენი
ანდერლეხტი - შარლერუა
მეხელენი - გენკი
ვესტერლო - გენტი
12.12 ბრიუგე - გეელი
აალსტი - მუსკრონი
ჰარელბეკე - სტანდარდი

**XVIII ტური. 12.01.00**

სტ.ტრუიდენი - ბრიუგე
გენკი - ვესტერლო
მეხელენი - სტანდარდი
ჰარელბეკე - შარლერუა
მუსკრონი - ანდერლეხტი
აალსტი - ბევერენი
ბეერსხოტი - ლიერსი
ლოკერენი - ლომელი
გენტი - გეელი

**XIX ტური. 15.01.00**

გენკი - გენტი
გეელი - სტ.ტრუიდენი
ლომელი - ბეერსხოტი
ლიერსი - აალსტი
ბევერენი - ანდარლეხტი
მუსკრონი - ჰარელბეკე
შარლერუა - მეხელენი
სტანდარდი - ვესტერლო
16.01 ბრიუგე - ლოკერენი

**XX ტური. 22.01.00**

ბეერსხოტი - ბრიუგე
ლოკერენი - სტ.ტრუიდენი
გენტი - სტანდარდი
ვესტერლო - შარლერუა
მეხელენი - მუსკრონი
ანდერლეხტი - ლიერსი
გენკი - გეელი
23.01 ჰარელბეკე - ბევერენი
აალსტი - ლომელი

**XXI ტური. 29.01.00**

შარლერუა - გენტი
სტანტარდი - გენკი
გეელი - ლოკერენი
სტ.ტრუიდენი - ბეერსხოტი
ლომელი - ანდერლეხტი
ლიერსი - ჰარელბეკე
ბევერენი - მეხელენი
მუსკრონი - ვესტერლო
30.01 ბრიუგე - აალსტი

**XXII ტური. 5.02.00**

ანდერლეხტი - ბრიუგე
ბეერსხოტი - ლოკერენი
გენკი - შარლერუა
გენტი - მუსკრონი
ვესტერლო - ბევერენი
მეხელენი - ლიერსი
სტანდარდი - გეელი
6.02 აალსტი - სტ.ტრუიდენი
ჰარელბეკე - ლომელი

**XXIII ტური. 12.02.00**

ბევერენი - გენტი
მუსკრონი - გენკი
შარლერუა - სტანდარდი
გეელი - ბეერსხოტი
ლოკერენი - აალსტი
სტ.ტრუიდენი - ანდერლეხტი
ლომელი - მეხელენი
ლიერსი - ვესტერლო
13.02 ბრიუგე - ჰარელბეკე

**XXIV ტური. 19.02.00**

მეხელენი - ბრიუგე
ანდერლეხტი - ლოკერენი
სტანდარდი - მუსკრონი
გენკი - ბევერენი
გენტი - ლიერსი
ვესტერლო - ლომელი
შარლერუა - გეელი
20.02 ჰარელბეკე - სტ.ტრუიდენი
აალსტი - ბეერსხოტი

**XXV ტური. 4.03.00**

ლომელი - გენტი
ლიერსი - გენკი
ბევერენი - სტანდარდი
მუსკრონი - შარლერუა
გეელი - აალსტი
ბეერსხოტი - ანდერლეხტი
ლოკერენი - ჰარელბეკე
სტ.ტრუიდენი - მეხელენი
5.03 ბრიუგე - ვესტერლო

**XXVI ტური. 11.03.00**

გენტი - ბრიუგე
ვესტერლო - სტ.ტრუიდენი
მეხელენი - ლოკერენი
ანდერლეხტი - აალსტი
შარლერუა - ბევერენი
სტანდარდი - ლიერსი
გენკი - ლომელი
მუსკრონი - გეელი
12.03 ჰარელბეკე - ბეერსხოტი

**XXVII ტური. 18.03.00**

სტ.ტრუიდენი - გენტი
ლომელი - სტანდარდი
ლიერსი - შარლერუა
ბევერენი - მუსკრონი
გეელი - ანდერლეხტი
ბეერსხოტი - მეხელენი
ლოკერენი - ვესტერლო
19.03 ბრიუგე - გენკი
აალსტი - ჰარელბეკე

**XXVIII ტური. 25.03.00**

სტანდარდი - ბრიუგე
გენკი - სტ.ტრუიდენი
გენტი - ლოკერენი
ვესტერლო - ბეერსხოტი
მეხელენი - აალსტი
მუსკრონი - ლიერსი
შარლერუა - ლომელი
ბევერენი - გეელი
26.03 ჰარელბეკე - ანდერლეხტი

**XXIX ტური. 1.04.00**

ბეერსხოტი - გენტი
ლოკერენი - გენკი
სტ.ტრუიდენი - სტანდარდი
ლომელი - მუსკრონი
ლიერსი - ბევერენი
გეელი - ჰარელბეკე
ანდერლეხტი - მეხელენი
2.04 ბრიუგე - შარლერუა
აალსტი - ვესტერლო

**XXX ტური. 8.04.00**

მუსკრონი - ბრიუგე
შარლერუა - სტ.ტრუიდენი
სტანდარდი - ლოკერენი
გენკი - ბეერსხოტი
გენტი - აალსტი
ვესტერლო - ანდერლეხტი
მეხელენი - ჰარელბეკე
ბევერენი - ლომელი
ლიერსი - გეელი

**XXXI ტური. 15.04.00**

ანდერლეხტი - გენტი
ბეერსხოტი - სტანდარდი
ლოკერენი - შარლერუა
სტ.ტრუიდენი - მუსკრონი
ლომელი - ლიერსი
გეელი - მეხელენი
16.04 აალსტი - გენკი
ბრიუგე - ბევერენი
ჰარელბეკე - ვესტერლო

**XXXII ტური. 22.04.00**

ლიერსი - ბრიუგე
ბევერენი - სტ.ტრუიდენი
მუსკრონი - ლოკერენი
შარლერუა - ბეერსხოტი
სტანდარდი - აალსტი
გენკი - ანდერლეხტი
გენტი - ჰარელბეკე
ვესტერლო - მეხელენი
ლომელი - გეელი

**XXXIII ტური. 7.05.00**

მეხელენი - გენტი
ჰარელბეკე - გენკი
ანდერლეხტი - სტანდარდი
აალსტი - შარლერუა
ბეერსხოტი - მუსკრონი
ლოკერენი - ბევერენი
სტ.ტრუიდენი - ლიერსი
ბრიუგე - ლომელი
ვესტერლო - გეელი

**XXXIV ტური. 14.05.00**

გეელი - ბრიუგე
ლომელი - სტ.ტრუიდენი
ლიერსი - ლოკერენი
ბევერენი - ბეერსხოტი
მუსკრონი - აალსტი
შარლერუა - ანდერლეხტი
სტანდარდი - ჰარელბეკე
გენკი - მეხელენი
გენტი - ვესტერლო

| № | ბელგიის ჩემპიონატი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **აალსტი** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | **ანდერლეხტი** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | **ბეერსხოტი** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | **ბევერენი** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | **ბრიუგე** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | **გეელი** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 7 | **გენკი** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | **გენტი** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 9 | **ვესტერლო** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 10 | **ლიერსი** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 11 | **ლოკერენი** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 12 | **ლომელი** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 13 | **მეხელენი** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 14 | **მუსკრონი** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 15 | **სტ. ტრუიდენი** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 16 | **სტანდარდი** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 17 | **შარლერუა** | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 18 | **ჰარელბეკე** | | | | | | | | | | | | | | | | | | |

*შენიშვნა: კალენდარში მოცემულია წინასწარი, ძირითადი თარიღები. ერთი ან ორი მატჩი, როგორც ეს პირველ ტურშია, სხვა დღეს ტარდება და მათ ტურის წინ ირჩევენ*

# ევროპის უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

## იტალია

მილანი: კრისტიან ციგე* (მიდლსბრო, ინგლისი), იბრაჰიმ ბა (სევილია, ესპანეთი), ჯამპიერო მანინი (პარმა), [illegible] კრუზი (ტორინო), დეიან სავიჩევიჩი (რაპიდი, ავსტრია), მორფეო (ფიორენტინა), ოდო ([illegible]), [illegible] (ტორინო), იანუცი (რეჯინა), დიდა (კორინთიანსი, ბრაზილია); **ანდრეი შევჩენკო (დინამო, უკრაინა), სერჟინიო (სან პაულუ, ბრაზილია), დიეგო დე აშენტისი (ბარი), ჯენარო გატუზო (სალერნიტანა), პიერლუიჯი ორლანდინი (პარმა), ალესანდრო ტოლდორანი (ჩეზენა), მაქს ტონეტო (ემპოლი)**; ლაციო: პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი), მორონე (ემპოლი), ბარონიო (რეჯინა); **კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა)**; იუვენტუსი: ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი), ბლანშარი (ლანსი, საფრანგეთი), დე სანტისი (უდინეზე); **ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი), მეკაია (სამპდორია), ობრაიენი (მიდლსბრო, ინგლისი), ისაქსონი (ტრელებორგი, შვედეთი)**; ინტერი: იური ჯორკაეფი* (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია), დი ნაპოლი (პიაჩენცა); **ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი), დაბო (ვიჩენცა), ფერარო (ლეჩე), კალონი (კალიარი)**; ფიორენტინა: ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი), რობიატი (ნაპოლი), ბიჯიკა (ნაპოლი), ედმუნდო (ვასკო და გამა, ბრაზილია); **დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრესანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე), მორფეო (მილანი)**; პარმა: აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდო პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ფიორე (უდინეზე), კარდონე (ვენეცია), ადაილტონი (ვერონა), ასპრილია (პალმეირასი, ბრაზილია); **მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მანინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლასისი (სამპდორია), სტრადა (პერუჯა), ვალემი (უდინეზე), მონტანო (კილმესი, არგენტინა)**; რომა: პაულო სერჟიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია), ლუჩენტი (ნაპოლი), კიენტი (ლეჩე), დ. კონტი (კალიარი); **ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სერგეი გურენკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), მონტელა (სამპდორია), მანგონე (ბოლონია), ასუნსაო (სანტოსი, ბრაზილია)**; ბოლონია: კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა), მანი (მილანი), ბრუნერი (კომო), პომპეი (ასკოლი), მანგონე (რომა); **დავიდე დი მიქელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა), როკატი (რავენა)**; უდინეზე: მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა), ვალემი (პარმა), კალორი (პერუჯა), ვაპენაარი (უტრეხტი, ჰოლანდია); **ვარლეი (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), მარჯიოტა (რეჯინა), ბინედა (მალიორკა, ესპანეთი), სოტილი (ატალანტა), პისარო (უნდერერსი, ჩილე), ფიორე (პარმა), დე სანტისი (იუვენტუსი), ბუდიმირი (ჰაიდუკი, ხორვატია), მუცი (კალიარი), რენარდო (შარლერუა, ბელგია), აკვასი (ლუგანო, შვეიცარია)**; ბარი: მაურო ბრესანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); **დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რივერ პლეიტი, არგენტინა), პეროტა (იუვენტუსი), ფერარო (ინტერი)**; კალიარი: კ. ძანეტი (ინტერი), ვაზარი (სამპდორია), ძანონჩელი (ბრეშა), კენტურიონი (ტრევიზო), კალონი (ინტერი), ბიზოლი (პერუჯა), მუცი (უდინეზე); **მოდესტო (ბასტია, საფრანგეთი), დილიზო (ვიჩენცა), მაიელი (შატორუ, საფრანგეთი), დ. კონტი (რომა)**; ლეჩე: სტელონე (პარმა), კასალე (სამპდორია), ფერარო (ინტერი); **ბონომი (ემპოლი), კოლონელო (პერუჯა), ლიმა (ციურიხი, შვეიცარია), კიენტი (რომა), კიშიშევი (ლიტექსი, ბულგარეთი)**; პერუჯა: კოლონელო (ლეჩე), რანტანელი (რეჯინა), რივასი (ინტერი), სტრადა (პარმა); **ტაპია (უნივერსიდად კათოლიკა, ჩილე), ბერნარდინი (სალერნიტანა), დანი გარსია (აალსტი, ბელგია), სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), პანტელიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კალორი (უდინეზე), მილანეზე (პარმა), ბიზოლი (კალიარი), მატერაცი (ევერტონი, ინგლისი)**; პიაჩენცა: ს. ინძაგი (ლაციო), სტატუტო (რომა); **მორონე (ლაციო), დი ნაპოლი (ინტერი)**; რეჯინა: ფირმანი (ვიჩენცა), ტომიჩი (ვიჩენცა); **ბარონიო (ლაციო), კალონი (ინტერი), იანუცი (მილანი), სტოვინი (ვიჩენცა)**; ტორინო: ფატორი (ვიჩენცა); **ივიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლანტცი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), ედმანი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), კრუზი (მილანი), სილენცი (რავენა), კოკო (მილანი), დიავარა (მონაკო, საფრანგეთი), პანარელი (ნაპოლი), პეკია (იუვენტუსი)**; ვენეცია: რეკობა (ინტერი), აჰინფული (ბოავიშტა, პორტუგალია), ტუტა (ვიმარაეში, პორტუგალია), პისტონე (ნიუკასლი, ინგლისი); **ბუდანი (რიეკა, ხორვატია), კარდონე (ვიჩენცა), ნანამი (ჯუბილო ივატა, იაპონია), პეტკოვიჩი (ბაია, ბრაზილია), ბერგი (რუსენბორგი, ნორვეგია)**; ვერონა: ფოლიო (რეჯინა); **ადაილტონი (პსჟ, საფრანგეთი), სეზარი (მონაკო, საფრანგეთი), ფერი (ინტერი), ანასტაზი (ფოჯა).**

## ინგლისი

მანჩესტერ იუნაიტედი: პეტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია); **მარკ ბოსნიჩი (ასტონ ვილა), ხორდი კრუიფი (სელტა, ესპანეთი)**; არსენალი: ნიკოლა ანელკა* (რეალი, ესპანეთი), კაბა დიავარა (მარსელი, საფრანგეთი), დავიდ გრონდინი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), სტივ ბოულდი (სანდერლენდი); **ტიერი ანრი (იუვენტუსი, იტალია), ოლეგ ლუჟნი (დინამო, უკრაინა), სილვინიო (კორინთიანსი, ბრაზილია), სტეფან მალცი (მიუნხენი, გერმანია), დავორ შუკერი (რეალი, ესპანეთი)**; ჩელსი: მაიკლ დაბერი (ლიდსი), ენდი მეიერსი (ბრედფორდი), ედი ნიუტონი (ბირმინგემი); **დიდიე დეშამპი (იუვენტუსი, იტალია), მარიო მელხიოტი (აიაქსი, ჰოლანდია), კრის სატონი (ბლექბერნი), იენს ჰოგი (ფენერბაჰჩე, თურქეთი)**; ლივერპული: სტივ მაკმანამანი (რეალი, ესპანეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), ჟან მიშელ ფერი (სოშო, საფრანგეთი); **აბუბაკარ „ტიტი" კამარა (მარსელი, საფრანგეთი), სტეფან ენჩოსი (ბლექბერნი), სემი ჰიპია (ტილბურგი, ჰოლანდია), ვლადიმირ შმიცერი (ლანსი, საფრანგეთი), სანდერ ვესტერველდი (ვიტესი, ჰოლანდია), ერიკ მეიერი (ლევერკუზენი, გერმანია), დიტმარ ჰამანი (ნიუკასლი), ჯიმი ტრაორე (ლავალი, საფრანგეთი)**; ნიუკასლი: დავიდ ჟერიე (ნიცა, საფრანგეთი), ფილიპ ალბერი (შარლერუა, ბელგია), დიტმარ ჰამანი (ლივერპული); **ფრანკ დუმა (მონაკო, საფრანგეთი), ალან გომა (პსჟ, საფრანგეთი), მარსელინო ელენა (მალიორკა, ესპანეთი), კაირონ დაიერი (იფსვიჩი)**; ევერტონი: იბრაჰიმ ბაკაიოკო (მარსელი, საფრანგეთი), ოლივიე დაკურტი (ლანსი, საფრანგეთი), მარკო მატერაცი (პერუჯა, იტალია); **კევინ კემბელი (ტრაბზონი, თურქეთი), რიჩარდ გაფი (ნოტინგემი)**; ქოვენთრი: ჯორჯ ბოატენგი (ასტონ ვილა), ფილიპ კლემენტი (ბრიუგე, ბელგია); **მუსტაფა ჰაჯი (დეპორტივო, ესპანეთი), იუსუფ ჩიპო (პორტუ, პორტუგალია)**; ასტონ ვილა: სტენ კოლიმორი (ფულემი); **დევიდ ჯეიმსი (ლივერპული), ჯორჯ ბოატენგი (ქოვენთრი), ნაჯუან გრაიენი (ჰაპოელი, ჰაიფა, ისრაელი)**; ლესტერი: კესი კელერი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი); სანდერლენდი: მაიკლ ბრიჯისი (ლიდსი), ლი კლარკი (ფულჰემი); **ტომას ჰელმერი (ბაიერნი, გერმანია), სტივ ბოულდი (არსენალი), კარსტენ ფრედგაარდი (ლუნგბიუ, დანია)**; ლიდსი: ჯიმი ჰასელბაინკი (ატლეტიკო), ლი შარპი (ბრედფორდი), დევიდ ვატერლი (ბრედფორდი), გუნარ ჰალე (ბრედფორდი); **მაიკლ ბრიჯისი (სანდერლენდი), მაიკლ დაბერი (ჩელსი), დენი მილსი (ჩარლტონი), ერიკ ბაკე (სოგნდალი, ნორვეგია)**; დერბი: პაოლო ვანჩოპე (ვესტ ჰემი); **ესტებან ფუერტესი (კოლონი, არგენტინა), ენდი ოუკსი (ჰული), სეტ იონსონი (კრიუ)**; ვესტ ჰემი: ეიალ ბერკოვიჩი (სელტიკი, შოტლანდია); **პაოლო ვანჩოპე (დერბი)**; უიმბლდონი: მარკ კენედი (მანჩესტერ სიტი), კრის პერი (ტოტენჰემი); **უალიდ ბადერი (ჰაპოელი, ფ-თ, ისრაელი), კელვინ დევისი (ლუტონი), კრის ვილმოტი (ლუტონი), ტორე პედერსენი (აინტრახტი, გერმანია)**; უოტფორდი: დარენ ბაზელი (ვულვზი); **დომინიკ ფოლი (ვულვზი), მარკ უილიამსი (ჩესტერფილდი), დეს ლიტლი (ნოტინგემი)**; ტოტენჰემი: რორი ალენი (პორტსმუთი), ენდი სინტონი (ვულვზი); **კრის პერი (უიმბლდონი), ვილი კორსტენი (ვიტესი, ჰოლანდია)**; საუთჰემპტონი: **დინ რიჩარდსი (ვულვზი)**; შეფილდ უენსდეი: **ჟილ დე ბილდე (ეინდჰოვენი, ჰოლანდია), გერალდ სიბონი (აიაქსი, ჰოლანდია), ფილ ოდონელი, სიმონ დონელი (ორივე სელტიკი, შოტლანდია)**; ბრედფორდი: **ლი შარპი (ლიდსი), დევიდ ვატერლი (ლიდსი), გუნარ ჰალე (ლიდსი)**;

## ესპანეთი

ბარსელონა: სონი ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჯოვანი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დრაგან ჩირიჩი (აეკი, საბერძნეთი), როხერი (მონაკო, საფრანგეთი), ოსკარი (ვალენსია), ოკუნოვო (ბენფიკა, პორტუგალია), პელეგრინო (ველესი, არგენტინა); **დანი (მალიორკა), ფრედერიკ დეჰუ (ლანსი, საფრანგეთი), იარი ლიტმანენი (აიაქსი, ჰოლანდია), სიმაო საბროსა (სპორტინგი, პორტუგალია)**; რეალი: ფერნანდო სანსი (მალაგა), ხაიმე (დეპორტივო), პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), კრისტიან პანუჩი (ინტერი, იტალია), როხასი (მალაგა), კონტრერასი (მალაგა), ედგარი (მალაგა), ეტო (მალაგა), დავორ შუკერი (არსენალი, ინგლისი); **ნიკოლა ანელკა* (არსენალი, ინგლისი), ელვირ ბალიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მანუელ კანაბალი (ალავესი), ივან ელგერა (ესპანიოლი), სტივ მაკმანამანი (ლივერპული, ინგლისი), მიჩელ სალგადო (სელტა), ხულიო ცეზარი (ვალიადოლიდი), კონგო (კალდესი, კოლუმბია), ნჯიტაპი (გენჩლერბირლიგი, თურქეთი)**; სელტა: მიჩელ სალგადო (რეალი), ოსკარ ვალესი (ბილბაო), ხუან სანჩესი (ვალენსია), ხორდი კრუიფი (მანჩესტერი, ინგლისი), ეგენი (ალავესი), ხოსემა (ოსასუნა); **გუსტავო ლოპესი (სარაგოსა), მარკო პანტელიჩი (ლოზანა, შვეიცარია), მარიო ექტორ ტურდო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), ჯოვანელა (სალამანკა), ველასკო (სევილია), პაბლო (ნუმანსია), სერხიო (სპორტინგი)**; სარაგოსა: გუსტავო ლოპესი (სელტა); **ალბერტო ბელსუე (ალავესი), ცეზარ ლაინესი (ვილიარეალი), პიერი (ტენერიფე), მარტინ ველისკა (სალამანკა)**; ატლეტიკო: ხუან კარლოს კარსედო (ნიცა, საფრანგეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), მიკელე სერენა (პარმა, იტალია), სტეფანო ტორიზი (პარმა, იტალია); **ხუან კაპდევილა (ესპანიოლი), ჯიმი ჰასელბაინკი (ლიდსი, ინგლისი), კარლოს გამარა (კორინთიანსი, ბრაზილია), ველიკო პაუნოვიჩი (მალიორკა), ტონი (ესპანიოლი), უგო ლეალი (ბენფიკა, პორტუგალია), პილიპაუსკასი (ბელა ვისტა, ურუგვაი)**; ბეტისი: ნადი (ოვიედო), არპონი (ოსასუნა); დეპორტივო: მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი, ინგლისი), ხავიერ მანხარინი (რასინგი), არმანდო (მალიორკა), ჟერომ ბონისელი (ბორდო, საფრანგეთი), სტეფან ზიანი (ბორდო, საფრანგეთი); **ხაიმე (რეალი), ხოსე მანუელი (სპორტინგ ხიხონი), სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე), ივან პერესი (ბორდო, საფრანგეთი), ვიქტორი (რასინგი, სანტანდერი), მანელი (ოვიედო), ცეზარი (ოვიედო), რუბიო (რეალი), მაკაი (ტენერიფე)**; მალიორკა: დანი (ბარსელონა), მარსელინო (ნიუკასლი, ინგლისი), ველიკო პაუნოვიჩი (ატლეტიკო), პინედა (უდინეზე), ჩუპა ლოპესი (სან ლორენცო, არგენტინა), რუფეტე (მალაგა); **არმანდო (დეპორტივო), ხერმან ბურგოსი (რივერ პლეიტი, არგენტინა), ივან სესარ გაბრიჩი (ესტრემადურა), სერისუელა (ლანუსი, არგენტინა), კუინტეროსი (არგენტინოს ხუნიორსი)**; ბილბაო: კორინო (ესპანიოლი), ნაგორე (ნუმანსია), ხორხე პერესი (ნუმანსია); **ედუ ალონსო (სალამანკა), ორბაისი (ოსასუნა), ოსკარ ვალესი (სელტა), არტურო სივორი (ალავესი), ბოლო (რაიო ვალეკანო)**; სოსიედადი: იგორ ცვიტანოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია), გრაცია (ვილიარეალი); **ბონილა (რენისტასი, ურუგვაი)**; ალავესი: ალბერტო ბელსუე (სარაგოსა), მანუელ კანაბალი (რეალი), ლოპეს გერარდი (ვალენსია), არტურო სივორი (ბილბაო), ივან როჩა (სარაგოსა), ალფონსო (ოსასუნა), ვიტამინა სანჩესი (ფეიენოორდი, ჰოლანდია); **ალექს დის ვეგა (ნუმანსია), მორენო ვარელა (ნუმანსია), ოსკარ ტელესი (ვილიარეალი), ჰერარა (ფერო კარილ ოესტე, არგენტინა), კონტრა (დინამო, ბუქარესტი, რუმინეთი), ეგენი (სელტა), მინგო (სპორტინგი), მორალესი (ერკულესი), ნან რიბერა (ესპანიოლი), ხავი მორენო (ნუმანსია), კოდრო (ტენერიფე)**; ვალენსია: ოსკარ ტელესი (ალავესი), პოპესკუ (პორტუ, პორტუგალია), ლუკარელი (სამპდორია); **დავიდ ალბელდა (ვილიარეალი), დანიელ ფაჯიანი (ნეველს ოლ ბოისი, არგენტინა), ლოპეს გერარდი (ალავესი), ოსკარ გარსია (ბარსელონა), ხუან სანჩესი (სელტა), პალოპი (ვილიარეალი), კაზეირო (ბენფიკა, პორტუგალია)**; რასინგი: ფროდე გროდასი (შალკე 04, გერმანია), ვიქტორი (დეპორტივო); **ხავიერ მანხარინი (რასინგი), მარსელო ესპინია (კოლო-კოლო, ჩილე), კოლსა (ლოგრონიესი)**; მალაგა: **კონტრერასი (რეალი), ედგარი (რეალი), როხასი (რეალი), ფერნანდო სანსი (რეალი); კიკი მუსამპა (ბორდო, საფრანგეთი), რუფეტე (მალიორკა)**; ოვიედო: მორა (ესპანიოლი), მანელი (დეპორტივო); **უნსუე (ტენერიფე), კლასენსი (ბრიუგე, ბელგია), ნადი (ბეტისი), ოსკარ ალვარესი (ბარსელონა B)**; ესპანიოლი: ტონი (ატლეტიკო), ელგერა (რეალი), კაპდევილა (ატლეტიკო), ნან რიბერა (ალავესი), პაჩეტა (ნუმანსია); **ნავასი (უდინეზე, იტალია), ტონი ველამაზანი (ესტრემადურა), მოლნარი (ზალაეგერსეგი, უნგრეთი), ცეზარ სანტისი (უნიონი, ჩილე), კორინო (ბილბაო), როტჩენი (ინდეპენდიენტე, არგენტინა), მორა (ოვიედო)**; სევილია: ველასკო (სელტა); **ანხელი (ნუმანსია), ფრედი (სპორტინგი), გალვანი (რეკრეატივო), ბა (მილანი იტალია)**; ვალიადოლიდი: ხულიო ცეზარი (რეალი), რაული (პუებლა, მექსიკა), გუტიერესი (პუებლა, მექსიკა), დუტუელი (პუებლა, მექსიკა); **ტენა (რეალი), ლუისი (ბარსელონა B)**; ნუმანსია: პალაციოსი (მერიდა), პაბლო (სელტა), ხავი მორენო (ალავესი), მოისესი (ტენერიფე), ანხელი (სევილია); **მანუსოვიჩი (სან ლორენცო, არგენტინა), მუნისი (რაიო ვალეკანო), პაჩეტა (ესპანიოლი), ხორხე პერესი (ბილბაო), ნაგორე (ბილბაო)**; რაიო ვალეკანო: ბოლო (ბილბაო), მუნისი (ნუმანსია)

## გერმანია

ბაიერნი: თომას ჰელმერი (სანდერლენდი), ალი დაეი (ჰერტა); **პატრიკ ანდერსონი (მიონხენგლადბახი), როკე სანტა კრუზი (ოლიმპია ასუნსიონი), მიხაელ ვისინგერი (ნიურნბერგი), პაულო სერჟიო (რომა)**; ლევერკუზენი: ერიკ მეიერი (ლივერპული), იან ჰაინცე (ეინდჰოვენი), ჰანს-პეტერ ლენჰოფი ?, ნიკო კოვაჩი (ჰამბურგი), რუდიგერ ფოლბორნი (კარიერა დაასრულა), პატრიკ ფალკი (აინტრახტი), პაოლო რინკი (სანტოსი), ადამ ლედვონი, მეჰდი პაშაზადე (ორივე ფორტუნა); **მიხაელ ბალაკი (კაიზერსლაუტერნი), რობსონ პონტე (გუარანი), ბერნდ შნაიდერი (აინტრახტი), ტომას ბრდარიჩი (ფორტუნა), ოლივერ ნოივილი (ჰანზა), ფრანკ იურიჩი (დიუსელდორფი), ვრატისლავ გრეშკო (ბრატისლავა), ტორბენ ჰოფმანი (ფრაიბურგი), მიროსლავ შპიცაკი (ურდინგენი)**; ჰერტა: კრისტიან საბა (ბაიერნი), კარსტენ ლაკისი (ვალდჰოფი); **ალი დაეი (ბაიერნი), სებასტიან დაისლერი (მიონხენგლადბახი), კაი მიხალკე (ბოხუმი), კოსტას კონსტანტინიდისი (პანათინაიკოსი), მარკო რემერი (ჰანზა), დენის მაკერტი (ვალდჰოფი)**; დორტმუნდი: ბაშირუ სალუ (აინტრახტი), რენე შნაიდერი (ჰანზა), თომას ჰესლერი (მიუნხენ 1860), თომას ჰენგენი (ბეშიქთაში), მანფრედ ბინცი (ოფენბახი), მარტინ კრეე ?, ჰარი დეშეივერი (კარიერა დაასრულა), სკოტ ბუტი (ტვენტე), სტეფან შაპუიზა (გრასჰოპერი), კრისტიან ტიმი (კიოლნი); **ვიქტორ იკპება (მონაკო), კრისტიან ვიორნსი (პსჟ), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი), ჯუზეპე რეინა (არმინია), ოტო ადო (ჰანოვერი), სეად კაპეტანოვიჩი (ვოლფსბურგი)**; კაიზერსლაუტერნი: მიხაელ ბალაკი (ლევერკუზენი), თომას რიდლი (მიუნხენ 1860), ოლივერ შეფერი (ბეშიქთაში), უვე როსლერი (ბერლინი), დანიელ გრაფი (ფორტუნა), პასკალ ოჯიგვე (კიოლნი); **იური ჯორკაეფი* (ინტერი, იტალია), ტომას სობოჩიკი (აინტრახტი), ჯეფ შტრასერი (მეცი), სლობოდან კომლიენოვიჩი (დუისბურგი), იგლი ტარე (დიუსელდორფი), იორგენ პეტერსონი (მიონხენგლადბახი), სილვიო აჯიჩი, რომან ვაიდენფელერი (სამოყვარულო გუნდიდან)**; ვოლფსბურგი: როი პრეგერი (ჰამბურგი), სეად კაპეტანოვიჩი (დორტმუნდი), მარიან კოვაჩევიჩი (დუისბურგი), კლაუდიო რეინა (გლაზგო რეინჯერსი), უვე ციმერმანი (ბრაუნშვაიგი), ჯონათან აკონორი (ოსნაბრუკი), დრაგან სტეფანოვიჩი ?; **დორინელ მუნტეანუ (კიოლნი), ჯონათან აკპობორი (შტუტგარტი), კრისტიან ვუკი (უგუნდოდ), მარკუს ფელდჰოფი (მიონხენგლადბახი), პატრიკ ვაიზერი (რენი), კრისტიან ბრანდი (ვერდერი), მარტინ ბილიშკოვი (ჰაიდუკი)**; ჰამბურგი: სერგეი კირიაკოვი (ბერლინი), თომას ფოგელი (მიონხენგლადბახი), მარტინ დალინი (ბლექბერნი), ალექსანდერ კურტიანუ (კიშინიოვი), ოლივერ შტრაუბე (უნტერჰახინგი), ალან იეპსენი (ჰერენვენი); **მეჰდი მაჰდავიკია (ბოხუმი), ნიკო კოვაჩი (ლევერკუზენი), როი პრეგერი (ვოლფსბურგი)**; დუისბურგი: სლობოდან კომლიენოვიჩი (კაიზერსლაუტერნი), პასკალ ტიულერი (სენტ გალენი), მარტინ ფრიდეკი (ტეპლიცე); **მიხაელ ცაიერი (შტუტგარტი), მარიან კოვაჩევიჩი (ვოლფსბურგი), მარტინ შნაიდერი (მიონხენგლადბახი), რალფ კაიდელი (ნიუკასლი), ანდრეას ვოსი (ლევერკუზენი)**; მიუნხენ 1860: აბდერაჰიმ ოუაკილი (ბერლინი), ბერნდ მაიერი (მიონხენგლადბახი), შტეფან მალცი (არსენალი), მანფრედ ბენდერი (კარლსრუე), ბერნდ ჰობში (ნიურნბერგი); **კრისტიან პროზენიცი, მარკუს პორკი (ორივე რაპიდი, ვენა), ტომას ვოტავა (სპარტა), თომას ჰესლერი (დორტმუნდი), მარტინ მაქსი (შალკე), შტეფან პასლაკი (მიონხენგლადბახი), თომას რიდლი (კაიზერსლაუტერნი)**; შალკე: ჰამი (ტრაბზონსპორი), ფილიპ ტაპალოვიჩი (მიუნხენ 1860), რენე აიკელკამპი (კარიერა დაასრულა), მარტინ მაქსი (მიუნხენ 1860), ფროდე გროდასი (სანტანდერი), საშა ვოლფი (ესენი); **ტომაშ ვალდოხი (ბოხუმი), მილს ოუდ-კამპუსი (ტვენტე), ებე სანდი (ბრონდბიუ)**; შტუტგარტი: ფრედი ბობიჩი (დორტმუნდი), ჯონათან აკპობორი (ვოლფსბურგი), ფრანკ ვერლაატი (აიაქსი), მიხაელ ცაიერი (დუისბურგი); **პაველ კუკა (ნიურნბერგი), იენს ტოდტი (ვერდერი), ჰაიკო გერბერი (ნიურნბერგი)**; ფრაიბურგი: დამირ ბურიჩი (მიონხენგლადბახი), ტორბენ ჰოფმანი (ლევერკუზენი), იორნ შვინკენდორფი (ვალდჰოფი), მაიკ რიტპაიხი (ბოხუმი); **ბიორნ დრეერი (ნორდერშტადტი), ტობიას ვილი (სამოყვარულო გუნდიდან), ანდრეას ცაიერი (ბოხუმი), ოუმარ კონდე (ბლექბერნი), ფლორიან ბრუნსი (ოლდენბურგი)**; ვერდერი: იენს ტოდტი (შტუტგარტი); **ფრანკ ბაუმანი (ნიურნბერგი)**; ჰანზა: ოლივერ ნოივილი (ლევერკუზენი), მარკო რემერი (ჰერტა), იენს დოვე (რაპიდი, ვენა); **რენე შნაიდერი (დორტმუნდი), აბდელაზიზ აჰანფუფი (უნტერჰახინგი)**; აინტრახტი: თომას სობოჩიკი (კაიზერსლაუტერნი), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), იშტვან პისონტი (ჰაპოელი), დამირ სტოიაკი (ნაპოლი), ზვოლტ პეტრი (კავალა), ტორე პედერსენი (უიმბლდონი), ბურჰანეთინ კაიმაკი (იზმირი), საშა ამშტეტერი (ურდინგენი), ტორსტენ ფლიკი (საარბრიუკენი); **ბაშირუ სალუ (დორტმუნდი), ეროლ ბულუტი (ფენერბაჰჩე), ჰორს ჰელდტი (მიუნხენ 1860), პატრიკ ფალკი (ლევერკუზენი), როლფ-კრისტელ გუიე-მიენი (კარლსრუე), ტორსტენ კრახტი (ბოხუმი)**; არმინია: ჯუზეპე რეინა (დორტმუნდი), ჰენრიკ ბალუშინსკი, სვენ ბოი (ორივე ბოხუმი); **მარსიო ბორჯესი (ვალდჰოფი), დირკ ვან დერ ვენი (ურდინგენი), კრისტიან საბა (ჰერტა), მარკუს ვაისენბერგერი (ლინცერი)**; უნტერჰახინგი: მატიას ლუშტი (ბოხუმი), აბდელაზიზ აჰანფუფი (ჰანზა), მიხაელ შპისი (ლიუბეკი); **ლუდვიგ კიოგლი (ლუცერნი), ოლივერ შტრაუბე (ჰამბურგი), დანიშ შვარცი (კარლსრუე), დენის გრასოვი (კიოლნი)**; ულმი: ფრიც ვალტერი (კარიერა დაასრულა), ივიცა პირიჩი (ჰაიდუკი); **რუი მარკეში (ბენფიკა), რაინერ შარინგერი (კარლსრუე)**

*შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ღია შრიფტით — გასხვისებული; * – უახლესი ტრანსფერი*

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის თასის II ეტაპი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6.08 | ნორდესტედი - შტუტგარტი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| | ჰალე - მაინცი | 4,0 | 3,3 | 1,7 |
| | როიტლინგენი - ბოხუმი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | ტრირი - კარლსრუე | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | ურდინგენი - ბერლინი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | გიუტერსლო - კოტბუსი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 7.08 | ბაბელსბერგი - უნტერჰახინგი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | ვერდერი (მოყვ.) - ფორტუნა | 4,0 | 3,3 | 1,7 |
| | ვატენშაიდი - კიოლნი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | პირმასენსი - მიუნხენი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| | ლანდსჰუტი - ჰანზა | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| | მეპენი - ოფენბახი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | პლაუენი - კიკერსი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | ფორცჰაიმი - ფრაიბურგი | 7,5 | 4,7 | 1,25 |
| | ლანგერვეჰე - ხემნიცი | 7,0 | 3,5 | 1,4 |
| | დინამო ბერლინი - არმინია | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | შიონბერგი - ვალდჰოფი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| | ზინგენი - ფიურტი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 8.08 | დიუსელდორფი - ულმი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | ვერლი - აინტრახტი | 6,5 | 4,0 | 1,35 |
| | როზენჰაიმი - ზტ. პაული | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | ლიუბეკი - ჰანოვერი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 9.08 | ზაარბრიუკენი - შალკე | 5,6 | 3,4 | 1,5 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.08 | ვესტ ჰემი - ტოტენჰემი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | არსენალი - ლესტერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ჩელსი - სანდერლენდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ქოვენთრი - საუთჰემპტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | ლიდსი - დერბი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | მიდლსბრო - ბრედფორდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ნიუკასლი - ასტონ ვილა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | უოტფორდი - უიმბლდონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | შეფილდ უენსდი - ლივერპული | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 8.08 | ევერტონი - მანჩესტერი | 3,8 | 2,8 | 1,9 |

### ინგლისი. I დივიზიონი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.08 | ბირმინგემი - ფულემი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | ბლექბერნი - პორტ ვეილი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ჩარლტონი - ბარნსლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | კრისტალ პალასი - ქრიუ | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | გრიმსბი - სტოკპორტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | იფსვიჩი - ნოტინგემი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | პორტსმუთი - შეფილდ იუნაიტედი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | ქუინზ პარკი - ჰადერსფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | ტრანმერი - ბოლტონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | უოლსოლი - სუინდონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ვესტ ბრომვიჩი - ნორვიჩი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 8.08 | მანჩესტერ სიტი - ვულვერჰემპტონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ინგლისი. II დივიზიონი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.08 | ბორნმუთი - კემბრიჯი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | როვერსი - ბრენტფორდი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | ბერი - ჯილინგემი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | ჩესტერფილდი - კოლჩესტერი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ნოტსი - ლუტონი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ოლდემი - პრესტონი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | რედინგი - ბრისტოლი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | სტოკი - ოქსფორდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | უიგანი - სკანთორპი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | უიკომბი - ბარნლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ბლექპული - რექსემი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | კარდიფი - მილუოლი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ინგლისი. III დივიზიონი. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.08 | ბრაიტონი - მენსფილდი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | კარლაისლი - ლეიტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ჩელტენემი - როჩდეილი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ჩესტერი - ბარნეტი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ექსეტერი - ჰალი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | ჰალიფაქსი - დარლინგტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ლინკოლნი - როტერჰემი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | მაკლსფილდი - ნორთჰემპტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | პიტერბრო - ჰარტლპული | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | შრიუსბერი - ტორკი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | საუთენდი - პლიმუთი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | იორკი - სუონსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. II ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6.08 | სედანი - ნანსი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | სტ. ეტიენი - ნანტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | ლანსი - მონაკო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | ბასტია - სტრასბური | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 7.08 | რენი - პსჟ | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | მეცი - ოსერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | მონპელიე - ბორდო | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. II ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.08 | გენგამი - კრეტეი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ლე მანი - ნიორი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | კაენი - ვასკეალი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | კანი - ტულუზი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | ვალანსი - ლუანი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | გენიონი - აიაჩო | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | სოშო - ნიცა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | ლილი - ნიმი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ამიენი - ლავალი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ბელგია. I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6.08 | გეელი - გენტი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 7.08 | ვესტერლო - გენკი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | სტანდარდი - მეხელენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | შარლერუა - ჰარელბეკე | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | ბევერენი - აალსტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | ლიერსი - ბეერსხოტი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | ლომელი - ლოკერენი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 8.08 | ანდერლეხტი - მუსკრონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ბრიუგე - სტ. ტრუიდენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ჩეხეთი. II ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6.08 | იაბლონეცი - ტეპლიცე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 7.08 | ოპავა - სპარტა | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 8.08 | ბლშანი - ჰ. კრალოვე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | სლავია - ბანიკი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | სიგმა - ბოჰემიანსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ვიქტორია - ბუდეიოვიცე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | დუკლა - ლიბერეცი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 9.08 | დრნოვიცე - ბრნო | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### პოლონეთი. IV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6.08 | ლეხი - სტომილი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| | ვისლა - რაძიონკოვი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | ამიცა - ლეგია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 7.08 | პოლონია - პოგონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | რუხი - გროცლინი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ლკს - ვიძევი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | გურნიკი - პლოცკი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ზაგლებე - ოდრა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### უკრაინა. VI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.08 | დინამო - ჩორნომორეცი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| | მეტალურგი - კარპატი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | ზირკა - მეტალისტი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | ტავრია - ცსკა | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | დნიპრო - ნივა | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| | კრივბასი - მარიუპოლი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | ვორსკლა - პრიკარპატია | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | ზაპოროჟიე - შახტარი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### თურქეთი. [illegible] ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6.08 | გალათასარაი - გაზიანთეფი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 7.08 | გენჩლერბირლიგი - ბეშიქთაში | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | სამსუნი - ანკარაგიუჯიუ | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 8.08 | ერზურუმი - დენიზლი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | ფენერბაჰჩე - ვანი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 0:1 | 1,3 | 3,9 | 5,0 |
| | ბურსა - ალთაი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | გიოზთეფე - ქოჯაელი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | ანთალია - ისთანბული | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | ადანა - ტრაბზონი | 4,4 | 3,1 | 1,7 |

### შოტლანდია. II ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.08 | სელტიკი - სტ. ჯონსტონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ჰართსი - რეინჯერსი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | კილმარნოკი - აბერდინი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | მოზერველი - დანდი იუნაიტედი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 8.08 | დანდი - ჰიბერნიანი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### ავსტრია. VII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6.08 | ტიროლი - გრაცერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 7.08 | ბრეგენცი - ლინცერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | რაპიდი - ლუსტენაუ | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | რიდი - ზალცბურგი | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| | შტურმი - აუსტრია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### შვეიცარია. VII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.08 | ლუცერნი - არაუ | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | სტ. გალენი - ივერდონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ლოზანა - ციურიხი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | დელემონი - ქსამაქსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 8.08 | გრასჰოპერი - ლუგანო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### დანია. III ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8.08 | კოპენჰაგენი - ოლბორგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | ესბიერგი - ვეილე | 1,9 | 3,1 | 3,4 |
| | აკადემისკი - ლიუნგბიუ | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | ჰერფიოლგე - ოდენსე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ვიბორგი - აგფ | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 9.08 | ბრონდბიუ - სილკებორგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### შვედეთი. XVI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7.08 | აიკ - ტრელებორგი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | ფრიოლუნდა - ჰელსინგბორგი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 8.08 | ჰალმსტადი - გიოტებორგი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | იორებრო - კალგარი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 9.08 | ელფსბორგი - ნორჩიოპინგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | იორგრიტე - იურგარდენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | მალმიო - ჰამარბი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ნორვეგია. XVIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8.08 | ბოდიო გლიმტი - რუსენბორგი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | კონგსვინგერი - ვიკინგი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | ლილესტრიომი -ოდ გრენლანდი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | მოსი - სკეიდი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | სტრიომსგოდსეტი - მოლდე | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | ტრომსიო - სტაბეკი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | ვოლერენგა - ბრანი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23.
(ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიდევ ერთი ნაბიჯით ახლოს

ჩემპიონთა ლიგა. II შესარჩევი ეტაპი

ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევი ეტაპის საპასუხო მატჩები მეტნაკლებად ფავორიტთა გამარჯვებით დასრულდა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ იგივეს „ზიმბრუ“ — „დინამოს“ შეხვედრაზე ვერ ვიტყვით.

29 ივლისს, როცა „მარიბორმა“ ბელგიურ „გენკს“ ყველასთვის მოულოდნელად სძლია 5:1, ფეხბურთის გულშემატკივართა უმეტესობა სლოვენიელების შემდეგ ეტაპზე უპრობლემოდ გასვლას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

ბელგიელებს სულ ერთი გოლი დააკლდათ იმისთვის, რომ სლოვენიური ბარიერი დაეძლიათ. თამაში, რასაკვირველია, „გენკის“ შეტევებით დაიწყო, თუმცა ამას ტაიმის ბოლომდე არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, 45-ე წუთზე კი გუდიონსონმა შეძლო ბელგიელების დაწინაურება.

მატჩის მეორე ნახევარიც მასპინძელთა იერიშებით გამოირჩა. ამ დროს მოედანზე ერთადერთი გუნდი თამაშობდა — „გენკი“. „მარიბორი“ მხოლოდ ბურთის მოგერიებას ცდილობდა და ხეირიანად ამასაც ვერ აკეთებდა. 58-ე წუთზე იმავე გუდიონსონმა გაზარდა ბელგიელთა უპირატესობა, 4 წუთის შემდეგ კი ფერენც ჰორვატმა ანგარიში სლოვენიელთავის თითქმის კატასტროფული გახადა — 3:0.

ამის შემდეგ მოედანზე არეულობა დაიწყო. ორივე კლუბი ღელავდა, ამიტომაც გახშირდა უხეშობა , რის გამოც ჯერ 67-ე წუთზე მარიბორელი ამირ კარიჩი, ხოლო მატჩის მიწურულს გენკელი დომინიკო ოლივიერი გააძევეს. მატჩი გუნდებმა ათ-ათ კაციანი შემადგენლობით დაასრულეს ანგარიშით — 3:0 და მიუხედავად ბელგიელთა დიდი სურვილისა, მომავალ ოთხშაბათს ლიონს „მარიბორი“ გაემგზავრება.

მას შემდეგ, რაც სოციალისტური იუგოსლავია დაიშალა, აწ უკვე პოსტიუგოსლავიური კლუბებისა თუ ნაკრებთა დაპირისპირება საფეხბურთო წრეებში ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. ასე იყო ახლაც.

პირველ მატჩში ბელგრადის „პარტიზანის“ მიერ ხორვატულ „რიეკასთან“ მიღწეული გამარჯვება — 3:1, საპასუხო შეხვედრაში იუგოსლავიელებს დამშვიდების საშუალებას არ აძლევდა.

„პარტიზანმა“ პრაქტიკულად თავისი საქმე საწყის 19 წუთში გააკეთა. მე-7 წუთზე მიტეია კეჟმანმა, ხოლო მე-19 ვლადიმირ ილიჩმა დალაშქრეს „რეიკას“ კარი. ბუნებრივია, ხორვატები ასეთ დასაწყისს არ ელოდნენ, ამიტომაც ორი გაშვებული გოლის შემდეგ ისე დაიბნენ, სტუმრებს კიდევ სულ მცირე, ოთხი ბურთის გატანა მართებდათ.

მეორე ტაიმიც თითქმის იმავე სცენარით წარიმართა, როგორც პირველი. „პარტიზანი“ სრულად ფლობდა თამაშის სადავეებს, ხოლო „რიეკა“ დროდადრო ქაოსურად უტევდა თუმცა ამას არავითარი ლოგიკური დასასრული არ მოჰყვა, ის კი არა, 83-ე წუთზე იმავე კეჟმანმა დუბლი გაახერხა და ხორვატთა იმედები საბოლოოდ დაასამარა.

ნამდვილად არავის ეგონა, თუ ნორვეგიული „მოლდე“ რუსულ ბარიერს გადალახავდა, მით უმეტეს, ცსკას ორბურთიანი უპირატესობა ჰქონდა . გარდა, ამისა სკანდინავიელებმა პირველ მატჩში ისეთი ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს, შემდეგ ეტაპზე გასვლა კი არა, მათი მინიმალური გამარჯვებაც კი საეჭვო იყო.

რუსებს მატჩის პირველ ნახევარშიი კიდევ არაუშავდათ, მაგრამ პირველ ტაიმში გოლი არ გასულა. ძნელი სათქმელია, თხუთმეტ წუთში როგორ გარდაიქმნა „მოლდე“, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მეორე ნახევარში ნორვეგიელებმა ცსკა-ს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს საკუთარი კარი კი მშრალად შეინახეს. ასე რომ, ორი მატჩის ჯამში 4:2 სკანდინავიელთა სასარგებლოდ, მათ გათამაშების შემდეგ ეტაპზე ასპარეზობის უფლება დამსახურებულად მოიპოვეს.

ერთი კვირის წინ ბუქარესტში „რაპიდთან“ მიღწეულმა ფრემ — 3:3 განმეორებით შეხვედრაში რიგის „სკონტო“ ფავორიტად აქცია, თუმცა ყველაფერი ისე არ წარიმართა, როგორც ლატვიელებს სურდათ.

მართალია, „სკონტომ“ შეძლო გათამაშებიდან „რაპიდის“ გამოთიშვა, მაგრამ ეს მათ ბოლო 13 წუთში მოახერხეს. რუმინელები 33-ე წუთზე დაწინაურდნენ კლაუდიო რადუჩანოს გოლით და ეს უპირატესობა 77-ე წუთამდე შეინარჩუნეს, მანამდე, სანამ იურის ლაიზანსმა წონასწორობა არ აღადგინა. 87-ზე კი ანდრეას რუბინისმა გამარჯვების მომტანი ბურთი გაიტანა.

ვილნიუსის „ჟალგირისისა“ და კიევის „დინამოს“ ორთაბრძოლაში სწორედ რომ უძლიერესმა გაიმარჯვა. პირველი შეხვედრის მსგავსად, მეორეშიც უკრაინელებმა იმარჯვეს, ოღონდ უკვე მინიმალური ანგარიშით — 1:0. ის ერთი ბურთი 35-ე წუთზე სერგეი რებროვმა გაიტანა.

საკმაოდ დაძაბული შეხვედრა გაიმართა ისრაელის ქალაქ ჰაიფაში, სადაც იქაური „ჰაპოელი“ თურქულ „ბეშიქთაშს“ ხვდებოდა. მატჩს ინტრიგას ისიც მატებდა, რომ ამ კლუბთა პირველი შეხვედრა ფრედ — 1:1 დასრულდა და ყველაფერი სწორედ საპასუხო შეხვედრაში უნდა გარკვეულიყო. გირკვა კიდეც. მატჩი ახლაც ფრედ, ოღონდ 0:0 დასრულდა და სტუმრად გატანილი ბურთის წყალობით შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება ებრაელებმა მოიპოვეს. .

მომავალ ოთხშაბათს ფეხბურთის გულშემატკივარი მეტად დიდ საჩუქარს მიიღებს გლაზგოს „რეინჯერსისა“ და „პარმას“ მატჩის სახით.

სქოთებმა საპასუხო შეხვედრაშიც სამი ბურთის უპირატესობით სძლიეს ფინურ „ჰაკას“ (შეგახსენებთ, რომ პირველი მატჩი 4:1 დამთავრდა „რეინჯერსის“ სასარგებლოდ). იულესმა, იოჰანსონმა და ამატომ შანსი არ დაუტოვეს ფინელებს. მათ შესაბამისად მე-15 28-ე და 66 წუთებზე დალაშქრეს „ჰაკას“ კარი.

ჩემპიონთა ლიგის ამ ეტაპის ყველაზე საინტერესო შეხვედრა პოლონეთის ქალაქ ლოძში გაიმართა, სადაც ერთამანეთს მასპინძელი „ვიძევი“ და ბულგარეთის ჩემპიონი „ლიტექსი“ ხვდებოდნენ.

პირველი შეხვედრა ბულგარელებმა მოიგეს 4:1, ამიტომაც, ბუნებრივია, ამ წყვილში უპირატესობა სწორედ მათ ენიჭებოდეთ.

თავად მატჩიც მეტად დაძაბულად წარიმართა. მასპინძლები დარიუშ გესიორის მიერ გატანილი ბურთით დაწინაურდნენ, მაგრამ სვეტოსლავ ტოდოროვმა პირველ ტაიმშივე შეძლო ანგარიშის გათანაბრება და შეხვედრის პირველი ნახევარიც ასე დასრულდა.

ვერ ვიტყვით, რომ მეორე ტაიმში „ლიტექსმა“ ცუდად ითამაშა, მაგრამ უფრო „ვიძევი“ გამოირჩეოდა. პოლონელთა ჩინებულ შეტევებს ბულგარელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს, ამიტომაც იყო, რომ ჯერ 52-ე და მე-60 წუთებზე არტურ ვაშარსკიმ დუბლი გაახერხა, ხოლო ამის შემდეგ რადოსლავ მიხალსკიმ ანგარიში პირველი მატჩის იდენტური გახადა — 4:1, თუმც ამჯერად უპირატესობა „ვიძევის“ მხარეს იყო. პენალტების სერიაშიც წარმატება პოლონელებს ხვდათ წილად — 3:2, რის შედეგადაც მომავალ ოთხშაბათს „ვიძევი“ თავისზე გაცილებით ძლიერ „ფიორენტინას“ შეეცილება ჩემპიოთნა ლიგის ქვეჯგუფის საგზურს.

**ბოკა ჭკადუა**



მოლდე — ცსკა 4:0. ნორვეგიელებმა რუსები შეარცხვინეს

ჩემპიონთა ლიგა. II შესარჩევი ეტაპი
II წრე. 4 აგვისტო

ვალეტა (მალტა) 0:2 (0:3) *რაპიდი (ავსტრია)*
სლოვანი (სლოვაკეთი) 1:1 (1:2) *ანორთოსისი (კვიპროსი)*
რიეკა (ხორვატია) 0:3 (1:3) *პარტიზანი (იუგოსლავია)*
*მოლდე (ნორვეგია)* 4:0 (0:2) ცსკა (რუსეთი)
*ვიძევი (პოლონეთი)* 4:1 (3:2პ) (1:4) ლიტექსი (ბულგარეთი)
*რეინჯერსი (შოტლანდია)* 3:0 (4:1) ჰაკა (ფინეთი)
*აიკ (შვედეთი)* 2:0 (1:0) დნეპრტრანსმაში (ბელარუსი)
*ბრონდბიუ (დანია)* 1:0 (1:0) სლოგა (მაკედონია)
*ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი)* 0:0 (1:1) ბეშიქთაში (თურქეთი)
ჟალგირისი (ლიტვა) 0:1 (0:2) *დინამო (უკრაინა)*
*მტკ (უნგრეთი)* 3:1 (2:0) ვესტმანაეიარი (ისლანდია)
გენკი (ბელგია) 3:0 (1:5) *მარიბორი (სლოვენია)*
*სკონტო (ლატვია)* 2:1 (3:3) რაპიდი (რუმინეთი)



დიდი ხნის შემდეგ ალესანდრო დელ პიერომ (№10) პირველად გაიტანა

# იუვენტუსი უკვე ფინალშია

ინტერტოტოს თასის გათამაშება

— ახლა ზიდანს დაველოდები. მალე ისიც გამოჯანმრთელდება და გუნდიც მთელი დატვირთვით მოემზადება ჩემპიონატისთვის. შეთამაშებაც გაგვიადვილდება და იმედი მაქვს, რომ ახალ სეზონს სრულ მზადყოფნაში შევხვდებით — კარლო ანჩელოტიმ ეს სიტყვები ინტერტოტოს თასის ნახევარფინალში, რუსულ „როსტსელმაშთან“ საპასუხო შეხვედრის შემდეგ თქვა.

ვინ გავიდოდა ფინალში, ერთი კვირის წინ როსტოვში გაირკვა — ტურინელებმა ის თამაში 4:0 მოიგეს. საპასუხო შეხვედრა ეგებ მხოლოდ ფორმალობა ყოფილიყო, რომ არა ერთი ფაქტორი — ალესანდრო დელ პიეროს დაბრუნება სწორედ „როსტსელმაშთან“ უნდა შემდგარიყო. ალექსი დაბრუნდა კიდეც, ოღონდ მეორე ტაიმში...

— გამარჯვებაში ეჭვი არ მეპარება. ვფიქრობ, რუსებს აქაც დიდი ანგარიშით მოვუგებთ — განაცხადა „იუვენტუსის“ ახალწვეულმა თავდამსხმელმა დარკო კოვაჩევიჩმა. იუგოსლავიელმა ფეხბურთელმა როსტოველთა წინააღმდეგ წინა შეხვედრაც ითამაშა, გოლიც გაუტანა „როსტსელმაშს“ და საერთოდ, მეტოქის შესაძლებლობებისა კარგად მოეხსენებოდა.

განა ღირს ახლა იმაზე ლაპარაკი, რა უპირატესობა ჰქონდა „იუვენტუსს“, ხუთი გატანილი გოლის გარდა „იუვენტუსს“ კიდევ ორჯერ შეეძლო, მეტოქე დაემწუხრებინა, მაგრამ... ერთხელ კოვაჩევიჩმა და ერთხელ ბაკინიმ ბურთი ძელს მოარტყეს.

პირველ შეხვედრაში მოპოვებული უპირატესობა „იუვენტუსს“ საშუალებას აძლევდა, შეხვედრა გეგმისდა მიხედვით წარემართა. მატჩის პირველი თხუთმეტი წუთი ტურინელები როსტოველებს არც უტევდნენ, ძირითადად დაცვაში თამაშობდნენ, მერე კი წინაც წაიწიეს.

23-ე წუთზე „როსტსელმაშის“ მცველმა სტიოპუშკინმა საჯარიმოში შეჭრილი ფილიპო ინძაგი წააქცია. სამართლიანი პენალტიც დაინიშნა, რომელიც დაზარალებულმა მშვენივრად გამოიყენა.

შემდეგ რუსები ათანაბრებენ, მერე კი კვლავ მასპინძელთა ჯერია — გოლები სტუმართა კარში ზედიზედ გადის.

58-ე წუთზე „იუვენტუსი“ კაცნაკლული რჩება — ურუგვაელი მცველის პაოლო მონტეროს ბელგიელი არბიტრი რომეინი უხეშობას აბრალებს და აძევებს. „როსტსელმაშმა“ სამი გოლი სწორედ ამის შემდეგ გაუშვა...

მონტეროს გაძევებამდე სამი წუთით ადრე მოედანზე ალესანდრო დელ პიერო გამოჩნდა — 269-დღიანი შესვენების შემდეგ იტალიური ფეხბურთის ვარსკვლავმა, რომელმაც ამას წინათ „იუვენტუსთან“ ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, კლუბის შავ-თეთრი მაისურა კვლავ მოირგო.

დელ პიეროს გამოსვლამ მატჩის მსვლელობა როგორ შეცვალა, ამაზე ანჩელოტის სიტყვებიც მეტყველებს:

— პირველ ტაიმში ცოტათი გვიჭირდა. მეორეში სიტუაცია გამოვასწორეთ, ეს კი უდავოდ დელ პიეროს დამსახურებაა, „იუვენტუსს“ მისი გამოჩენა უმალ დაეტყო. დელ პიერო გვყავს, ახლა ზიდანის ჯერია. იმედია, ფინალისთვის იგი მზად იქნება.

რუმინული და რუსული ბარიერების დაძლევის შემდეგ „იუვენტუსი“ ინტერტოტოს თასის გათამაშების ფინალში გავიდა. მას ახლა ფრანგული „რენი“ ელის. თუ ტურინელებმა ავსტრიული „აუსტრიას“ დამმარცხებელს ორი მატჩის ჯამში სძლიეს, მაშინ უეფას თასზეც იასპარეზებენ.

ინტერტოტო. ნახევარფინალი
II წრე. 4 აგვისტო

აუსტრია (ავსტრია) 2:2 (0:2) *რენი (საფრანგეთი)*
*იუვენტუსი (იტალია)* 5:1 (4:0) როსტსელმაში (რუსეთი)
ჰერენვენი (ჰოლანდია) 0:1 (0:1) *ვესტ ჰემი (ინგლისი)*
პოლონია (პოლონეთი) 1:1 (1:5) *მეცი (საფრანგეთი)*
*მონპელიე (საფრანგეთი)* 3:0 (1:1) დუისბურგი (გერმანია)
*ჰამბურგი (გერმანია)* 4:1 (2:2) ტრაბზონსპორი (თურქეთი)

# ხანგრძლივი რევოლუცია ტომარაძემ მოსეშვილი შეცვალა

ჯერ კიდევ როდის დაირხა ხმები საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელობიდან ლევან მოსეშვილის განთავისუფლების შესახებ. ევროპაში სირცხვილნაჭამი ნაკრების თავკაც მოსეშვილზე ამას წინათ პირველი იერიშიც მიიტანეს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებმა თემურ დათიკაშვილმა და დუდუ დადიანმა, თუმცა მაშინ აღმასკომის წევრთა უმრავლესობა სხვაგვარად ფიქრობდა და... მოსეშვილს თანამდებობა შეუნარჩუნეს.

მოსახდენი მაინც მოხდა, სულ ახლახან კალათბურთის ფედერაციის აღმასკომმა ერთხმად დაატოვებინა ლევან მოსეშვილს ნაკრების მწვრთნელის პოსტი, ხოლო როცა საქმე მისი შემცვლელის არჩევაზე მიდგა, სხდომაზე „ვითას" მთავარი მწვრთნელის ზურაბ ტომარაძის კანდიდატურამ გაიჟღერა.

„აღმასკომმა განიხილა ზურაბ ტომარაძის კანდიდატურა. მერე კენჭისყრა მოეწყო, აღმასკომის წევრები ერთსულოვნები იყვნენ, რის შემდეგაც გადაწყდა, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დროებით ზურაბ ტომაძე იმუშავებს. სწორედ მისი თავკაცობით ჩაებმება ქვეყნის პირველი გუნდი სექტემბერში გასამართ შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპორტულ თამაშებში" — გვითხრეს კალათბურთის ფედერაციაში.

ამის შემდეგ ნაკრების აწ უკვე ყოფილ მწვრთნელ ლევან მოსეშვილს დავუკავშირდით და ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ. მან გვითხრა:

— „მე არაფერი ვიცი. აღმასკომის სხდომაზე არავის მიუწვევივარ და, ბუნებრივია, იქ არც ვყოფილვარ. ჩემი გათავისუფლების თაობაზე რომელიმე ოფიციალურ პირთან საუბარიც არ მქონია, ყოველივე უჩემოდ გადაწყვიტეს. მეც ისე, ყურმოკვრით გავიგე ამის შესახებ. საერთოდ, მწვრთნელის მოხსნას თუ აპირებენ, წინასწარ უნდა უთხრან, აზრი შეიტყონ. სხვა თუ არაფერი, ზრდილობის ამბავია".


ლევან მოსეშვილმა განთავისუფლების შესახებ ყურმოკვრით გაიგო

## საქართველოს ნაკრები მოსეშვილის ხელმძღვანელობით

| | | |
|---|---|---|
| ეჩშ | ლატვია — საქართველო | 99:63 |
| ეჩშ | იტალია — საქართველო | 90:47 |
| ეჩშ | ჩეხეთი — საქართველო | 81:74 |
| ეჩშ | საქართველო — შვედეთი | 59:82 |
| ეჩშ | თურქეთი — საქართველო | 103:60 |
| ეჩშ | საქართველო — ლატვია | 96:98 |
| ეჩშ | საქართველო — იტალია | 64:105 |
| ეჩს | საქართველო — შვეიცარია | 66:85 |
| ეჩს | საქართველო — პორტუგალია | 75:65 |
| ეჩს | საქართველო — ბელგია | 63:76 |
| ეჩს | საქართველო — ირლანდია | 80:78 |
| ეჩს | საქართველო — დანია | 78:109 |

სულ: 2 მოგება, 10 წაგება

*ეჩშ — ევროპის 1999 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი*
*ეჩს — ევროპის 2001 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი*

## ევროპული ტრანსფერები

### საბერძნეთი

### ოლიმპიაკოსმა ობერტო დასაჯა

„მე ვხედავ „ოლიმპიაკოსის" მომავალს და მისი სახელია ფაბრიციო ობერტო" — თქვა შარშან პირეოსელთა მთავარმა მწვრთნელმა დუშან ივკოვიჩმა.

ეტყობა, ივკოვიჩს თვალების საქმე მთლად კარგად ვერ უნდა ჰქონდეს, რადგან ჯერ საკუთარი მომავალი ვერ დაინახა (ორიოდ თვის წინ „ოლიმპიაკოსმა" იგი უბოდიშოდ გააგდო), მერე კი — ობერტოსი. არა, ობერტო ჯერ არ გაუგდიათ, მაგრამ ამ საქმეს ბევრიც არაფერი უკლია.

„ოლიმპიაკოსმა" არგენტინელ ობერტოს ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მისცა. ამ ხანში კალათბურთელი კუთვნილ ხელფასს ვერ მიიღებს. დასჯის მიზეზი ფუქსავატობაა: იგი შეკრებაზე არ ჩავიდა, რის გამოც ვარჯიშები გააცდინა.

ობერტო რამდენიმე კვირით ამერიკაში იყო და ცდილობდა თავი მიესაღებინა „ნიუ იორკ ნიქსისთვის". არაფერი რომ არ გამოუვიდა, არგენტინაში მიბრუნდა და ენის ტრიალს მოჰყვა: „საბერძნეთში დაბრუნება არ მინდა. იქ თავს დათრგუნულად და შეურაცხყოფილად ვგრძნობ. ვინც ჩემი მეგობარი იყო, ყველამ მიატოვა „ოლიმპიაკოსი", მათ შორის ენტონი გოლდვაიერმა, ჯონი როჯერსმა და მწვრთნელმა დუშან ივკოვიჩმა".

შეურაცხყოფას ახლა გაჩვენებთო, და, „ოლიმპიაკოსის" უფროსობამ 23 წლის არგენტინელს ზემონახსენები სასჯელი დაადო. ობერტოს არც სამშობლოში აქვს საქმე კარგად: მან ბოლო მომენტში იუარა ოლიმპიადის შესარჩევ ტურნირზე თამაში, რის გამოც არგენტინის კალათბურთის ფედერაციის რისხვა დაიმსახურა.

207-სანტიმეტრიან თავდამსხმელს ერთადერთი რამ სურს — მიატოვოს „ოლიმპიაკოსი", რადგან მისი აზრით, იქ ცოტას ათამაშებენ. თუმცა „ოლიმპიაკოსი" სხვაგვარად ფიქრობს და ობერტოსთან დაკავშირებით გეგმებიც აქვს. გუნდმა რამდენიმე მოთამაშე დაკარგა და ახლა შემცვლელებს ეძებს. ბერძნები ხორვატი ცენტრის დინო რაჯას გადაბირებას ცდილობდნენ, მაგრამ ამან მშობლიურ „ზადართან" გააფორმა ხელშეკრულება. რუს მიხაილ მიხაილოვზეც არ იტყვიან უარს, ოღონდ ამისთვის კალათბურთელმა „ბოსმანის მოთამაშის" სტატუსი, ანუ ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის პასპორტი უნდა მიიღოს. მას თითქოს ესპანეთის მოქალაქეობის მიღების შანსი გაუჩნდა, მაგრამ რეალურად ამის თაობაზე ჯერ არაფერი ისმის.

### ბებია მყავდა ბერძენი

დასრულდა ერთკვირიანი მოლაპარაკება სალონიკის პაოკ-სა და რუსეთის ნაკრების ყოფილ გამთამაშებელ სერგეი ბაზარევიჩს შორის. კალათბურთელმა ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. 34 წლის ბაზარევიჩი პაოკ-ის ღირსებას დაიცავს არა ლეგიონერის სტატუსით, არამედ როგორც ბერძენი ეროვნების მოთამაშე. საქმე ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ მოლაპარაკებების დაწყებამდე რუსმა ბერძნული პასპორტი გააძრო და თქვა, ბებია მყავდა ბერძენი და ამიტომ აქაური მოქალაქეობა იოლად მივიღეო.

193-სანტიმეტრიანმა ბაზარევიჩმა წინა სეზონი იტალიურ „გორიციაში" გაატარა. იგი გახარებულია პაოკ-ში გადასვლით და გულშემატკივრებს დაპირდა, მალე ბერძნულსაც ვისწავლიო.

ამასობაში პაოკ-მა წვრთნა დაიწყო. პირველი ვარჯიში რამდენიმე წუთით შეფერხდა და ამის მიზეზი ფორვარდი დინოს ანგელიდისი იყო. ეს კაცი აქამდე თამაშობდა სალონიკისვე „არისში", რომელიც პაოკ-ის მოსისხლე მტრად ითვლება. ახალი გუნდის გულშემატკივრები საშინელი ღრიალ-სტვენით შეხვდნენ ანგელიდისს. პაოკ-ის მწვრთნელებმა ქომაგებს სიმშვიდისკენ მოუწოდეს და ვარჯიშიც შედგა.

სავარაუდოდ, პაოკ-ი იუგოსლაველ ბრანისლავ პრელევიჩს აიყვანს.

### აეკ-ის და არისის თაობაზე

ათენის აეკ-მა ბოლო დღეებში მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა თავის სატრანსფერო პოლიტიკა. გუნდს, ფაქტიურად, გაფორმებული აქვს კონტრაქტი 210-სანტიმეტრიან ცენტრ მილან იერემიცთან, რომელიც შარშან ბელგიურ „აალსტში" თამაშობდა. ათენელები ასევე ფიქრობენ ამერიკელი ენტონი ბოუის გადაყვანაზე. ეს 36 წლის და 197-სანტიმეტრიანი ფორვარდი შარშან კაუნასის „ჟალგირისში" თამაშობდა და ევროლიგის გამარჯვებულიც გახდა.

საბერძნეთის ნაკრების უკანახაზელი გეორგიოს სიგალასი დარჩა სალონიკის „არისში" და იქ კონტრაქტით გათვალისწინებულ ერთ წელიწადს დაჰყოფს. სიგალასის აგენტმა თქვა, რომ კალათბურთელი იმ შემთხვევაში შეასრულებს კონტრაქტის პირობებს, თუკი თავად კლუბი არ დაარღვევს მათ.

### თორპის მეშვიდე გაჩერება

ექსვაშინგტონელი ფორვარდი ოთის თორპი ლიგის ისტორიაში მე-16 მოთამაშეა, ვინც ერთდროულად გააკეთა 15 ათასი ქულა და 10 ათასი მოხსნა. ეს კაცი თავისუფალი აგენტის სტატუსით „მაიამი ჰითში" გადავიდა. „თორპის შემატებით შევასრულეთ ჩვენი პირველი ამოცანა — წინა ხაზი გავაძლიერეთ" — თქვა მაიამელთა მწვრთნელმა პატ რაილიმ.

თორპს 15 წელიწადი გაუტარებია ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. 1994 წელს „ჰიუსტონის" რიგებში ჩემპიონი გახდა. „მაიამი ჰითი" მისთვის მეშვიდე გუნდი იქნება. წინა სეზონში ოთის თორპმა მატჩში საშუალოდ 11,3 ქულა და 6,8 მოხსნა მოუტანა „ვიზარდსს".

### კლივლენდის პირველი ვაჭრობა

„კლივლენდ კავალიერზმა" პირველად ივაჭრა სეზონთშორის პერიოდში. ამ გუნდმა „ლოს ანჯელეს კლიპერსიდან" გამოიყვანა ფორვარდი ლემონდ მიურეი, სანაცვლოდ კი უკანახაზელი დერიკ ანდერსონი და ფორვარდი ჯონი ნიუმენი მისცა. აღსანიშნავია, რომ მიურეი თავისუფალი აგენტი იყო, „კლიპერსმა" ჯერ კონტრაქტი გააფორმა მასთან და შემდეგ გააგზავნა კლივლენდში. არაოფიციალური ინფორმაციით მიურეი 7 წელიწადში 25 მილიონ დოლარს მიიღებს.

26 წლის მიურეი „კლიპერსმა" 1994 წლის დრაფტში ამოარჩია. წინა სეზონში მან მატჩში საშუალოდ 12,2 ქულა და 3,9 მოხსნა გააკეთა. 25 წლის დერიკ ანდერსონის საშუალო მაჩვენებლები 10,8 ქულა და 3,8 პასია. 35 წლის ნიუმენს კი ზურგს 13-წლიანი კარიერა უმაგრებს.

## თავისუფალი აგენტების ბაზარი

4 აგვისტო

***მაიამი ჰითი:*** აიყვანა „ვაშინგტონის" ყოფილი ფორვარდი ოთის თორპი.

***დენვერ ნაგეთსი:*** აიყვანა „ფინიქსის" ყოფილი უკანახაზელი ჯორჯ მაკლაუდი.

***ლოს ანჯელეს ლეიკერსი:*** შეინარჩუნა უკანახაზელი დერიკ ფიშერი (შვიდწლიანი კონტრაქტი).

***ლოს ანჯელეს კლიპერსი:*** ჯერ შეინარჩუნა, მერე კი „კლივლენდში" გაყიდა ფორვარდი ლემონდ მიურეი.

***საკრამენტო კინგზი:*** შეინარჩუნა ფორვარდი ლოურენს ფანდერბურკი; აიყვანა „კლიპერსის" ყოფილი უკანახაზელი დარიკ მარტინი.

***ფინიქს სანზი:*** შეინარჩუნა უკანახაზელი ტობი ბეილი (ერთწლიანი კონტრაქტი).

# პენის უდაბნოში ელიან

წინა უიქ-ენდზე „ორლანდო მეჯიქის" წევრი, უფრო სწორად თავისუფალი აგენტი პენი ჰარდევეი ფინიქსში იმყოფებოდა და იქაური „სანზის" მწვრთნელს დენი ეინჯს გოლფი ეთამაშა. ცხადია, კალათბურთელს ამხელა გზა ჯოხის საქნევად და არიზონას უდაბნოში ამოსახრუკად არ გაუვლია. მანამდე იგი „ფინიქს სანზის" ხელმძღვანელობას შეხვდა. თქვენი ვარაუდიც სწორია: ჰარდევეი „ფინიქსში" გადასვლას აპირებს.

„პენი იყო აქ და გვითხრა, რომ ჩვენთან ყოფნა სურს. პირობებზე ვისაუბრეთ, ახლა „ორლანდოს" სიტყვას ველით" — თქვა „სანზის" პრეზიდენტმა ჯერი კოლანჯელომ.

ჰარდევეი „მეჯიქს" აღარ ეკუთვნის, ამიტომ შეუძლია დაკრას ფეხი და ნებისმიერი მიმართულებით წავიდეს. ამ ვარიანტით კლუბს კაპიკიც არ შეხვდება, სამაგიეროდ კალათბურთელიც დაზარალდება: ახალ გუნდთან მხოლოდ ექვსწლიან კონტრაქტს თუ გააფორმებს და შესაძლებელზე გაცილებით ნაკლებ ხელფასს მიიღებს. ჰარდევეის კი კარგი მადა აქვს — მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება მხოლოდ „ჩიკაგოს", „კლიპერსს" და „ტორონტოს" შეუძლიათ. დანარჩენ გუნდებს იგივეს გაკეთების საშუალებას ჯამური ხელფასის ზღვარი არ აძლევს.


პენი ჰარდევეის გზი ფინიქსისკენ აულია

მეორე ვარიანტი ყველასთვის უკეთესია: „ორლანდო" ჯერ კონტრაქტს გაუფორმებს კალათბურთელს და მერე გაცვლის ან გაყიდის. ამ შემთხვევაში კლუბი მოთამაშის სანაცვლოდ რაღაცას მიიღებს (ფულს ან სხვა მოთამაშეს). კალათბურთელიც უფრო კმაყოფილი იქნება, რადგან ამ შემთხვევაში მეტი ხელფასი შეხვდება.

ვნახოთ, რა ხდება ამ კონკრეტულ შემთხვევაში. „ორლანდო" ჰარდევეის შვიდწლიან კონტრაქტს დაუდებს, რომლის ძალითაც კალათბურთელი 92 მილიონ დოლარს ჩაიჯიბავს. ამის შემდეგ პენის გაგზავნიან „ფინიქსში", იქიდან კი დენი მენინგს, პეტ გერიტის და დრაფტის ორი არჩევნის უფლებას მიიღებენ. ასეთია პროექტი, თუმცა, სანამ ეს წერილი თქვენამდე მოაღწევს, იგი იქნებ უკვე რეალობაც იყოს.

პრინციპში, ყველა ყველაფერზე თანახმაა. „მეჯიქის" გენერალურმა მენეჯერმა ჯონ გაბრიელმა მოვლენების სხვაგვარ განვითარებას „ნაკლებსავარაუდო" უწოდა. ეს ვარიანტი მისწრებაა „ორლანდოსთვის", რადგან ამაზე მეტს „ფინიქსს" ველარაფერს გამოტყუებს.

თუკი ეს გარიგება შედგა, „სანზს" ლიგაში უძლიერესი უკანა ხაზი ეყოლება: ჰარდევეი ხომ წინა ჩემპიონატის საუკეთესო გამთამაშებელს ჯეისონ კიდს შეუწყვილდება.

# ბარკლიმ სტოქტონს უარი უთხრა

## სერ ჩარლზს ჰიუსტონელობა სურს

ჩარლზ ბარკლის ერთადერთი ოცნება აქვს — გახდეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი. ამისთვის კი იმგვარ გუნდში სურს ყოფნა, რომელიც მხოლოდ უმაღლესი მიზნისთვის იბრძოლებს.

ბარკლის დაუმთავრდა სამწლიანი კონტრაქტი „ჰიუსტონ როკიტსთან" და ამჟამად თავისუფალი აგენტია. სამი გუნდი — „ლეიკერსი", „სიეტლი" და „იუტა" თავისთან გადასვლას სთხოვს. თავად კალათბურთელს კი „როკიტსში" დარჩენა სურს და ამბობს: „სხვა გუნდები მეხმიანებიან, მაგრამ მე ჰიუსტონში ყოფნას ვარჩევ და, ვფიქრობ, ეს ასეც იქნება".


ჩარლზ ბარკლი

სერ ჩარლზს „იუტას" გამთამაშებელმა ჯონ სტოქტონმა დაურეკა და უთხრა, რაღას ფიქრობ, ჩვენთან გადმოდიო. ამ ფაქტის ბარკლისეული კომენტარი: „ჯონი ის კაცია, რომელსაც პატივს ვცემ და რჩევას ვითვალისწინებ, მაგრამ ჩემთვის ჰიუსტონში დარჩენა უმჯობესია". კალათბურთელს იმედი აქვს, რომ ახალ კონტრაქტს ორი კვირის განმავლობაში მოაწერს ხელს.

ჩოგბურთი

# ამ დევქალს კეთილი გული აქვს

მონრეალი. კანადა.
MERCEDES SUPER 9. ჰარდი
საპრიზო 2 450 000 $

ოთხ აგვისტოს ამ პრესტიჟული სერიის პირველი ტურნირის მეორე ეტაპის მორჩენილი მატჩებიც გაიმართა. გულშემატკივართა დიდ ინტერესს იწვევდა მსოფლიოს მეორე ჩოგნის, ოზი პატრიკ რაფტერის და კლასიფიკაციის მეორე ასეულის შუაში მყოფი ამერიკელი ალექს ობრაიენის ჭიდილი. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა რაფტერმა ეს შეხვედრა ფორმალობად აქცია. უსახელო ამერიკელი იმდენად დააფრთხო ბადის იქით მყოფმა, რომ პირველი სეტი ისე წააგო, ერთი გეიმიც ვერ დასტყუა. მეორე სეტში რაფტერი უფრო მოწყალე იყო და „მხოლოდ“ 6:2 მოიგო. ავსტრალიელი ამ უიოლესი გამარჯვებით ეიფორიას არ მისცემია და თქვა, ჩვეულებრივ ყოველთვის კარგად ვიწყებ, მთავარი ის არის, როგორ გავაგრძელებ და დავამთავრებო. ამ ტურნირში წარმატებას რაფტერისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან შარშანდელი გამარჯვებული სწორედ ის გახლავთ და თუ კარგად ვერ ითამაშა, საკლასიფიკაციო ქულები ბლომად დააკლდება.

ისე, 4 აგვისტოს სენსაციების მომლოდინეთ ნაკლებად გაუმართლდათ, მოულოდნელობები არ ყოფილა. მხოლოდ ერთი განთესილი, მე-15 ნომერი ფრანგი სებასტიან გროსჟანი გავარდა, ჩოგბურთში კარგად ჭიპმოჭრილ ამერიკელ მაიკლ ჩანგთან შეხვედრაში ისე, რომ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერც გაუწია მეტოქეს.

დიდ ინტერესს იწვევდა მეორე ნომრად განთესილი ანდრე აგასის გამოსვლაც, მაგრამ წვიმამ მისი დებიუტი გადადო. თუ ხოტორა ამერიკელმა გაიმარჯვა, მაშინ მესამე წრეში მისი მეტოქე სწორედ მაიკლ ჩანგი იქნება, ვის გვერდზეც ანდრეს არაერთხელ უთამაშია ამერიკის ნაკრებში დევისის თასზე.

რაფტერ—რენებერგის შეხვედრის დარად, წვიმა სხვათა მატჩებშიც ჩაერია. ავდრის გამო გადაიდო აგრეთვე ტოდ მარტინ — ლორენ ტელმანისა და ტომი ჰაას — ენდრიუ ილიეს შეხვედრები.

მოიგო ტურნირის კიდევ ერთმა ფავორიტმა, მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა, ტურნირზე მესამედ განთესილმა რუსმა ევგენი კაფელნიკოვმა. მან ერთნაირი ანგარიშით 6:4, 6:4 შეიწირა მასპინძლის როლში მოთამაშე დანიელ ნესტორი.



ანა კურნიკოვა



პატრიკ რაფტერი

REUTERS მონრეალიდან

მეორე წრე: **პატრიკ რაფტერი** (1, ავსტრალია) — ალექს ობრაიენი (აშშ) 6:0, 6:2; **ევგენი კაფელნიკოვი** (3, რუსეთი) — დანიელ ნესტორი (კანადა) 6:4, 6:4; **ტომას იუჰანსონი** (11, შვედეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 7:5, 7:6 (8:6); **მაიკლ ჩანგი**(აშშ) — სებასტიან გროსჟანი (15, საფრანგეთი) 6:4, 6:3; **უეინ ფერეირა** (17, ს. აფრიკა) — ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) 7:5, 3:6, 7:6 (10:8); **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — გილომ როუქსი (საფრანგეთი) 6:4, 6:0; **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) — ჯეისონ სტოლტენბერგი (ავსტრალია) 3:6, 6:1, 7:6 (7:5).

კარლსბადი. კალიფორნია.
საპრიზო 520 000 $

კალიფორნიულ ტურნირზე რამდენიმე ბობოლა მეორე წრიდანლა ჩაერთო ბრძოლაში და ყველამ გაიმარჯვა. კვლავ იყოჩაღა უზარმაზარმა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა დიაცთა შორის ლინდსი დევენპორტმა. 193-სანტიმეტრიანმა ლინდსიმ იოლად დასცა რუმინელი ირინა სპირლეა, რომელსაც ყიამყრალობის გამო შორს გავარდნია სახელი, თუმცა ენასთან ერთად ჩოგანსაც მარჯვედ ატრიალებს. ირინა დღეს ქალთა საკლასიფიკაციო სიაში მეოცეა, მაგრამ ლინდსისთან ჭიდილის დროს იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ იგი მეოცე კი არა, მეორასეა — პირწმინდად წაგებულ ორ სეტში სულ ორი მოგებული გეიმი, აი, მისი იმდღევანდელი მონაგარი. დევენპორტმა, ვისაც უზარმაზარ სხეულში კეთილი გული უძგერს, მატჩის შემდეგ არ იკადრა საშინლად გაბითურებული მეტოქის დაცინვა. ის კი არა, შეაქო კიდეც, ირინა ძლიერი ჩოგბურთელია, ყოველთვის მიჭირდა მის წინააღმდეგ თამაში და დღეს რა დაემართა, ვერ ვხვდებიო.

მთლად ასე არა, მაგრამ მაინც იოლად მოიგო ახმახმა ზანგმა ვინუს უილიამსმა, რომელიც ტურნირზე მეოთხე ნომრადაა განთესილი და, რაღა თქმა უნდა, ჩემპიონობის ერთ-ერთი სავსებით რეალური კანდიდატია. ვინუსმა მეტოქეს, ბელარუს ნატაშა ზვერევას მხოლოდ პირველ სეტში მისცა თანაბარი ბრძოლის საშუალება, მეორეში კი ერთბაშად ოთხი გეიმი მოიგო და ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვიტა.

მონძროხა დევენპორტი და [illegible] ვინუსი რომ მოიგებდნენ, ეს თავიდანვე ნათელი იყო. გულშემატკივარი მეტი ინტერესით მისჩერებოდა იმ კორტს, სადაც ერთმანეთს სამხრეთაფრიკელი ამანდა კუტცერი და რუსი ანა კურნიკოვა ხვდებოდნენ. კუტცერი მეშვიდე ნომრადაა განთესილი, კლასიფიკაციაში მე-12 საფეხურზე მყოფ კურნიკოვას კი არ გაუმართლა და რვა განთესილს შორის ვერ მოხვდა. თუმც, ასე თუ ისე, ორივე დაახლოებით ერთი დონის მოთამაშეა და დიდი ბრძოლაც იყო მოსალოდნელი. მათი შერკინება ცოტა უცნაურად წარიმართა. კუტცერმა პირველი სეტი 6:0 მოიგო, მეორე კი 1:6 დათმო. აქ მშვენიერი რუსის უამრავ თაყვანისმცემელს იმედი მიეცა, რომ მათი კერპი მატჩის ხსნას მოახერხებდა, მაგრამ ამაოდ. მომხიბლავი ანა მძიმე ბრძოლამ დაღალა, ბოლო, გადამწყვეტი სეტი თითქმის უბრძოლველად დათმო და აუდიტორიის უმრავლესობას გული ძალიან დასწყვიტა.

მეორე წრე: **ლინდსი დევენპორტი** (1, აშშ) — ირინა სპირლეა (რუმინეთი) 6:0, 6:2; **ვინუს უილიამსი** (4, აშშ) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 7:5, 6:1; **ამანდა კუტცერი** (ს. აფრიკა) — ანა კურნიკოვა (რუსეთი) 6:0, 1:6, 6:1; **დომინიკ ვან რუსტი** (ბელგია) — აი სიგუიამა (იაპონია) 6:2, 6:4.

ამსტერდამი. ჰოლანდიის
ღია პირველობა.
საპრიზო 4 75 000 $

მეორე წრე: **მარატ საფინი** (8, რუსეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:4, 7:6 (7:4), **ჰიშამ არაზი** (მაროკო) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 6:2, 6:3; **ერნი დი პასკუალე** (საფრანგეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 7:6 (7:5), 6:2; **ფერნანდო მელიგენი** (4, ბრაზილია) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:3, 7:6 (8:6); **მარიანო ზაბალეტა** (3, არგენტინა) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 7:5, 6:4; **ნიკოლას ლაპენტი** (2, ეკვადორი) — კრისტიან რუდი (ნორვეგია) 7:5, 6:3; **მაგნუს გუსტაფსონი** (შვედეთი) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 3:6, 6:3, 6:1.

**ივანე ძოგიაშვილი**

მძლეოსნობა

# კუბას არ სჯერა

## სამაგიეროდ, ნებიოლოს სჯერა და სოტომაიორს კოკაინის ყნოსვა არ შეარჩინა

ცუდ დღეში ჩავარდა მძლეოსნობა. ამ კვირაში უკვე სამი უცნობილესი სპორტსმენი გამოიჭირეს აკრძალული ნივთიერებების მიღებაზე. 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადაზე სპრინტის მედალმოგებულნი — ამერიკელი დენის მიტჩელი და ბრიტანელი ლინფორდ კრისტი ადრე ჩაბარებული ანალიზების გამო შერისხეს. გუშინ გაცნობეთ, რომ კუბელი სიმაღლეზე მხტომელი ხავიერ სოტომაიორის საქმეც ვერ იყო რიგზე. კანადაში მიმდინარე პანამერიკულ თამაშებზე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა იეჭვეს, რომ სწორედ ის უნდა ყოფილიყო ის ათლეტი, რომელმაც დოპინგ-კონტროლი ჩააფლავა და რომლის სახელსაც ტურნირის ორგანიზატორები განმეორებითი ტესტის შედეგების გაცნობამდე არ ამხელდნენ.

ჩვენს კოლეგებს გუმანმა არ უღალატა. გუშინ გამოცხადდა, რომ ხავიერ სოტომაიორს სისხლში კოკაინის კვალი აღმოაჩნდა. შედეგად კი კუბელმა ის მიიღო, რომ... თუმცა, კი არ მიიღო, არამედ დაკარგა. მას პარასკევს მოპოვებულ პანამერიკულ ოქროს მედალი ჩამოერთვა და ორი წლით ტურნირებში გამოსვლა აეკრძალა. ასე რომ, კუბელთა ერთ-ერთი უსაყვარლესი სპორტსმენი აგვისტოს მეორე ნახევარში ესპანურ სევილიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატსაც გამოაკლდება და გაისად სიდნეის ოლიმპიურ თამაშებსაც. თუმც ოფიციალურად იგი ჯერ არ დაუსჯიათ.

„თუ უახლოეს დღეებში კუბის მძლეოსნების ფედერაცია სოტომაიორს არ მოკვეთს, ამას საერთაშორისო ფედერაცია გააკეთებს“ — განაცხადა მსოფლიოს მძლეოსნობის საჭეთმპყრობელმა, იტალიელმა პრიმო ნებიოლომ.

პანამერიკული თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა მარიო ვასკეს რანიამ თქვა, რომ კოკაინსა და მასტიმულირებელ საშუალებებს შორის იგი განსხვავებას ვერ ხედავს, რადგან ეს ნარკოტიკი ადამიანს ეიფორიულ მდგომარეობაში აყენებს და მის შესაძლებლობებს დროებით ზრდის.

კუბელთა დელეგაციის ხელმძღვანელობის განცხადებით კი, სოტომაიორს კოკაინი არასდროს მიუღია, ხოლო მის ანალიზებში ნარკოტიკის კვალი ალბათ იმის შედეგია, რომ მას საკვებში ან სასმელში ჩაუყარა ვიღაცამ. იგი ნამდვილი ჯენტლმენია. წარმოუდგენელია, ასეთი რამ ჩაედინა. გვითხრა, რომ კოკაინი არ გამოუყენებია და ჩვენც გვჯერა მისი. ამიტომაცაა, რომ ვფიქრობთ — ხავიერს ვიღაცამ უმტრო — თქვა პროფესორმა როდრიგო ალვარესმა, კუბელთა დელეგაციის ერთ-ერთმა თავკაცმა.

სოტომაიორს, ვისაც 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადა, 1993 და 1997 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატები ღია ცის ქვეშ, 1989, 1993, 1995,და 1999 წლებში კი დარბაზებში მოუგია, კოკაინი დოპინგ-კონტროლამდე ოთხი-ხუთი დღით ადრე გამოუყენებია. „შოკში ვარ. არ შემიძლია, დავიჯერო. განცვიფრებული და აფორიაქებული ვარ, რადგან სოტომაიორს, როგორც ადამიანსა და სპორტსმენს, უდიდეს პატივს ვცემ“ — „გულაჩუყებული“ საუბრობდა ბატონი პრიმო ნებიოლო.

კუბას კი თავისი ეროვნული გმირის ნარკომანობა არ სჯერა. 31 წლის სოტომაიორი ქვეყნის სპორტის მინისტრის მოადგილის — ალბერტო ხუანტორენასთან დაახლოებული პირია. ხუანტორენაც ცნობილი მძლეოსანი იყო და 1976 წლის ოლიმპიადაზე ორი ოქროს მედალიც მოუპოვებია (400 და 800 მეტრზე). ჰოდა, ეს მთავრობის კაცი თავისი მეგობრის დასაცავად საჯაროდ გამოვიდა. მისი სიტყვები, ალბათ, ფიდელ კასტროს ყველა ერთგულმა ქვემევრდომმა იწამა, თუმცა ამით მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გულის მოლბობა ნამდვილად არ შეიძლება.

ახლა თავში ნახსენებ სპრინტერებს მივუბრუნდეთ. ამერიკელი დენის მიტჩელის ამბავს გუშინდელ „სარბიელში“ შეიტყობდით. ახლა ორიოდ სიტყვას ლინფორდ კრისტიზეც გეტყვით. 13 თებერვალს გამართულ დორტმუნდის ტურნირზე ბრიტანელს შარდი შეუმოწმეს და მასში ნანდროლონის კვალს მიაგნეს. კრისტი დღემდე უარყოფს დოპინგის მიღებას, მაგრამ განმეორებითი ანალიზის შედეგებიც საწინააღმდეგოზე მეტყველებს. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი კი „სპორტული აფერისტობისთვის“ საკუთარ დედასაც არ დაინდობს, არათუ „ვიღაც“ კრისტის. ასე რომ, ბრიტანელი სპრინტერიც ორიოდ წლით დაემშვიდობა სარბენ ბილიკებს.

**გაიოზ თალაკვაძე**



ხავიერ სოტომაიორი

REUTERS ვინიპეგიდან



ლინფორდ კრისტი

ევერესტელები

# მეთაური

## ბენო ქაშაკაშვილი

დაიბადა 1964 წლის 9 მაისს რუსთავში. 1985 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 1997 წელს გახდა მეტალურგიის მეცნიერებათა კანდიდატი. მუშაობს მეტალურგიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. ეწევა კერძო საქმიანობას.

მეკლდეურობაში იყო საქართველოს ჩემპიონატების არაერთგზის ჩემპიონი, მთაში კი დადის 1983 წლიდან. დალაშქრული აქვს კავკასიონის, პამირის, ტიან-შანის, ალიასკისა და ჰიმალაის მწვერვალები, მათ შორის გაუვლია ხუთი მე-6, უმაღლესი სირთულის კატეგორიის მარშრუტი. ყოფილი სსრ კავშირის შვიდიათასიანი მწვერვალები ლენინის, კორჟენევსკაიას, ხან თენგრისა და პობედას პიკები. სხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასვლები განახორციელა უშბაზე (სამხრეთ-დასავლეთის მარშრუტით), ჩატინზე (ჩრდილოეთის კედლით), ელ კაპიტანზე... დსთ-ის პირველობებზე მოიპოვა სამი ვერცხლის მედალი.

არის მრავალი ექსპედიციის მეთაური, მათ შორის დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე.



ბენო ქაშაკაშვილი ევერესტზე

ბიძინა გუჯაბიძის ფოტო

„ქანცგაწყვეტილი ვიყავი. მკლავები აღარ მემორჩილებოდა. ფეხები ისე დამძიმებოდა, თითქოს რიყის ქვები მკიდიაო. მძიმე ზურგჩანთის თრევისაგან მხრები საშინლად მტკიოდა და მოწყვეტაზე მქონდა. ხელის თითები მომყინვოდა. ფუთიანმა, უხეშმა ბათინკებმა ფეხები მთლად გადამიყვლიფა და გადამიგლიჯა. წინდებში სისხლს ისე ვაჭყაპუნებდი, როგორც საწნახელში დასაწურ ყურძენს.

ახლა ცხვირ-პირს აღარ იკითხავთ? ისეთ დღეში მქონდა, იქ რომ საკუთარ დედას ვენახე, ალბათ ველარც მიცნობდა —, ყინვის, ქარისა და მზისაგან მთლად გადაყვლეფილ-დაწყლულებული...

და თვალები, მზისაგან დამწვარი და დაბრმავებული თვალები ისე მეწვოდა, თითქოს ათუხთუხებული კუპრი ჩაუსხამთო.

თვალებზე ოდნავ შვება რომ მეგრძნო, ჩაბნელებულ ოთახში რამდენიმე დღე განდეგილივით მარტო ვიჯექი.

ვიჯექი და თავბედს ვიწყევლიდი. მთის გაგონება აღარ მინდოდა. ვფიქრობდი, მთამსვლელობა უაზრობაა და სისულელე. თვითონ მთამსვლელები გიჟები და მაზოხისტები არიან-მეთქი“...

ვინ დადის მთაში? ამ კითხვაზე ერთნი ალბათ რიტორიკული კითხვითვე გვიპასუხებენ, აბა, მთაში ჭკვიანი როგორ წავაო და იმ ცნობილ გამოთქმასაც მოიმარჯვებენ, გონიერი მთას შემოუვლისო.

ვინ იცის, მთაში მართლა შერეკილები დადიან თუ არა, მაგრამ ერთი რამ დღესავით ნათელია, საბჭოთა პერიოდში მთამსვლელთა 80 პროცენტზე მეტი უმაღლესი განათლებით იყო, 20 პროცენტი მეცნიერ მუშაკი გახლდათ, მათ შორის მეცნიერებათა კანდიდატებიც, მთამსვლელთა ხუთ პროცენტამდე კი იყო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იყვნენ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები და ნამდვილი წევრები.





ბენო ქაშაკაშვილმა და მთამსვლელთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა მაკ ნაუთიმ შარშანწინ კატმანდუში ქართველ მთამსვლელთა მომავალი წარმატების სადღეგრძელო შესვეს

ვერ გეტყვით, ცალკე საქართველოშიც ჩაუტარებით თუ არა ამგვარი გამოკვლევა, მაგრამ ვინმეს თავი რომ შეეწუხებინა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, იგივე სურათს მიიღებდა.

ქართველ მთამსვლელთა ასეთ ტრადიციებს აგრძელებს დედამიწის უმაღლესი მწვერვალის ამ გაზაფხულზე დამლაშქრავი ბენო ქაშაკაშვილი, რომელიც ევერესტზე მოწყობილი ექსპედიცია „კავკასია-99“-ის მეთაური იყო, თანაც ხარისხიანი გუნდის ხარისხიანი ხელმძღვანელი — ბენო ქაშაკაშვილი ხომ მეტალურგიულ მეცნიერებათა კანდიდატია. იგი მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი გახლავთ და კერძო საქმიანობასაც ეწევა, მაგრამ ბენოს ამგვარ საქმიანობაზე თუ მეცნიერულ მოღვაწეობაზე საუბარი ჩვენი მიზანი არ არის და მხოლოდ სპორტული სარბიელით შემოვიფარგლებით. თუმცა, ეს ფარგლები კონტინენტიდან კონტინენტამდე დედამიწის დასალიერამდე გადის უკაცრიელ მთებში და ღვთის ანაბარად მიტოვებულ თოვლ-ყინულეთში ადის.

იქ, მთასა თუ ბარშიც, მრავალ მთამსვლელს შევხვედრივართ. ჩვენს თანამემამულეებსაც და უცხოელებსაც. ყველას, უკლებლივ ყველას, ვისაც თავის პირველ მწვერვალზე უსაუბრია, ისე გაუხსენებია ის ლაშქრობა, როგორც პირველი პაემანი, პირველი სიყვარული, რომელიც სამუდამოდ აღბეჭდვია მეხსიერებაში.

ბენო ქაშაკაშვილის მეხსიერებაშიც ღრმა ხნული დაუტოვებია თავის პირველ მწვერვალთან შეხვედრას, ოღონდ სიხარულისა და სიამოვნებისა რა მოგახსენოთ... იმ ასვლას მეტად მუქ ფერებში იხსენებს.

— წარმოიდგინეთ, როგორ გამოვიყურებოდი, — იხსენებს ჩვენი წერილის გმირი, — როცა მწვერვალიდან ჩამოვლასლასდი, საშინლად დაღლილი... არა, ეს ის სიტყვა არ არის, ქანცგაწყვეტილი ვიყავი...

თუმცა, როგორც გამოიყურებოდა, ამაზე უკვე გიამბეთ, წერილის დასაწყისში. ოღონდ არ იფიქროთ, რომ მაშინ 19 წლის ბენო ქაშაკაშვილი პირდაპირ დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე გავარდა. რა თქმა უნდა, იგი მწვერვალზე ავიდა I კატეგორიის მარშრუტით. იმ მარშრუტით, რომლითაც ახალბედები აჰყავთ.

ეს მწვერვალი სვანეთში, ცნობილ აილამას გვერდით უმცროს ძმასავით აღმართული ვახუშტია.

— მანამდე მთამსვლელობაზე არასოდეს მიფიქრია, — იხსენებს ბენო ქაშაკაშვილი, — ბავშობაში მშობლებმა ცურვაზე მიმაბარეს. იქ ვარსკვლავები არ მომიწყვეტია, მაგრამ კარგად ცურვა ვისწავლე და პირველთანრიგოსანი გავხდი. 100 მეტრს კროლით წუთზე სწრაფად ვცურავდი. მერე ერთ მშვენიერ დღეს, ასე, თვრამეტისა რომ ვიყავი, თბილისის ბოტანიკურ ბაღში შემთხვევით მეკლდეურთა ვარჯიში ვნახე და თავად სპორტსმენებსაც გავესაუბრე. მათ ჩემზე ინტელექტუალური შთაბეჭდილება დატოვეს და თავად მეკლდეურობაც ასეთად მეჩვენა. არც შევმცდარვარ, მეკლდეურობას ფიზიკური ძალა და ფიქრი თანაბრად სჭირდება. ასეა თუ ისე, ვარჯიში დავიწყე და მალე საქალაქო და საქართველოს პირველობებზე მუდამ პრიზიორთა შორის ვიყავი.

— უნდა გენახათ, როგორ უხაროდა, როცა შეჯიბრებიდან პირველი დიპლომი მოიტანა. მერე სვანეთში, მთამსვლელთა ბანაკ „აილამაში“ წავიდა. ჩამოსვლა რომ შეაგვიანდა, გულგახეთქილმა იქ ავაკითხე. გადამერია, რატომ მარცხვენ, აბა, აქ რომელი მშობლები ამოდიან შვილებთანო. ამის მერე მთაში არც გამიცილებია, არც დავხვედრივარ. ახლა პირველად გავაცილე და ვხვდები, ბედნიერი ვარ. ძალიან გამახარა შვილმა, — გვითხრა ბენოს მამამ, პარლამენტარმა და ცნობილმა მეტალურგმა გურამ ქაშაკაშვილმა, როცა მისი შვილის მეთაურობით ექსპედიცია „კავკასია-99“ ევერესტიდან თბილისის აეროპორტში ჩამოვიდა.

მთაში პირველად გელა ოთარაშვილმა წამიყვანა. მაშინ თავად გელა მხოლოდ ერთ მწვერვალზე იყო ნამყოფი. მეკლდეურობაშიც ვარჯიშობდა. შემაგულიანა, მე მგონი მთაში რაღაც გამოგივაო და ალპინისტურ ბანაკ „აილამაში“ ავედით და მომზადების მერე ჩემი პირველი მწვერვალიც დავლაშქრე.

მაგრამ იქიდან როგორი ჩამოვიდა ბენო ქაშაკაშვილი, ეს უკვე იცით. ამიტომ თითქოს მთისკენ აღარც უნდა გაეხედა, მით უმეტეს საბჭოთა ალპინისტური ბანაკები ჩვეულებისამებრ გასამხედროებული რეჟიმით მუშაობდნენ და ამ მხრივ იქნებ ნამდვილ სამხედრო ნაწილში სამსახურზე უარესიც იყო, მაგრამ ბენო ქაშაკაშვილი ისევ „აილამაში“ გავარდა.

— იმ ზაფხულს ძალიან დაცხა. ვიფიქრე მთაში ერთხელაც წავალ, სიგრილე იქნება, მწვერვალზე კი ყინვაც და სულს მოვითქვამ-მეთქი. მხოლოდ ამიტომ წავედი „აილამაში“, მაგრამ ამას ისევ სვანეთში მთამსვლელთა სხვა ბანაკი „ზესხო“ მოჰყვა, „ზესხო“ ჩრდილოეთ კავკასიის ალპინისტური ბანაკები, მერე არმიელთა სპორტკლუბის მთამსვლელთა ექსპედიციები, ბოლოს საკუთარი ექსპედიციებიც. ამ ლაშქრობებისას არაერთხელ ჩავვარდნილვარ ექსტრემალურ მდგომარეობაში, მაგრამ აღარასოდეს მითქვამს, მორჩა, მთაში აღარ წავალ-მეთქი. ასე იყო, მაგალითად, 1992 წელს უშბაზე, სადაც მიშლიაევის სამხრეთ დასავლეთის გზით ავდიოდით. ეს ლაშქრობა ჩემთვის საეტაპო იყო, რადგან ურთულესი, მე-6 კატეგორიის სირთულის გზით ავდიოდით, თანაც კედელზე მხოლოდ ერთი წყვილი ვიყავით — მე და გია დვალი. ასეთი მარშუტებით კი უშბაზე თითო წყვილს არასოდეს გაევლო. კედლის ძირში ასულებს პრიმუსი გაგვიფუჭდა, მაგრამ გზა მაინც გავაგრძელეთ. კედლის თავში რომ ავედით, ამინდი საშინლად გაფუჭდა. თოვამ და ქარიშხალმა იქ ოთხი დღით კარვიდან ცხვირიც არ გამოგვაყოფინა. საერთო ჯამში შვიდი დღე არც ცხელი საჭმელი გვქონია და, რაც მთავარია, ჩაიც არ დაგვილევია.

სტრესული მდგომარეობა გვქონდა შარშან ამერიკაში ელ კაპიტანზე ასვლის დროსაც. მთელ მარშრუტზე თავიდან ბოლომდე ცხვირი მთლად ვერტიკალურ პიტალოზე გვქონდა მიბჯენილი, ან კლდის უარყოფითი დახრილობის გამო კედელს 8-10 მეტრით ვცილდებოდით და ზემოდან გადმომხობილ კლდოვან „სახურავს“ ქვემოდან დაკიდებულნი მივუყვებოდით, მაგრამ ქვემოთ ჩამოსულებს მალე გვავიწყდება გაჭირვება და სხვა ასვლებზე ვფიქრობთ.

ბენო ქაშაკაშვილის ასვლებიდან თავისებურად გამოსარჩევია ლაშქრობები ალიასკაზე მწვერვალ მაკ კინლიზე, ტიან-შანის მთებში „პობედას“ პიკზე და ამერიკაში ელ კაპიტანის მონოლითურ კლდოვან მასივზე. სამივე ასვლამ დსთ-ს ჩემპიონატში ვერცხლის მედლები მოიპოვა.

— კაცმა რომ თქვას მაკ კინლიზე მარშრუტი არც ისეთი რთულია, მაგრამ მაშინ დსთ-ს პირველობას სერიოზულად არც უყურებდნენ და საკონკურსოდ ახალის წარდგენას არც ცდილობდნენ. ამიტომ ეს ვერცხლის მედლები ჩვენთვის, შეიძლება ითქვას, ნაჩუქარი იყო. მერე კი ამ ჩემპიონატს, ისე როგორც საბჭოთა კავშირის არსებობისას, დიდი ფასი დაედო და საკონკურსოდ ყველანი ურთულეს ასვლებს წარადგენდნენ. ახლა ჩემპიონატზე მედლების მოპოვება მეტად ძნელია. როცა ელ კაპიტანზე ავედით, ვერც ვიფიქრებდით, რომ ოქროს გარეშე დავრჩებოდით, მაგრამ ჩვენ ვერცხლი გვარგუნეს. მედლების გარდა ეს ასვლები იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ „პობედაზე“ და ელ კაპიტანზე ბენომ და ბიძინა გუჯაბიძემ გადაიღეს მშვენიერი დოკუმენტური ფილმები, რომლებმაც მოსკოვში გამართულ სამთო ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე პრიზები დაიმსახურა.

ელ კაპიტანზე ასვლის გადაღებისთვის მე „წლის საუკეთესო ოპერატორისთვის“ განკუთვნილი პრიზი მომანიჭეს. იმავე ფესტივალზე ჩემმა თანაგუნდელმა ბიძინა გუჯაბიძემ „პობედაზე“ გადაღებული ფილმით, „საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის“ განკუთვნილი პრიზი დაიმსახურა. ამ ფილმს მეც ვიღებდი, მაგრამ მასში რაც კარგი კადრები და ყველაზე რთული მონაკვეთებია, ბიძინამ აღბეჭდა.

საერთოდ, ეს ფილმები „ენტევესა“ და „ოერტეს“ ტელევიზიამ ორჯერ აჩვენა, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მთაში ფილმის გადაღება მეტად ძნელია და ხიფათსაც აორმაგებს. კინო თუ ფოტოკამერას იქ ჩვილი ბავშვივით უნდა მოუარო, დაიცვა დარტყმებისგან, ყინვისგან, ვარდნისაგან. ამიტომ გადამღებს მთელი ექსპედიცია ეხმარება. მარტო კაცი მთაში ვერ გადაიღებს. ახლა, როცა მახსენდება 30-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში თბილისელი ბორის კრეპსის მიერ აღბეჭდილი მშვენიერი კადრები, რომლებიც ჩვენი მთამსვლელების ასვლებს ასახავს, გაოცებას ვარ, ეს კაცი როგორ დაათრევდა იმ უშველებელ, მძიმე და მოუხერხებელ კამერას მთაში თავისი ვეება შტატივით, ან ის ფირის ვეება ხვეულებიც გაიხსენეთ. ამიტომ ჩვენს მიერ გადაღებულ ფილმებს არა მხოლოდ თანაგუნდელებს ვუმადლი, არამედ იმ მდიდარ კინომემკვიდრეობას, რომელიც სამთო ფილმების გადაღებაში საქართველოში არსებობდა.

ახლა ბენო ქაშაკაშვილის ექსპედიცია დსთ-ს ჩემპიონატზე და სამთო ფილმების ფესტივალზე წარადგენს ევერესტზე ასვლასაც და თუ ამ გუნდის ბოლო წლების ტრადიციასაც გავითვალისწინებთ, ალბათ ერთგანაც და მეორეგანაც პრიზებს დაიმსახურებს.

ასე რომ, ევერესტული ეპოპეა არ დასრულებულა.

თუმცა, ეს ასვლა მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში სხვამხრივ უკვე შევიდა, რადგან, როგორც გახსოვთ, ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი ლევ სარქისოვი აღმოჩნდა უხუცესი, ვინც ევერესტიდან გადმოიხედა.

ეს ყოველივე ნათლად მეტყველებს ბენო ქაშაკაშვილის ორგანიზატორულ ნიჭზეც, რასაც ერთხმად აღიარებენ მისი თანაგუნდელები და სხვებიც.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ბენო ქაშაკაშვილისთვის მთაში ვიდეოკამერა ისევე განუყრელია, როგორც წერაყინი



ბიძინა გუჯაბიძის ფოტო

ხშირად ბენოსთვის კლდეზე ამგვარად დაკიდებული ღამისთევაც სანატრელია

ჭადრაკი

# აზმაიფარაშვილს აწქარება მოუწევს

კლასიკური ჭადრაკის წესებით გამართული ორ-ორი პარტია საკმარისი გამოდგა ლას ვეგასში მიმდინარე ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატზე 18 მეთექვსმეტედფინალისტის გამოსავლენად და ამ მოჭადრაკეთა სია სენსაციის ნასახსაც არ შეიცავს. თითქმის ყველა ფავორიტი შემდეგ წრეში გავიდა: კრამნიკი, სვინდლერი, ივანჩუკი, ადამსი (მან ქობალიას მეორეც მოუგო), შორტი, ლეკო, იუდით პოლგარი, დრეევი, ბარეევი და სხვები. სოკოლოვთან პირველი მარცხის შემდეგ შიროვმა მეორე პარტია მოიგო და შემდეგ წრეში გასვლის შანსები შეინარჩუნა, სამაგიეროდ, ხალიფმანთან მეორე შეხვედრა წააგო კამსკიმ და სასწრაფოდ პროტესტიც აახლა მსაჯებს. სამი მოჭადრაკეო, განაცხადა კამსკიმ, შაკაევი, იერმოლინსკი და სმირინი თავიანთი პარტიების დასრულებისთანავე ჩვენს დაფასთან სეირნობას შეუდგნენ და პოზიციას ხმამაღლა არჩევდნენო. „შევნიშნე, რომ ისინი ირიბად ხალიფმანს ხელს უწყობდნენ კიდეც“ — ცხარობს გაამერიკელებული რუსი — „ალბათ საჭიროა მიხვდნენ, რომ ეს უწესობაა და საერთოდ, აქ სანკტ-პეტერბურგის კი არა, მსოფლიოს ჩემპიონატი ტარდება“. პროტესტის მიუხედავად კამსკის მაინც ტაიბრეიკში მოუწევს გამარჯვებისთვის ბრძოლა, ისევე, როგორც ზურაბ აზმაიფარაშვილს, რომელმაც რუმინელ ლივიუდიტერ ნისიპეანუსთან მეორე პარტიაც ყაიმით დაასრულა. მხარეებმა ესპანური პარტია გაითამაშეს, მე-11 სვლაზე ლაზიერები გაცვალეს, ხოლო 27-ეზე დაფას სულაც თითო მსუბუქი ფიგურა შერჩა: აზმაიფარაშვილის შავი კუ და ნისიპეანუს თეთრი მხედარი, რაც ჩვენიანის უპირატესობას ნიშნავდა, მით უმეტეს, თეთრებს გაორებული პაიკებიც ჰყავდათ. შავი მეფის მანევრებმა შედეგი მაინც ვერ გამოიღო და მხარეები დაზავდნენ. ახლა მათ, ისევე როგორც 14 სხვა წყვილს, ორი 25-წუთიანი სწრაფი პარტიის თამაში მოუწევთ.

დავით გულუა

# ისწავლეთ დასვენება!

ერთდღიანი ანტრაქტის მერე ყაზანის კონსერვატორიაში განახლდა ქალთა მსოფლიოს პირველობის ჩემპიონატის ფინალური მატჩი ჩინელ სიე ჟუნსა და რუს ალისა გალიამოვას შორის. თუ მათი მეხუთე პარტიის მიხედვით ვიმსჯელებთ, დასვენების დღე ჩინელს უფრო ნაყოფიერად გამოუყენებია — მან პარტიაც მოიგო და მატჩშიც ხელახლა დაწინაურდა — 3:2. მეტოქეებმა თავიდან ერთ-ერთი უპოპულარულესი დებიუტი — ესპანური პარტიის ჩიგორინის სისტემა გაითამაშეს, რომელიც იმითაცაა ცნობილი, რომ ფიგურების მაქსიმალურ დაზოგვასა და მიტელშპილისთვის შენახვას ითვალისწინებს. ახლაც ასე მოხდა: პირველი გაცვლა პარტიაში მხოლოდ მე-17 სვლაზე დაფიქსირდა. შემდეგ დაიწყო მიტელშპილი და მეტოქეებმა პოზიციური ბრძოლის ტაქტიკას მიმართეს. მცირეოდენი გაცვლების შემდეგ თეთრებით მოთამაშე გალიამოვამ მეტოქის ცენტრი გაარღვია და გამსვლელი პაიკი მიიღო, თუმცა მისი წინსვლა აშკარად იჩქარა. სიე ჟუნმა მოქნილი მანევრებით შეამზადა უტვინო თეთრი პაიკის განადგურება და ბოლოს იგი სუფთადაც მოიგო. ამას მოჰყვა გალიამოვას კიდევ ერთი პაიკის აღსასრული და... რუსმა მე-60 სვლაზე საათი გააჩერა.

ხელბურთი

# ჩვენს გამარჯვებას გაუმარ-ჯოს!

## ლევან გელაშვილის ქართული ოცნება

დღეს, როცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქართველ ფეხბურთელთა, კალათბურთელა თუ სხვათა წარუმატებლობები გვხვდება, ქომაგების ნატკენ გულს ხელბურთელთა მიღწევებილა ედება სალბუნად. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ჩვენებურთა წარმატებულმა თამაშმა ქართული ხელბურთის უნარი ცხადად წარმოაჩინა. გულშემატკივრებსაც ის დრო გაახსენდათ, როცა ჩვენში სახელბურთო ბუმი არაფრით ჩამოუვარდებოდა იმავე ფეხბურთისას, ასეთი რამ კი შემთხვევით როდი ხდება.



ლევან გელაშვილი

ირაკლი ნიჟარაძის ფოტო

ქართული ხელბურთის დღევანდელმა თაობამ სპორტის ამ სახეობის მოყვარულთ მომავლის იმედი ჩაუსახა, იმედი, რომელიც მთლიანად ეროვნულ გუნდს ეფუძნება, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის საპლეიოფო რაუნდში დანიელების ძლევა და... ჩვენი ნაკრები ევროპის გრანდთა მარაქაში გაერევა. სულ ერთი, მაგრამ უძნელესი ნაბიჯის გადადგმა მართებთ საამისოდ ქართველებს. აი, მერე კი...

დანიელებთან საპაექროდ ჩვენი ხელბურთელები ტექნიკური უნივერსიტეტის საწვრთნელ ბაზაზე ემზადებიან. მათ ვარჯიშზე მისულმა თავიდანვე ლევან გელაშვილი ამოვიღე მიზანში. საქართველოს ჩემპიონ სტუ-„შევარდენის“ კაპიტანი და ამავდროულად ეროვნული ნაკრების მარჯვენა შუამარბი უხმაუროდ, ჩვეული შემართებით ასრულებდა მწვრთნელთა მითითებებს. ორსაათიანი მომქანცველი ვარჯიშის შემდეგ ლევანი, ცხადია, დაიღალა, თუმცა საუბარზე უარი არ უთქვამს...

**— ჯგუფურ ტურნირში ორ კვირაში ექვსმა თამაშმა ალბათ გუნდი ძალიან მოქანცა, ხეირიანად არც კი დაგისვენიათ და ახლა დანიელებთან შესახვედრად მზადებას შეუდექით...**

— ვფიქრობ, ის ათი დღე, რომელიც მწვრთნელებმა დასასვენებლად გამოგვიყვეს, სრულიად საკმარისი იყო ენერგიის აღსადგენად. 12 სექტემბრამდე, ანუ დანიელებთან მატჩამდე, ბევრი დროც არ რჩება, ამიტომ ივნისის შუა რიცხვებიდანვე განვაახლეთ ვარჯიში. ამაში ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ.

**— არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დანიელებამდე კიდევ ერთი სერიოზული გამოცდა გელით. თქვენი კლუბი სტუ-„შევარდენი“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე კვიპროსის „სტროვოლოუს“ უნდა გაეჯიბროს. რადგან სტუ-„შევარდენი“ ნაკრების საბაზო გუნდად ითვლება, კვიპროსელებთან მიღწეული შედეგი ეროვნული გუნდის ფსიქოლოგიაზეც დიდად იმოქმედებს. როგორ ფიქრობთ, რამდენად სერიოზულია თქვენთვის კვიპროსული ბარიერი?**

— კვიპროსელთა თამაში არასდროს მინახავს. ისე კი ვიცი, რომ მათი ხელბურთი საშუალო ევროპულზე დაბალი დონისაა. არა მგონია, „სტროვოლოუმ“ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწიოს. ჩვენის მხრივ კი მათთან შეხვედრებს მზადების ერთ-ერთ ეტაპად გამოვიყენებთ. დანიელებთან მატჩამდე კვიპროსელთა ძლევაც, გეთანხმებით, ნაკრებისთვის დადებითი მუხტი იქნება.

**— რამდენადაც ვიცი, მზადების უდიდესი ნაწილი ფიზიკური კონდიციების ამაღლებას დაეთმო, თუ შეგიძლიათ, უფრო კონკრეტულად გვიამბეთ ამის შესახებ.**

— ყოველდღე ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა. დილაობით ტრენაჟორებზე და შტანგაზე, საღამოს კი დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში გამძლეობაზე ვმუშაობდით.

**— ჩვენში ფიზმომზადების ცნობილი სპეციალისტი, იური სტადუხინი როდის შეუდგა თქვენთან მუშაობას?**

— საერთო ფიზიკურ მომზადებას ივლისიდან უკვე სტადუხინი უძღვება. მისი ვარჯიშები იმდენად მრავალფეროვანი და სახალისოა, რომ იმ წუთში დაღლას საერთოდ ვერ გრძნობ, ვარჯიშის შემდეგღა ხვდები, რომ ენერგიაგამოცლილი ხარ. სტადუხინის მოსვლამდე ჩვენს ფიზიკურ მომზადებაში უფრო წმინდა სახელბურთო კომპონენტები სჭარბობდა, რომელიც უშუალოდ მოედანზე უნდა გამოიყენო. ახლა სხვაგვარადაა, სტადუხინის კომპლექსურ ვარჯიშებში ისეთი ელემენტებიც უხვადაა, რომელსაც აუცილებლად უნდა ფლობდეს სპორტსმენი.

**— სულ ახლახან კრასნოდარიდან დაბრუნდით, სადაც მერიის თასზე იასპარეზეთ. როგორ შეაფასებდით ამ ტურნირზე გუნდის და პირადად თქვენს თამაშს?**

— მთლიანობაში გუნდს ცუდად არ უთამაშია. უკეთეს შედეგს რომ ვერ მივაღწიეთ, ეს არც არის გასაკვირი. კრასნოდარის ტურნირიც მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო, რაც მწვრთნელებმა ექსპერიმენტებისთვის გამოიყენეს. მათ ტაქტიკურ მონახაზებს კი ჩვენ პრაქტიკულად ვახორციელებდით. შედეგზე მნიშვნელოვანი მწვრთნელებისთვის, ისევე როგორც ჩვენთვის, გუნდის შეთამაშება იყო, რაც ზაზა დოლიძემაც აღნიშნა „სარბიელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კრასნოდარში გამგზავრებამდე გუნდმა ბურთთან მხოლოდ ექვსი ვარჯიში ჩაატარა, ყველაფერი ცხადი გახდება.

პირადად ჩემს თამაშს რაც შეეხება, სიმართლე გითხრათ, არ ვარ კმაყოფილი. ამასაც თავისი მიზეზი ჰქონდა, ზუსტად იმ დროს ბაბუა გარდამეცვალა და ტურნირზე ისე წავედი, ბურთს საერთოდ არ გავკარებივარ. რაღა გასაკვირია, რომ სიზუსტეც დავკარგე და ტაქტიკურადაც მოვიკოჭლებდი.

**— ალბათ, ახლა უკვე გაეჩვიეთ ბურთს...**

— რა შედარებაა, დარბაზში ვარჯიში სულ სხვაა, ახლა უკვე ბურთსაც ძველებურად ვგრძნობ და იმედი მაქვს, თანაგუნდელებთან ერთად კვიპროსელებთან, შემდეგ კი დანიელებთან მატჩებისთვის საუკეთესო ფორმაში ვიქნები.

**— დანიელებზე თუ გსმენიათ რამე?**

— მათი თამაში პირადად ერთხელ ვნახე საბერძნეთის წინააღმდეგ. ის შეხვედრა დანიელებმა ერთი ბურთის სხვაობით მოიგეს და ძლიერი, ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს ჩემზე. ამასვე ამბობს ეგვიპტიდან დაბრუნებული ჩვენი მწვრთნელი ზაზა დოლიძეც, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე დანიელთა ოთხ თამაშს დაესწრო. რა თქმა უნდა, მათი თამაშების ამსახველი ვიდეომასალაც ჩამოიტანა, რასაც მერე და მერე უფრო დეტალურად შევისწავლით. სხვათა შორის, შარშან დანია ევროპის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებს შორის, რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ამ ქვეყნის სახელბურთო პოტენციალზე.

**— მაინც რა უნდა იყოს ჩვენთვის დანიელებთან წარმატების მიღწევის საწინდარი? როგორ ფიქრობთ, რა არის ჩვენი ნაკრების კოზირი, რა ტაქტიკა უნდა დავუპირისპიროთ ასეთი დონის გუნდს?**

— ტაქტიკა მთლიანად მწვრთნელთა გადასაწყვეტია. მე კი ვფიქრობ, რომ თუ დაცვაში ზუსტი, შეთანხმებული თამაში ავაწყვეთ და შემდეგ სწრაფი შეტევების განვითარება შევძელით, მხოლოდ მაშინ მოვახერხებთ წარმატების მიღწევას. უნდა ვეცადოთ, რომ მეტოქე ანკესზე წამოვაგოთ, ამისთვის კი ყოველ წამს მობილიზებულნი უნდა ვიყოთ. სხვანაირად ტანმაღალ და ფიზიკურად ძლიერ დანიელებთან ძალიან გაგვიჭირდება. ისე, არც იმას გამოვრიცხავ, რომ დანიელებმა საკადრისად ვერ შეაფასონ ჩვენი შესაძლებლობები, იფიქრონ, ქართველებს იოლად მოვუგებთო და... თუმცა პროფესიულ ხელბურთში ასეთი შემთხვევები მაინც იშვიათია.

**— თემას გადავუხვევ და მინდა, ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი შეხვედრები გაგახსენოთ „ბარსელონასთან“. არა მგონია, ასეთ ევროპულ გრანდთან თამაშით გამოწვეული შთაბეჭდილებები გაგნელებოდათ...**

— არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ „ბარსელონა“, ფაქტობრივად, მსოფლიოს ნაკრებია. ასეთი დონის გუნდთან ნებისმიერ მოთამაშეს ძალიან გაუჭირდება. თავდაპირველად ფსიქოლოგიური ბარიერი უნდა დაძლიო, თუ გინდა რომ შესაძლებლობები სრულად წარმოაჩინო. თუ ამას მოახერხებ, ჩათვალე რომ მომავალში ნებისმიერ მეტოქესთან შეგეძლება ტოლ-სწორად შეჭიდება. აკი „ბარსელონასთან“ შეხვედრებში მიღებული გამოცდილება ევროპის უკანასკნელ შესარჩევ ტურნირზეც ძალიან გამოგვადგა. ერთი კი ახლაც გამკვირვებია, ისეთ გუნდს, როგორიც „ბარსელონაა“ მსაჯების წახმარება რაღაში სჭირდებოდა. ჩვენ მათთან ისედაც უშანსოდ ვიყავით, მსაჯები კი მაინც აშკარად გამოხატავდნენ მასპინძლებისადმი სიმპათიებს. უბრალოდ, გული დამწყდა, მეტი არაფერი.

**— ლევან, თქვენ ერთი სეზონი უცხოეთში, კერძოდ კი საბერძნეთში გაატარეთ. როგორ მოხვდით იქ?**

— არის ასეთი პიროვნება მიშა საფაროვი, რომელიც ამჟამად საბერძნეთის ხელბურთელთა ნაკრების მთავარი ექიმია. წარსულში იგი საქართველოშიც ამავე პროფესიით საქმიანობდა, შემდეგ კი საბერძნეთში გადაიხვეწა და თავდაპირველად იქაური კლუბ „გ.ა.ს. კილკისში“ მოეწყო. 1994 წელს „ამირანის“ შემადგენლობაში ამ კლუბს ფედერაციის თასზე შევხვდით. ეტყობა, საფაროვმაც მაშინ დამიმახსოვრა. ორი წლის შემდეგ, როცა საფაროვი ნაკრების ექიმად გადაიყვანეს და იქაურ სახელბურთო სამყაროშიც ავტორიტეტი მოიხვეჭა, იგი ჩემი მაშინდელი კლუბის მწვრთნელ გიორგი ბერიაშვილს დაუკავშირდა და სიტყვა ჩემზე ჩამოუგდო. აღმოჩნდა, რომ ბერძნული კლუბები ჩემი თამაშით დაინტერესებულიყვნენ და მალე მე, ბერიაშვილი და კიდევ ერთი ჩემი თანაგუნდელი კობა თორდია საბერძნეთს გავემგზავრეთ. იმ დღესვე გავისინჯე გასული წლის ქვეყნების ჩემპიონ და თასის მფლობელ „ე.ს.ნ. ვრილისიაში“ და მეორე დღეს კლუბთან კონტრაქტიც გავაფორმე — 1+2. ამ გუნდშიც ჩემ ამპლუაში, მარჯვენა შუამარბად გამამწესეს და მთელი სეზონი ძირითადში გავატარე. ეგ არის, წინა წლის შედეგი „ე.ს.ნ. ვრილისიამ“ ველარ გაიმეორა, რადგან ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდი მწვრთნელმა, მეკარემ და ერთმა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. ამის კვალობაზე მიღწეული მესამე ადგილიც ხელმძღვანელობამ წარმატებად მიიჩნია.

**— სამშობლოში რატომღა დაბრუნდით?**

— კლუბს ძალიან გაუჭირდა ფინანსურად. მიღებული შემოსავლით სახელბურთო დარბაზის მშენებლობა წამოიწყეს, რამაც მეპატრონის ჯიბეს გარკვეული დაღი დაასვა. დამიბარა და მითხრა: ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ფინანსურად ველარ დაგაკმაყოფილებთო. მეც ავდექი და წამოვედი.

**— სხვა კლუბებიდან არ გქონიათ წინადადებები?**

— მაკედონიელები იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ ყოველივე მხოლოდ სატელეფონო საუბრებით შემოიფარგლა.

**— ახლა ის მითხარით, ხელბურთში როგორ მოხვედით. ნორჩებში ხომ ეს თამაში არცთუ ისე პოპულარული იყო...**

— ნაძალადევში მეხუთე საშუალო სკოლაში მეორე-მესამე კლასის მოსწავლე ვიქნებოდი, როცა ჩვენს სკოლაში ხელბურთის სექცია გახსნეს. გაკვეთილების მერე გახანგრძლივებულში ვრჩებოდი მშობლების მოუცლელობის გამო და მეც ვიფიქრე, უქმად ყოფნას გავერთობი მაინც-მეთქი. ჩემი პირველი მწვრთნელი ნელი ჩოჩიშვილი ექვს თვეში გათხოვდა და სექციაც ასე დაიშალა. ამის მერე საცხოვრებლად გლდანში გადავედით. პატარაობიდანვე გული უფრო კალათბურთზე მიმიწევდა და მშობლებს ვთხოვე, ახლა კალათბურთზე მიმიყვანეთ-მეთქი. ისინი ახალგახსნილ გლდანის სპორტსკოლაში მივიდნენ, სადაც ხელბურთის მწვრთნელ ჯიმშერ დვალიშვილს ჩემი მშობლებისთვის უთქვამს, კალათბურთს და ხელბურთს თითქმის იგივე წესები აქვს, მოიყვანეთ ბავშვი, გაკაჟდება, ერთ თვეში კი კალათბურთის სექციაც გაიხსნებაო და... იმის შემდეგ, მგონი, თხუთმეტი წელი გავიდა და კალათბურთის ჯგუფი იქ ჯერაც არ გახსნილა.

**— ასე შერჩი ხელბურთს...**

— მაინც ვერ მოვისვენე და „ნორჩ დინამოელში“ კალათბურთზე მივედი, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ პოტენციურად ხელბურთში მეტის გაკეთებას შევძლებდი. პირველად მაშინ ვიგრძენი, რომ ხელბურთი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდებოდა. 1988 წლიდან უკვე აქტიურ ვარჯიშს შევუდექი.

**— ლევან, როგორც წესი, ყველა სპორტსმენი თავის თავს რაღაც მიზნებს უსახავს. შეუძლებელია, არ გკითხოთ, რა არის თქვენი მიზანი, რაზე ოცნებობთ?**

— საერთოდ ჟურნალისტები ხშირად კითხულობენ, რომელ კლუბში ისურვებდა კარიერის გაგრძელებას ესა თუ ის სპორტსმენი. ამ საკითხზე მეც ბევრი მიფიქრია და ერთ დასკვნამდე მივედი. ჩემი სახელბურთო მიზნები მხოლოდ პირადული მიღწევებით არ შემოიფარგლება. ვოცნებობ, მთლიანად ქართული ხელბურთი განვითარდეს იმ დონემდე რომ ევროპულ გრანდებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს. მე კი რომელიმე აქაურ, ძლიერ კლუბში ვთამაშობდე ქართველების მხარდამხარ. მატჩის წინ ქართულად რომ დააგუგუნებ, ჩვენს გამარჯვებას გაუმარჯოსო, განა ამას სხვა რამე შეედრება?

გიორგი გიქაშვილი



REUTERS მეხიკოდან

# რეკორდი

ოხ! სად ჰყავს თეოფილე გაბუნიას დურუ ხუნჭუას გასალახი შვილიშვილი ანდა მათხოვარი ფრანსისკო პალენსია ბრაზილიელებს ენას უნდა უყოფდეს? იმას შეხედე კიდო, იმას... კვატემოკ ბლანკოს. ჯერ რა სახელი აქვს, ფუი! დაუკიდიათ კიდო მენდლები. სად წახვალთ, სად?! ეგ თქვენი კონფედერაციის თასი აწი აღარ უნდა გაიმართოს მგონია და მსოფლიოს ჩემპიონატზე ვინ ვის გამოუყოფს ენას, ვნახავთ. ეს 4:3 თქვენი რეკორდია, იცოდეთ. თუ არა და ნახავთ...

# ეჰ, ჯიმი, ჯიმი!

ჯერ ერთი, ჯიმი ბრაუნი რომ გქვია, ლოს ანჯელესში, ლარი კინგის შოუში კი არ უნდა მონაწილეობდე, თბილისში, ლაგუნა ვერეზე უნდა მღეროდე. მეორეც, ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავს ამდენს ვერ უნდა გიბედავდნენ. გამოუყვანიხართ მთელი ქვეყნის თვალწინ და ვილაც თეთრკანიანი ჟურნალისტი დაკითხვას გიწყობს — მართლა გალახე თუ არა 15 ივნისს ცოლი. მესამე ის, რომ ცოლი თავზე არ უნდა დაისვა — ჯერ ერთი, ამბავი ატეხა, სიკვდილით დამემუქრაო, მერე კი ტელევიზიაში გვერდზე მოგიჯდა, ასე და ასე მოგვივიდა მე და ჩემს ჯიმისო. და მეოთხე: ლოთიანად, 63 წლის კაცს ეს 25 წლის მონიკა რად გინდა, შენი თავი მართლა მაგარი ხომ არ გგონია?!



REUTERS ლოს ანჯელესიდან

## კასპაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7



## საფრანგეთი

ლე ავრი 0:0 მარსელი

ტრუა 1:2 ლიონი

0:1, 0:2 ვერელი (15, 52), 1:2 იეზიერსკი (82)

## შვეიცარია

სერვეტი 1:1 ბაზელი

0:1 კუმანტარაკისი (12), 1:1 ტური (81)



REUTERS ივერნიდან

# შენღა მაკლდი...

უყვირის გაცხარებული ლინფორდ კრისტი იან ვოგლერს. საწყალი კრისტი. ჯერ იყო და, სახელოვან ბრიტანელს, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ სპრინტერს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ჩინოვნიკებმა ძველი ამბები ამოუქექეს, აქაოდა, შარშან დორტმუნდის ტურნირზე დოპინგით გაჭყეპილს გირბენიაო და ორწლიანი დისკვალიფიკაციაც გამოუწერეს. ახლაა და სკანდალებზე მონადირე ფოტორეპორტიორი იან ვოლგერი გულშემოყრილ კრისტის გზატკეცილზე გადმოუხტა, ფიქრებში ჩაძირულმა კრისტიმაც საჭე ვერ დაიმორჩილა და... მომხდარს ამ ფოტოზეც ხედავთ, რომელიც გზის მეორე მხარეს ჩასაფრებულ რასელ ბოისს გადაუღია.



REUTERS მანჩესტერიდან

# ფიქრი წვიმაში

მთელი ცხოვრება „ოლდ ტრეფორდის“ გაზონს გავყურებ, თითოეულ ბალახს ვეფერები. აი, ახლა წვიმს და ინგლის — ახალი ზელანდიის მოკრიკეტეთა მატჩი ველარ ჩაგვიტარებია. არადა, სერიის ანგარიში 1:1-ია. ისე, ამ ქვეყნად ყველაფერში ასეა, ხან წვიმს, ხან იდარებს. მთავარია გული გქონდეს კაცური.

*მოქალაქე*
*პიტერ მერონი*



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. **ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli